საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

# საარბიელო

სპორტული გაზეთი ოთხშაბათი 24 მაისი 2004 №116 (2135) ფასი 50 თეთრი



ბადრი კეთილაძის ფოტო

## ჩემპიონი ბასკოა




ტრიუმფი და დრამა:
ნუგზარ კანდელაკი ჰაერში, დრაჟენ ბრაიკოვიჩი...

ბადრი კეთილაძის ფოტოები

## ვიტ ჯორჯია 1:0 ლოკომოტივი
## თბილისი 0:1 სიონი

## ბოლოა ოქროსავით: ოქროს მატჩსაც ვნახავთ






ავთანდილ მურასაშვილის ფოტო





ბადრი კეთილაძის ფოტოები

## კოჭლაშვილი და მახარაძე კარიერის ფინალში არიან

| I-VI ადგილები | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სიონი | 10 | 6 | 3 | 1 | 14:5 | 41 |
| ვიტ ჯორჯია | 10 | 6 | 2 | 2 | 10:3 | 41 |
| დინამო | 10 | 4 | 3 | 3 | 15:10 | 40 |
| თბილისი | 10 | 3 | 5 | 2 | 12:8 | 32 |
| ლოკომოტივი | 10 | 1 | 5 | 4 | 6:11 | 25 |
| დილა | 10 | 0 | 2 | 8 | 2:22 | 19 |

| VII-XII ადგილები | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ტორპედო | 10 | 5 | 2 | 3 | 19:12 | 34 |
| კოლხეთი | 10 | 6 | 3 | 1 | 14:6 | 33 |
| მცხეთა | 10 | 6 | 3 | 1 | 14:5 | 31 |
| ბათუმი | 10 | 3 | 0 | 7 | 6:14 | 25 |
| სპარტაკი | 10 | 5 | 1 | 4 | 18:11 | 24 |
| მერცხალი | 10 | 0 | 1 | 9 | 4:27 | 6 |




## რეალი ქართლის გზებზე შედგა

*საქართველოს ჩემპიონმა, „ვიტ ჯორჯია“ იქნება თუ „სიონი“, ჩემპიონთა ლიგის მესამე საკვალიფიკაციო ეტაპამდე თუ გააღწია, დიდი შანსია, იქ „რეალს“ შეხვდეს. იმ „რეალს“, გუშინ ზედიზედ მეხუთე თამაში რომ წააგო და სეზონი მეოთხე ადგილზე ჩაამთავრა.*

*„რეალის“ გულშემატკივრებთან ამ ხუმრობისთვის ბოდიშს ვიხდით, მაგრამ ფაქტია — თამაშს სახელები კი არა, ხასიათი, ბრძოლა, თავდადება იგებს.*




ეროვნული ბიბლიოთეკა

# წააგო? წავაგოთ

გუშინ დასრულდა ევროპის ბოლო ჩემპიონატთაგან ბოლო ორი, საფრანგეთისა და ესპანეთის. ორივეგან ჩემპიონი ადრევე იყო ცნობილი, თუმცა საფრანგეთში „ლიონი" ამ ტურამდე არ იწოდებოდა ჩემპიონად, რაკი პსჟ-ს გადასწრების თეორიული შანსი ჰქონდა. მაგრამ მეორე მხრივ, ეს იმდენად აბსურდული იყო, რომ „ლიონს" აქამდეც მოიხსენიებდნენ ჩემპიონად. ზედიზედ მესამედ გაჩემპიონებით კი ლიონელებმა „მარსელის" და „სენტ ეტიენის" რეკორდი გაიმეორეს.

საფრანგეთსა და ესპანეთში გუშინ გასარკვევი სხვა რამეები გახლდათ.

საფრანგეთში უნდა გარკვეულიყო მეორე ადგილის ბედი, რომელსაც „პარი სენ ჟერმენი" და „მონაკო" ეცილებოდნენ ერთმანეთს. ორთავეს ადრევე ჰქონდა განალდებული საგაისო ჩემპიონთა ლიგაში თამაში, მაგრამ რაკი მეორე ადგილი კვალიფიკაციის გარეშე, პირდაპირ ჯგუფურ ეტაპზე თამაშის უფლებასაც იძლევა, ამდენად ბრძოლა მეორეობისთვის ღირდა.

რაკილა „მონაკოს" ზეგ ლიგის ფინალი ელის, ბორდოში შაბათს ითამაშა და მოიგო, ეს კი პარიზელებს უთუოდ მოგებას ავალდებულებდა. პსჟ ნაპოლეონის სამშობლოში, კორსიკაზე თამაშობდა. ამ მატჩის და, შესაბამისად, მეორე ადგილის ბედი ერთადერთმა გოლმა გადაწყვიტა და ეს გოლი პარიზელმა პედრო პაულეტამ გაიტანა. ამგვარად, „მონაკოს" ლიგაში დასაბრუნებლად კვალიფიკაციის გავლა მოუწევს, თუ რა თქმა უნდა, ოთხშაბათს „პორტუს" ვერ სძლია.

ადრევე ცნობილი იყო, რომ ფრანგულ პირველ დივიზიონს დაემშვიდობნენ „მონპელიე" და „ლე მანი". გასარკვევი მესამე უიღბლოს ვინაობა რჩებოდა — გავარდნა ოთხ გუნდს ემუქრებოდა, ამათგან დარჩენის უარესი შანსი „აიაჩოს" ჰქონდა.

„აიაჩომ" კი „მეცთან" მოიგო და გადარჩა. „ტულუზს" კი გადასარჩენად ფრეც ეყო.

ბოლოს კი დავძინოთ, რომ საფრანგეთიდან უეფას თასზე მეოთხეადგილოსანი „ოსერი", თასის ფინალისტი, მეორედივიზიონელი „შატორუ" და ლიგის თასის მომგები „სოშო" ითამაშებენ.

ესპანეთში კი მოხდა ის, რაც არასდროს მომხდარა — „რეალმა" მიჯრით მეხუთე თამაში წააგო და სულ ახლახან ჩემპიონობის მაძიებელი მეოთხე ადგილს დაყაბულდა.

ესპანეთშიც მეორე ადგილის ბედი უნდა გარკვეულიყო. „ბარსელონა" თუ მოიგებდა, ეს ადგილი მისი იყო, მაგრამ კატალონიელებს მოგება არც დასჭირდათ — სარაგოსაში იგებდნენ, მაგრამ რადგან „რეალმა" „სოსიედადისგან" პირველივე ტაიმში სამი გოლი გაუშვა, მეორეში კი მეოთხეც მიიყოლა, „ბარსას" თამაშის მშვიდად ჩამთავრების საშუალება მიეცა და თავს წაგების უფლებაც მისცა.

გასარკვევი იყო უეფას თასზე გამსვლელი მეექვსე ადგილის ბედიც. კონკურენტები სამნი იყვნენ — „ვილიარეალი", „ატლეტიკო" და „სევილია".

„ვილიარეალმა " შანსი ვერ გამოიყენა, „ვალიადოლიდთან" დამარცხდა და ორივე მდევარს გადაასწრებინა. უეფას თასის საგზური კი „სევილიას" დარჩა. თანაბარქულიანობისას ესპანეთში ურთიერთშეხვედრების შედეგებს უყურებენ, აქ კი „სევილიას" მეტოქის მოედანზე გატანილი მეტი ბურთის უპირატესობა ჰქონდა.

რა ხანია, გავარდნილ „მურსიას" „სელტა" და „ვალიადოლიდი" შეუამხანაგდნენ. ამათ იმ შემთხვევაში შეეძლოთ გადარჩენა, „ესპანიოლი" თუ წააგებდა. ბარსელონას მეორე გუნდმა კი „მურსია" ბოლო ცხრამეტ წუთში გატანილი გოლებით და კაცნაკლულმა დაამარცხა.



ტვენტე — უტრეხტი. ბლეიზი ნკუფო ვერც ბურთს მისწვდა, ვერც მეტოქეს და ვერც თასს

# უტეხი უტრეხტი და გატეხილი გახოკიძე

გოგა გახოკიძე უიღბლოდ ემშვიდობება „ტვენტეს". ქართველ ნახევარმცველს გულით უნდოდა ენსხედელთათვის ჰოლანდიის თასი დაეტოვებინა, მაგრამ... წუხელ სათასო გუნდად შერაცხულმა „უტრეხტმა" მძიმე ბრძოლაში 1:0 სძლია გახოკიძეს და მის თანაგუნდელებს. „ტვენტემ" ტიტულის გარდა უეფას თასის საგზურიც დაკარგა, არადა, ძნელი წარმოსადგენი იყო, ეს სეზონი ენსხედელებისთვის ასე უიღბლოდ თუ დასრულდებოდა.

როტერდამული ფინალის ერთადერთი გოლი ვან დენ ბერგმა 66-ე წუთზე გაიტანა. „ტვენტესაც" გასათანაბრებლად რომ გაუხდა საქმე, შტურმისთვის მოემზადა, მაგრამ ათიოდ წუთში კაცნაკლული დარჩა — ჰოიბახს მსაჯმა წითელი აუფრიალა.

ერთი სიტყვით, „ტვენტემ" წააგო და ორ-სამ დღეში გახოკიძესაც დაუქნევს ხელს. ჩვენებურს კლუბთან კონტრაქტი 31 მაისს უმთავრდება. მსურველები კი რიგში დგანან — „როდა", „ბრედა", „უტრეხტი", „ჰერენვენი", მოსკოვის „ლოკომოტივი" და ჯერაც უცნობი გერმანული კლუბი — ვის დარჩება ქართველი?

**ქახა შალამბერიძე**

## ესპანეთი

### პრიმერადივიზიონი XXXVIII ტური

**ვალენსია 0:1 ალბასეტე**

0:1 არანდა (65)

**სარაგოსა 2:1 ბარსელონა**

0:1 სავიოლა (9), 1:1 ჩანი (42), 2:1 სორიანო (59)

**რასინგი 0:1 დეპორტივო**

0:1 პანდიანი (22)

**რეალი 1:4 სოსიედადი**

0:1 კოვაჩევიჩი (13), 0:2 ხაბიერ პრიეტო (28), 0:3 დე პაულა (32), 1:3 ფიგუ (38პ), 1:4 ხაბიერ პრიეტო (60პ)

**ბილბაო 3:4 ატლეტიკო**

1:0 ირაოლა (19), 1:1 იბაგასა (25), 1:2 დე ლოს სანტოსი (31), 1:3 ფ. ტორესი (35), 2:3 ირაოლა (53), 2:4 ფ. ტორესი (80), 3:4 არიაგა (88)

**სევილია 1:0 ოსასუნა**

1:0 ჟულიო ბაპტისტა (54)

**ვალიადოლიდი 3:0 ვილიარეალი**

1:0, 2:0 ლოსადა (31, 81), 3:0 კამინერო (85)

**მალაგა 2:3 ბეტისი**

1:0 სალვა (20), 2:0 კანაბალი (44), 2:1 დანი (62), 2:2 ხუანიტო (69), 2:3 დანი (87)

**ესპანიოლი 2:0 მურსია**

1:0 ტამუდო (71), 2:0 ლოპო (89)

**სელტა 0:2 მალიორკა**

0:1 ნენე (86), 0:2 ხესუს პერერა (89)

**საბოლოო ცხრილი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ვალენსია | 38 | 23 | 8 | 7 | 71:27 | 77 |
| ბარსელონა | 38 | 21 | 9 | 8 | 63:39 | 72 |
| დეპორტივო | 38 | 21 | 8 | 9 | 60:34 | 71 |
| რეალი | 38 | 21 | 7 | 10 | 71:53 | 70 |
| ბილბაო | 38 | 15 | 11 | 12 | 53:49 | 56 |
| სევილია | 38 | 15 | 10 | 13 | 56:45 | 55 |
| ატლეტიკო | 38 | 15 | 10 | 13 | 51:53 | 55 |
| ვილიარეალი | 38 | 15 | 9 | 14 | 47:49 | 54 |
| ბეტისი | 38 | 13 | 13 | 12 | 46:43 | 52 |
| მალაგა | 38 | 15 | 6 | 17 | 50:55 | 51 |
| მალიორკა | 38 | 15 | 6 | 17 | 54:66 | 51 |
| ოსასუნა | 38 | 11 | 15 | 12 | 38:37 | 48 |
| სარაგოსა | 38 | 13 | 9 | 16 | 46:55 | 48 |
| ალბასეტე | 38 | 13 | 8 | 17 | 40:48 | 47 |
| სოსიედადი | 38 | 11 | 13 | 14 | 49:53 | 46 |
| რასინგი | 38 | 11 | 10 | 17 | 48:63 | 43 |
| ესპანიოლი | 38 | 13 | 4 | 21 | 48:64 | 43 |
| ვალიადოლიდი | 38 | 10 | 11 | 17 | 46:56 | 41 |
| სელტა | 38 | 9 | 12 | 17 | 47:67 | 39 |
| მურსია | 38 | 5 | 11 | 22 | 29:57 | 26 |

**ბომბარდირები**

| | |
|---|---|
| რონალდო (რეალი) | 24 |
| მისტა (ვალენსია) | 19 |
| ბაპტისტა (სევილია) | 19 |
| სალვა (მალაგა) | 19 |
| ტამუდო (ესპანიოლი) | 19 |
| ტორესი (ატლეტიკო) | 19 |

### სეგუნდადივიზიონი XXXVIII ტური

**ელჩე 0:2 ალავესი**

0:1 რუბენ ნავარო (5), 0:2 დე ლუკასი (59)

**ხერესი 3:0 სალამანკა**

1:0 კაჩორო (22), 2:0 ფრანსისი (77), 3:0 ხურადო (87)

**ტენერიფე 2:2 კადისი**

1:0 მარტინ პოსე (18), 2:0 კუკო (26), 2:1 სამბრუნო (30), 2:2 რ. კარლოსი (76ს.კ)

**ლევანტე 2:0 ლას პალმასი**

1:0 რეგი (12), 2:0 კონგო (87)

**ლეგანესი 0:0 ხეტაფე**

**ტერასა 2:2 უელვა**

0:1 რაულ მოლინა (7), 0:2 მორენო (9), 1:2 როდრიგესი (79), 2:2 მოლისტი (75)

**ეიბარი 2:2 სპორტინგი**

1:0 ბრიტი (50პ), 1:1 ბორეგერო (51), 2:1 ბრიტი (69პ), 2:2 რუბენი (89)

**სიუდად მურსია 1:1 ალმერია**

1:0 ლაბაკა (27), 1:1 ფრანსისკო (83პ)

**რაიო ვალეკანო 2:2 ალხესირასი**

1:0 ლუის სემბრანოსი (5), 1:1, 1:2 ხოსე მარი (9, 44), 2:2 პერაგონი (88)

**ნუმანსია 3:0 მალაგა B**

1:0 პინედა (28), 2:0 როსუ (47), 3:0 კომე (54)

**პოლი ეხიდო 1:1 კორდობა**

0:1 სილვიო გონსალესი (14), 1:1 კალადო (41პ)

**საბოლოო ცხრილი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ლევანტე | 38 | 19 | 12 | 7 | 48:28 | 69 |
| ნუმანსია | 38 | 19 | 10 | 9 | 53:27 | 67 |
| ალავესი | 38 | 18 | 13 | 7 | 43:27 | 67 |
| სპორტინგი | 38 | 18 | 10 | 10 | 54:36 | 64 |
| ხეტაფე | 38 | 16 | 16 | 6 | 44:32 | 64 |
| უელვა | 38 | 13 | 19 | 6 | 42:29 | 58 |
| კადისი | 38 | 16 | 9 | 13 | 49:40 | 57 |
| ხერესი | 37 | 12 | 16 | 9 | 43:42 | 52 |
| ეიბარი | 38 | 12 | 15 | 11 | 39:31 | 51 |
| ტენერიფე | 38 | 9 | 20 | 9 | 31:33 | 47 |
| ტერასა | 38 | 12 | 11 | 15 | 37:41 | 47 |
| სიუდად მურსია | 38 | 10 | 16 | 12 | 48:58 | 46 |
| ელჩე | 38 | 12 | 10 | 16 | 45:58 | 46 |
| სალამანკა | 38 | 9 | 18 | 11 | 43:41 | 45 |
| ალმერია | 38 | 9 | 17 | 12 | 41:44 | 44 |
| მალაგა B | 38 | 10 | 14 | 14 | 39:50 | 44 |
| კორდობა | 38 | 9 | 15 | 14 | 33:38 | 42 |
| ლეგანესი | 38 | 8 | 18 | 12 | 31:40 | 42 |
| პოლი ეხიდო | 38 | 10 | 12 | 16 | 27:38 | 42 |
| რაიო ვალეკანო | 38 | 10 | 8 | 20 | 41:60 | 38 |
| ლას პალმასი | 38 | 8 | 13 | 17 | 41:64 | 37 |
| ალხესირასი | 37 | 5 | 14 | 18 | 33:48 | 29 |

## საფრანგეთი

### I დივიზიონი. XXXVIII ტური

**ლიონი 3:0 ლილი**

1:0 გოვუ (40), 2:0 მ. დიარა (52პ), 3:0 ლუინდულა (78)

**მარსელი 2:1 გენგამი**

1:0, 2:0 მარლე (13, 41), 2:1 ტალუ (75)

**ბასტია 0:1 პსჟ**

0:1 პაულეტა (53)

**ნიცა 1:1 ოსერი**

1:0 ლარბი (71), 1:1 ლ. მატისი (85)

**ნანტი 3:1 სოშო**

1:0 და როშა (6), 2:0 იაპი-იაპო (33), 2:1 ს. დიავარა (60), 3:1 სავინო (70)

**ლე მანი 3:0 ლანსი**

1:0 ბონარი (19), 2:0 ტომა (53), 3:0 პანკრატი (73)

**აიაჩო 3:1 მეცი**

0:1 მაულიდა (31), 1:1, 2:1, 3:1 დიომედი (39პ, 45, 55)

**რენი 4:0 მონპელიე**

1:0 ა. ფრეი (13), 2:0 ლ. დიატა (27), 3:0 ა. ფრეი (63), 4:0 ბრენდი (87)

**სტრასბური 0:0 ტულუზი**

**ბორდო 1:3 მონაკო**

1:0 რიერა (14), 1:1 ადებაიორი (24), 1:2 ბერნარდი (76), 1:3 ნონდა (78)

**საბოლოო ცხრილი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ლიონი | 38 | 24 | 7 | 7 | 64:26 | 79 |
| პსჟ | 38 | 22 | 10 | 6 | 50:28 | 76 |
| მონაკო | 38 | 21 | 12 | 5 | 59:30 | 75 |
| ოსერი | 38 | 19 | 8 | 11 | 60:34 | 65 |
| სოშო | 38 | 18 | 9 | 11 | 54:42 | 63 |
| ნანტი | 38 | 17 | 9 | 12 | 47:35 | 60 |
| მარსელი | 38 | 17 | 6 | 15 | 51:45 | 57 |
| ლანსი | 38 | 15 | 8 | 15 | 34:48 | 53 |
| რენი | 38 | 14 | 10 | 14 | 56:44 | 52 |
| ლილი | 38 | 14 | 9 | 15 | 41:41 | 51 |
| ნიცა | 38 | 11 | 17 | 10 | 42:39 | 50 |
| ბორდო | 38 | 13 | 11 | 14 | 40:43 | 50 |
| სტრასბური | 38 | 10 | 13 | 15 | 43:50 | 43 |
| მეცი | 38 | 11 | 9 | 18 | 34:42 | 42 |
| აიაჩო | 38 | 10 | 10 | 18 | 33:55 | 40 |
| ტულუზი | 38 | 9 | 12 | 17 | 31:44 | 39 |
| ბასტია | 38 | 9 | 12 | 17 | 33:49 | 39 |
| გენგამი | 38 | 10 | 8 | 20 | 36:58 | 38 |
| ლე მანი | 38 | 9 | 11 | 18 | 35:57 | 38 |
| მონპელიე | 38 | 8 | 7 | 23 | 41:74 | 31 |

**ბომბარდირები**

| | |
|---|---|
| ჯ. სისე (ოსერი) | 26 |
| დროგბა (მარსელი) | 19 |
| ა. ფრეი (რენი) | 19 |
| პაულეტა (პსჟ) | 18 |
| ფრო (სოშო) | 17 |
| ლუინდულა (ლიონი) | 16 |

გენერალური სპონსორი
საქართველოს პროფესიული ფეხბურთის
ლიგა
ფეხბურთი
დავით ყიფიანის თასის ფინალი
დინამო თბილისი
VS
ტორპედო ქუთაისი
26 მაისი. ლოკომოტივის სტადიონი.
დასაწყისი 20:00
პროფესიული ფეხბურთის ლიგა და საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია გეპატიჟებიან ფინალურ მატჩზე. მობრძანდით, ისიამოვნეთ ფეხბურთით, თქვენ გელით სიურპრიზები ლიგის გენერალური სპონსორისაგან და ასევე პროფლიგის და სფფ-ის პარტნიორებისაგან
დასწრება უფასოა




# ფეხბურთის სურნელი

ამასობაში კი მოგვადგა ევროპის ჩემპიონატი ფეხბურთში.

თვრამეტი დღეღა დარჩა.

ამ მოახლოების სურნელი, დაახლოებით ისე, როგორც ოკეანის ტალღით მოტანილი ზღვის სურნელი, ლისაბონის, პორტოს, ფაროსა და სხვა ჯადოსნური ქალაქების მოედნებსა და ქუჩებში რომ დგას, მე პირადად შუა კვირაში შევიგრძენი ფიფას საიუბილეო ამხანაგური თამაშის ცქერისას, რომლის პირველ ტაიმშიაც ფრანგებს და ბრაზილიელებს განუმეორებელი ძველებური სამოსი ეცვათ და ფეხბურთის ისტორიის სიდიადისა და რომანტიკულობის შესახებ შეგვახსენებდნენ.

თამაში ზღვისპირიდან შორს, პარიზში იყო, მაგრამ ტალღებს მაინც მოჰქონდათ სურნელი ყველაზე დიდი და ნამდვილი ფეხბურთისა, სანაკრებო ფეხბურთი რომ ჰქვია. ახალ გერბსა და ჰიმნზე მსჯელობაში ჩაბმული ქართველობა, სანამ თავის ჰიმნს გაეჩვევა, სიამოვნებით მოისმენდა მარსელიეზას, მთელს ეკრანზე გაფენილი ფრანგი ფეხბურთელების სახეები კი ამ ზღაპრული ჰიმნის სმენისას, დიახაც, შემოაგდებდა მის გულში ევროპის ჩემპიონატის გარდაუვალი სიახლოვის ამბავს.

ასეთი ფეხბურთი აკეთილშობილებს გულშემატკივარს, თუნდაც იქ მსაჯი შეცდეს, ანაც რაიმე უფრო ყვითელი მოხდეს.

ასეთი ფეხბურთი ფეხბურთის განსაკუთრებული გემოა და ეს გემო რომ არა, ფეხბურთი ბევრად მოსაწყენი იქნებოდა.

ამავე დროს ჩვენ გვაქვს საქართველოს ჩემპიონატი ფეხბურთში და დღეიდან იწყება კვირა, რომელიც ლამის ყველაზე ტევადი და მნიშვნელოვანია სეზონში. 26 მაისს თასის ფინალია. ამას მოსდევს ის, რომ უნდა ითამაშოს ჟირესის საქართველოს ნაკრებმა, მერე კი ჩემპიონის ბედი წყდება. ცნობილია, რომ საქართველოს ახალი ჩემპიონი ეყოლება.

ამგვარი დახუნძლულობა იმ ორკვირიანი დაძაბულობის და სკანდალის შემდეგ, ჩემპიონობისთვის ბრძოლას რომ მოჰყვა, ერთი შეხედვით, საუცხოოა, ქართულ ფეხბურთს შიდა მხარე რომ არ ჰქონდეს და არასაფეხბურთო ამბებით რომ არ იყოს განთქმული. წლეულს სტადიონებზე ხალხმა იმატა და ამიტომაც ჩემპიონობის ფასი გაიზარდა. რაც მოხდა, მოხდა, „სარბიელი" ყოველდღე წერდა ამის თაობაზე. კარგი ის იყო, რომ ბოლო ტური სპორტულად ჩატარდა, ეს ყველაფერი კარგი გამოცდილებაა საგაისოდ.

მოდით, ხუმრობით მაინც, თავი გავიმართლოთ — ბრაზილიაშიც ასეა. ზუსტად ასეა ბრაზილიაში, საფეხბურთო ინტრიგები პირდაპირ ტელეეკრანზე თამაშდება. ოღონდ იმ განსხვავებით, რომ იქ ჩაწყობა არ არის. იქ ბრძოლის გამოა ინტრიგები. თანაც, გასულ კვირაში ბრაზილიელებისა და ფრანგების თამაშისათვის რომ გეყურებინათ, კიდევ ერთხელ მიხვდებოდით, რომ ეს სრულიადაც არ უშლის ხელს ბრაზილიელებს, რომ დიდებულად ითამაშონ ფეხბურთი. ალბათ იმიტომ, რომ იქ მხოლოდ ინტრიგები კი არ არის, არამედ ფეხბურთია და ინტრიგები ახლავს.

სურნელი კი მოდის, ძალიან შორიდან, დიდი ფეხბურთის სურნელი.

# მე არაფერში გამამტყუნოთ

## ჟირესმა ბოსკამპი არ დაიბრალა



*22 მაისს, ნაშუადღევს, ფეხბურთის ფედერაციაში ალენ ჟირესის პრესკონფერენცია გაიმართა, რომელსაც გია გურული და ახალგაზრდული ნაკრების მწვრთნელი გოჩა ტყებუჩავაც დაესწრნენ. ბუნებრივია, საუბარი იყო ისრაელის ნაკრებთან მომავალ მატჩსა და ეროვნული გუნდის მზადებაზე. სხვათა შორის, ჟირესი კარგი მისანი გამოდგა და საქართველოს ჩემპიონის გამოსავლენი საპლეიოფო მატჩი იწინასწარმეტყველა. ნაკრებში ეროვნულ ჩემპიონატში მოთამაშე ფეხბურთელების ნაკლებობაც სწორედ ამ გარემოებითა და 26 მაისის სათასო ფინალით ახსნა. დანარჩენი თავად განსაჯეთ...*

... ისრაელის ნაკრებთან მატჩი ამ სეზონში ბოლო საკონტროლო გამოცდა იქნება. შევადგინე სია, რომელშიც გავითვალისწინე ყველა მოულოდნელი ფაქტორი. ვიცოდი, რომ ზოგ ფეხბურთელს კლუბში შეექმნებოდა პრობლემები, ვინაიდან პრინციპული მატჩები აქვთ გასამართი. აუცილებლობამ მოითხოვა, უარი მეთქვა საქართველოს ოთხი კლუბის ფეხბურთელებზე — „დინამოს" და „ტორპედოს" თასის ფინალი აქვთ სათამაშო, „ვიტ ჯორჯიასა" და „სიონს" შორის კი არ გამოვრიცხავ საჩემპიონო მატჩის გამართვას. ვიცი, დემეტრაძეს და ჯამარაულსაც კლუბში უმნიშვნელოვანესი მატჩები ელით და ისინიც დაგვაკლდებიან. სიაში საგანგებოდ მყავდა შეყვანილი 22 ფეხბურთელი და ამიტომაც ძარასელიას და გვაზავას ტრავმები დიდ ცვლილებებს არ გამოიწვევს, 20 ფეხბერთელითაც შეიძლება მატჩისთვის მზადება. თუ კიდევ გამოგვაკლდება ვინმე, მხოლოდ ამის შემდეგ ვიფიქრებ, უკვე შერჩეული კანდიდატებიდან რომელს ვუხმო. დიდი მადლობა მინდა გადავუხადო კახა კალაძეს და მის „მილანს". მიუხედავად იმისა, რომ „მილანს" ჩინური ტურნე ეწყება, ფეხბურთელის ნაკრებში გამოშვებაზე დაგვთანხმდნენ.

... ისრაელის ნაკრებთან მატჩში ჩემი გუნდის პროგრესს ველოდები. მსურს, დავინახო ის შეთამაშება, რასაც მომავალში კიდევ უფრო დავხვეწთ.

... ჩემს ბლოკნოტში ორი სიაა: ჯანმრთელი ფეხბურთელებისა და მათი, ტრავმირებულები ან დისკვალიფიცირებულები რომ არიან.

... საქართველოს ჩემპიონატში მოთამაშე ფეხბურთელებზე საკმაოდ კარგი წარმოდგენა მაქვს. ჩემპიონატის მატჩებიც იმიტომ ვნახე, რომ მათზე შეხედულება ჩამომყალიბებოდა, თუმცა ამ მომენტისთვის ვარჩიე, საქმეში ლეგიონერები მენახა.

... პლატინი მართლაც შემპირდა, რომ ჩემს პირველ მატჩს დაესწრება, ოღონდ არა ამხანაგურ თამაშს, არამედ ოფიციალურს.

... მართალია, ისრაელის ნაკრებთან მატჩი ამხანაგურია, მაგრამ რაც შეიძლება ოპტიმალურად უნდა გამოვიყენოთ ფეხბურთელებზე დასაკვირვებლად.

... ისრაელის ნაკრებს ვიცნობ, გუნდი ცდილობს, ევროპულ ფეხბურთში თავისი ადგილი დაიმკვიდროს. მათ ორი ლეგიონერი ჰყავთ, თუმცა იოლი თამაში რომ არ იქნება, ამაში დარწმუნებული ვარ.

... ჩემი სამომავლო გეგმები ასეთია: ევროპის ჩემპიონატზე წავალ და ჩვენს მომავალ მეტოქეებს იქ დავაკვირდები. მოლდოვის ნაკრებთან ამხანაგურ მატჩამდე კი არანაირად არ ხერხდება სხვა მატჩის გამართვა.

... მე ახალგაზრდული ნაკრების მწვრთნელს შევუთანხმდი, რომ ფეხბურთელების გაყოფასთან დაკავშირებით პრობლემები არ შეგვექმნებოდა. ვისაც ტყებუჩავა ახალგაზრდული ნაკრებისთვისაც შეიგულებს, მასში ჩვენ არ შევეცილებით.

*გოჩა ტყებუჩავა:* ახალგაზრდულ ნაკრებში ისეთი კონტინგენტი შევარჩიეთ, რომლის ეროვნულ ნაკრებში თამაში ჯერ ნაადრევია, თუმცა ბედნიერი ვიქნები, თუ რომელიმე მათგანს ეროვნულ ნაკრებშიც მოითხოვენ.

*ალენ ჟირესი:* ახალგაზრდულ ნაკრებთან და ბოსკამპთან დაკავშირებით: მე ჩემი თავი მხოლოდ ნაკრების მწვრთნელი მეგონა და თურმე ფედერაციის პრეზიდენტიც ვყოფილვარ. ბოსკამპის დანიშვნა-არდანიშვნის საკითხს მე კი არა, ფედერაციის პრეზიდენტი წყვეტს.

**დავით ერაძე**

*რუსულ პრემიერლიგაში ოთარ ხიზანეიშვილის ნაგვიანევი დებიუტი შედგა. მოსკოვის „დინამომ" ვლადიკავკაზში 2:4 წაგების შემდეგ შემადგენლობა გადაახალისა, განსაკუთრებით დაცვის ხაზი. გუშინ „როსტოვთან" ხიზანეიშვილმა სასტარტოში დაიწყო თამაში. პირველ ტაიმში მან როსტოველების ორი მწვავე კონტრშეტევის ჩაშლაც შეძლო და ერთხელ სახიფათო საჯარიმოც დაარტყა.*

*მეორე ტაიმში დინამოელები გააქტიურდნენ, მაგრამ გოლი საკუთარ კარში მიიღეს. როსტოველებმა მე-60 წუთზე მოედანზე რატი ალექსიძეც შეუშვეს. როგორც ჩანს, ეს მატჩი გუებიკისთვის უკანასკნელი გამოდგება. „დინამოს" გულშემატკივრებმა გუნდი „პაზორ, პაზორ"-ის ძახილით გააცილეს.*

*ამ მატჩის თაობაზე ხიზანეიშვილს გუშინ ვესაუბრეთ*

# უმომენტო დინამო უმწვრთნელოდაც დარჩება



— „ალანიასთან" მატჩის შემდეგ გუებიკი დაცვის თმაშით უკმაყოფილო დარჩა და ვიცოდი, რომ „როსტოვთან" აუცილებლად მათამაშებდა. „ალანიასთანაც" ვიყავი 18-კაციან განაცხადში. საკმაოდ ძნელი თამაში იყო. „როსტოვმა" აქტიურად დაიწყო და საქმის ნაკლებობას ნაღდად არ ვუჩიოდი. მეორე ტაიმში ბავშვური შეცდომის გამო დავისაჯეთ და გოლიც მივიღეთ.

— ეს გოლი შენი ბრალი ხომ არ იყო?

— არა. ხელოვნური თამაშგარეს შექმნისას ჩვენი ფეხბურთელი ჩარჩა, დანჩევი მეკარესთან პირისპირ აღმოჩნდა და უპრობლემოდ გაგვიტანა.

— მაყურებელი უკმაყოფილოა. საეჭვოა, გუებიკი გუნდში დარჩეს...

— ასეა, მანამდეც უკმაყოფილონი იყვნენ „დინამოს" თამაშის ხარისხით და იმითაც, რომ მან 4-5 ფეხბურთელი ჩეხეთიდან ჩამოიყვანა.

— ალექსიძის შემოსვლის შემდეგ თქვენს კართან საგოლე მომენტებმა იმატა...

— რატი 0:1-ზე შემოვიდა. ჩვენ უკვე ვაბანკზე ვთამაშობდით და, ბუნებრივია, კონტრშეტევები გვეპარებოდა. რატის ორჯერ შეეძლო გატანა, მაგრამ ერთხელ მეკარემ არ გაატანინა, მეორედ კი ააცილა.

— „დინამოს" ფანობას უკმაყოფილება საკმაოდ ემოციურად გამოუხატავს...

— ამაში გასაკვირი არაფერია. დაცვას რომ თავი დავანებოთ, შეტევაც რამეს ხომ უნდა აკეთებდეს?! ერთფეროვანი მაღალი ჩაწოდებები იმის იმედად, რომ საჯარიმოში მაღალ ბურთს ბულიკინი მოიგებს, უაზრობაა. მომენტები ვერ შევქმენით და გულშემატკივრის აღშფოთებაც გასაგებია.

— ნაკრებში როდის მოდიხარ?

— ალბათ რატიც მოსკოვში დარჩება და ხვალ ერთად გამოვფრინდებით თბილისში.

**დავით ერაძე**

# მამა აბრამს ყველა ბატკანი არ ჩამოჰყავს

**ისრაელის** ეროვნული გუნდის მწვრთნელმა აბრაამ გრანტმა გუშინ ის 18 ფეხბურთელი დაასახელა, რომლებიც თბილისში ჩამოვლენ და 27 მაისს საქართველოს ნაკრებს გაუწევენ სპარინგობას.

ებრაელებს საკმაოდ შესუსტებული ნაკრები ჩამოჰყავთ — ტრავმის გამო მათ არაერთი წამყვანი ფეხბურთელი არ ეყოლებათ. თავად განსაჯეთ: მეკარეები შავიტ ელიმელეხი და ლირან სტრაუბერი, აგრეთვე ნახევარმცველები ეარიკ ბენადო, ეიალ ბერკოვიჩი და პინი ბალილი.

სამაგიეროდ, მწვრთნელმა ორი დებიუტანტი მიიწვია, ესენი ბეერ-შევას „ჰაპოელის" კარის დარაჯი ასი რაჰამიმი და „ნაზარეთის" მცველი აშრაფ სულეიმანი არიან.

ერთი სიტყვით, აბრაამ გრანტის 18 რჩეულია:

**მეკარეები:** *ნირ დავიდოვიჩი (მაკაბი, ჰაიფა), ასი რაჰამიმი (ჰაპოელი, ბეერ-შევა);*

**მცველები:** *ორი უზანი (მაკაბი, ნეთანია), ტალ ბენ-ჰაიმი (მაკაბი, თელ ავივი), ტომერ ბენ-იოსეფი (მაკაბი, ფეთაჰ თიკვა), აშრაფ სულეიმანი (ნაზარეთი), ადორამ კეისი (მაკაბი, ჰაიფა), იგალ ანტები, შიმონ გერშონი (ჰაპოელი, თელ ავივი);*

**ნახევარმცველები:** *აბას სუანი (ბნეი სახნინი), ავი ნიმნი (ბეითარი), იდან ტალი, ვალიდ ბადირი (მაკაბი, ჰაიფა), რავიდ გაზალი (მაკაბი, ნეთანია), იოსი ბენაიუნი (რასინგი, ესპანეთი);*

**თავდამსხმელები:** *ომრი აფეკი (რასინგი, ესპანეთი), შაი ჰოლცმანი (აშდოდი), ომერ გოლანი (მაკაბი, ფეთაჰ თიკვა)*

საქართველოს პროფესიული ფეხბურთის ლიგა

საქართველოს უმაღლესი ლიგა 15 ჩემპიონატი მეორე ეტაპი 10 ტური

# მერლანმა მკვდარი გააცოცხლა
## კოჭლაშვილმა დინამო გორში დაინახა


ლექსო ინწკირველის გოლმა „ვიტ ჯორჯია" ჩემპიონობას მიაახლოვა

**კობა ინასარიძე**

**მეორე** ტაიმი 15 წუთის დაწყებული იყო, „ვიტ ჯორჯიას" ღმერთმა რომ გადმოხედა და ნანატრი საჩემპიონო შანსი შეუნარჩუნა: „ვიტ ჯორჯია" მეკარე მირზა მერლანზე უნდა ლოცულობდეს, რომან გოგინაშვილის ორი მეტრიდან დარტყმულს რაღაც სასწაულებრივი რეაქცია რომ შეაგება და მკვდარი ბურთი მოიგერია.

ეს ბურთი კარში რომ შევარდნილიყო, ვინ იცის, მერე რა იქნებოდა, მატჩი როგორ გაგრძელდებოდა...

ის იყო, მერლანმა გოგინაშვილს არ გაატანინა, სავსე ტრიბუნაზე მავანმა ქომაგმა ჩაილაპარაკა, თუ სამართალია, ახლა „ვიტ ჯორჯიამ" უნდა გაიტანოსო. ისე აგიხდეთ ყველაფერი, როგორც იმ კაცს — ერთ წუთში „ვიტ ჯორჯიამ" გაიტანა: კუთხურიდან ოთარ მარცვალაძის ჩაწოდებულს ტანმაღალმა მასპინძელმა ვლადიმერ გოჩაშვილმა თავი შეაგება, კარის ხაზზე ზურაბ მამალაძემ იყოჩაღა, ბურთი მოიგერია, თუმც იქვე, ლექსო ინწკირველის ფეხთან, მისი დარტყმული კი ზუსტი გამოდგა. მატჩის კულმინაციაც ეს წუთი, 62-ე იყო, „ვიტ ჯორჯიამ" სეზონის უმთავრესი გოლი გაიტანა და საჩემპიონო საქმე პლეიოფამდე მიიყვანა. ინწკირველის გოლის მერე „ლოკომოტივი" ანგარიშის გამთანაბრებელი არ იყო... ისე, სიტყვამ მოიტანა და, თავის დროზე გოგინაშვილს რომ გაეტანა, ვეჭვობთ, მატჩი „ვიტ ჯორჯიას" სასარგებლოდ დამთავრებულიყო, გოლამდე და მის შემდეგაც ხომ „ლოკომოტივი" თავს ყოჩაღად იცავდა.

შაბათის ბოლო ტურის მატჩების დაწყებიდან 15 წუთში კი ჩემპიონი „დინამო" იყო — შვიდის თხუთმეტ წუთზე გორში გოლი დინამოელმა ლევან მელქაძემ გაიტანა. თბილისში კი ამ დროს „ვიტ ჯორჯიას" მწვრთნელი მერაბ კოჭლაშვილი ანერვიულდა და დაფაცურდა. მატჩის შემხედვარეს სანერვიულო და საფიქრალი მართლაც ბევრი ჰქონდა — მისმა კოლეგა ზაურ სვანაძემ მასპინძლებს კარგად ორგანიზებული დაცვა დაუპირისპირა, ისეთი, რომლის გარღვევაც „ვიტ ჯორჯიას" ძალიან გაუჭირდა.

ჰოდა, ადგა კოჭლაშვილი და მარცხენა ჰავბეკად მოთამაშე უნივერსალი გოჩაშვილი წინ გადაისროლა და თავდამსხმელთა დუეტი გოცირიძე-ადამია ტრიოდ აქცია. კოჭლაშვილმა შუა ხაზს მოაკლო კაცი, თუმც დეკანოსიძე-ნოზაძე-დილმელაშვილი თავიანთ საქმეს ისეც კარგად აკეთებდნენ, ნახევარდაცვას გოჩაშვილის გამოკლება დიდად არც დასტყობია, სამაგიეროდ, მისი თამაში დაეტყო თავდასხმას, „ვიტ ჯორჯიას" შეტევები უფრო მწვავე და სახიფათო გახდა. თუმც აქვე ვთქვათ, რომ მასპინძელთა გააქტიურების კვალდაკვალ აგრესია შეემატათ „ლოკომოტივის" ფორვარდებს გიორგი მიქაძესა და გოგინაშვილს. ერთიორჯერ მათ თანაგუნდელების დაწყებული საქმე მეტოქის კართან ეფექტურადაც გააგრძელეს, მაგრამ მაშინ, როცა ყველაზე მეტად იყო სიზუსტე საჭირო, რკინიგზელ თავდამსხმელებს სახეირო არაფერი გამოსდიოდათ.

შესვენებამდე ყველაზე სახიფათო მომენტი მამალაძის კართან შეიქმნა. წინგამოსულ მეკარეს რევაზ გოცირიძემ დაასწრო, ბურთი იქვე, საჯარიმოში მცველებსა და თავდამსხმელებს შორის აიბლანდა, საბოლოოდ ლაშა ნოზაძემ დარტყმა კი შეძლო, მაგრამ ააცილა.

მეორე ტაიმიც ისევე გაგრძელდა, როგორც პირველი დამთავრდა. „ვიტ ჯორჯია" უტევდა, მაგრამ, ცოტა არ იყოს, უმარილოდ, „ლოკომოტივი" კი დაცვაში მაგრად იდგა და მასპინძელს კარისკენ არ არტყმევინებდა... და როცა დაარტყმევინა, იმ ეპიზოდზე უკვე ვთქვით.

გოლის მერე ფეხბურთელები ანერვიულდნენ, ვითარება დაიძაბა და ისევ ფეხბურთელებს რომ არ მოეთოკათ ნერვები, ემანდ იქნებ დიდი რია-რიაც დაწყებულიყო, ყოველ შემთხვევაში, საამისო საფუძველი ინწკირველის გოლის შემდეგ მართლაც იყო.

მატჩის დამთავრებამდე დარჩენილ ნახევარ საათში საინტერესო და გამოსარჩევი ბევრი არაფერი მომხდარა. კოჭლაშვილმა შეცვლებით ჯერ შუა ხაზი გააძლიერა, მერე დაცვა, სადაც ისევ გოჩაშვილი ჩასწია და მატჩიც გამარჯვებამდე მიიყვანა... საბოლოო გამარჯვებამდე „ვიტ ჯორჯიას" ახლა მხოლოდ „სიონი" დარჩა.

თბილისი. 22 მაისი. 18 საათი. შევარდენი. 3 000 (ტევადობა 3 000)

## ვიტ ჯორჯია 1:0 ლოკომოტივი

1:0 ინწკირველი (52)

**ვიტ ჯორჯია:** მერლანი, კვახაძე (მარცვალაძე 46), ინწკირველი, კობიაშვილი, გველესიანი, დილმელაშვილი, ლ. ნოზაძე, ვ. გოჩაშვილი, დეკანოსიძე (ე. მერებაშვილი 83), ადამია, რ. გოცირიძე (დათუნაიშვილი 70)
*სათადარიგონი:* მამარდაშვილი; ი. შენგელია, ებანოიძე, ლ. მერებაშვილი
**მწვრთნელი:** მერაბ კოჭლაშვილი

**ლოკომოტივი:** მამალაძე, გ. [illegible], ლ. სალუქვაძე, ი. ვაშაკიძე, ორბელაძე, ზამთარაძე (ძამსაშვილი 79), მანწკავა (დათვაძე 83), სანიკიძე, მორჩილაძე (დ. დოლიძე 69), გ. ვ. მიქაძე, გოგინაშვილი
*სათადარიგონი:* ხაჩირაშვილი; კირვალიძე, სოსელია, გაგუა
**მწვრთნელი:** ზაურ სვანაძე

**გაფრთხილება:** მიქაძე (64), გოცირიძე (64), მანწკავა (71)

**მსაჯები:** მ. მეშკოვი; მ. ელიკაშვილი (ორივე თბილისი), გ. ჩიგოგიძე (სამტრედია); მ. მაისურაძე (თბილისი)

**სფფ-ის ინსპექტორი:** შ. ხინჩაგაშვილი


მერაბ კოჭლაშვილმა ბურთი და „ლოკომოტივი" აკენწლა


ორი ორზე: ირაკლი ვაშაკიძე, ვლადიმერ გოჩაშვილი, რევაზ გოცირიძე და რომან გოგინაშვილი

## საუკეთესო
### ვლადიმერ გოჩაშვილი



*უკვე რა ხანია, გოჩაშვილი იქ თამაშობს, სადაც გუნდს, მის ტაქტიკურ მონახაზს და მეტოქის წინააღმდეგობის დაძლევას სჭირდება. „ლოკომოტივთან" მან ნახევარდაცვაში დაიწყო, „ვიტ ჯორჯიას" თავდასხმაში რომ ძალა დასჭირდა, თავდამსხმელად ითამაშა. მატჩის ბოლოსკენ კი, ანგარიშის შენარჩუნება რომ იყო საჭირო, მცველობაც ცისრა.*

*და რაც მთავარია: მოედანზე გოჩაშვილი თითქოს არ ჩანდა, თუმც ძალიან ბევრი იმუშავა და გუნდის მოგებაში ლომის წილი სწორედ მისია.*

# ოქრო გუნდი მაისში გაირკვევა

**მაშ ასე,** მეთხუთმეტე ეროვნულმა ჩემპიონატმა „ოქროს მატჩი" მოგვიტანა — „ვიტ ჯორჯიამ" და „სიონმა" თანაბარი ქულები დააგროვეს და ჩემპიონატის დებულების თანახმად ოქროს მედლებისთვის ეს გუნდები ერთმანეთს ნეიტრალურ სტადიონზე დაუპირისპირდებიან.

ხვალ საქართველოს პროფესიული ფეხბურთის ლიგაში „ვიტ ჯორჯიასა" და „სიონის" წარმომადგენლებთან ერთად იმაზე იმსჯელებენ, თუ როდის და რომელ სტადიონზე გაიმართება ეს შეხვედრა. ჯერ კი მხოლოდ ისაა ცნობილი, რომ ვიტელები და ბოლნისელები „ოქროს მატჩს" 29, 30 ან 31 მაისს ითამაშებენ.

ეროვნული ბიბლიოთეკა




ავთანდილ ბეჟაშვილის ფოტო

თბილისი. 22 მაისი. 18 საათი. ისანი. 3 000 (ტევადობა 3 000)

## თბილისი 0:1 სიონი

0:1 გაბისკირია

**თბილისი:** გრიშიკაშვილი, ქემოკლიძე (ჯიქია 46), გ. კვარაცხელია, დ. ოდიკაძე (ელიავა 84), გეწაძე, ფიფია, ხოჯავა, მესხი, აფციაური, გოგიტა გოგუა, გ. ნოდ. ჭელიძე (მიკუჩაძე 67)
*სათადარიგონი:* ნაჭყეპია; ტყებუჩავა, ლოლაძე
**მწვრთნელი:** გიორგი დევდარიანი

**სიონი:** ა. ლაბაძე, ჭიჭვეიშვილი, ს. ბურნაძე (გვასალია 90), ბაქრაძე, გილაური, თ. უხრეხელიძე, სვანიძე, სიჭინავა, ო. ონიანი, გაბისკირია, გ. შენგელია (კ. ალადაშვილი 56)
*სათადარიგონი:* შეყლაშვილი; დარსანია, გ. დოლიძე, ისიანი, ვ. უგრეხელიძე
**მწვრთნელი:** თემურ მახარაძე

**გაფრთხილება:** სვანიძე (40), ალადაშვილი (87)

**მსაჯები:** ა. ორდინიძე (ონი); ზ. მენთეშაშვილი (თბილისი); ლ. მიქელაძე (სამტრედია); ზ. ანიაშვილი (გორი)

**სფფ-ის ინსპექტორი:** ვ. ბარქაია

# ბოლო სიმღერით და კონიაკით

**პაატა კვანტალიანი**

**ჩვენ სუფთა** საფეხბურთო ატმოსფეროში მოვხვდით. კარგი მოედანი, გადაჭედილი ტრიბუნები, ექსტრავაგანტული, მოულოდნელი ქომაგი და ჩინებული თამაში. კმაყოფილი ვარ, Mon amie — მეგობრულად მხარზე ხელი დამკრა ალენ ჟირესმა. ეროვნული ნაკრების ფრანგმა თავკაცმა ბოლო ტურის სამი გადამწყვეტი მატჩიდან „თბილისი" — „სიონი" შეარჩია და, ალბათ, არც შეცდა.

— ფეხბურთში ხშირად ხდება ასეთი რამ: ერთი გუნდი კარგად თამაშობს, ეფექტურ, ლამაზ კომბინაციებს ხლართავს, მეტოქის კარს არ შორდება, მაგრამ თამაშს მაინც აგებს. დღესაც ასე იყო, „თბილისი" სჯობდა მეტოქეს, მაგრამ „სიონს" მებრძოლის სული აღმოაჩნდა და ამის წყალობით მიაღწია მიზანს — ეს თქვა ჟირესმა და თანაშემწე გია გურულთან ერთად „ისნის" ლოჟა დატოვა.

ჟირესი მართალია, „სიონი" ვერაფერს გახდებოდა. ბოლომდე რომ არ დაედო თავი. რაც შეეძლოთ, ის სანიმუშოდ აკეთეს ბოლნისელებმა. მახარაძის გუნდს შეგნებული ჰქონდა, რომ უკან დასახევი გზა არ იყო. მტრის ალყას სასწაულებრივ რომ დაუძვრება მცირე ჯგუფი — ამას ჰგავდა ისნური მატჩი და ლოგიკური იყო, ბრძოლაგადახდილ გამარჯვებულებს მასპინძელთა ქომაგმაც რომ დაუკრა ტაში.

თემურ მახარაძემ თავის სტილს არ უღალატა — „სიონმა" დიდხანს იბრძოლა პირველი გოლისთვის, შეაგდო და მერე ჩახურა თამაში — დაცვაში ჩაუჯდა მეტოქეს და, ბუნებრივია, დიდადაც დაიტვირთნენ ბოლნისელები. განსაკუთრებით დიდი დაწოლა დავით ბაქრაძეზე და სანდრო ბურნაძეზე იყო, მაგრამ ორივემ ჩინებულად გაართვა თავი საქმეს. გამორჩევით ბაქრაძეზე უნდა ვთქვათ, ერთხელაც არ შემცდარა, რამდენჯერმე ოსტატური თამაშით ჩაშალა მეტოქის საგოლე შეტევა.

დებიუტშივე ეტყობოდა საგოლე ჟინი ორივე გუნდს. მასპინძელთაგან გოჩა ხოჯავა გამოირჩეოდა. მან რამდენჯერმე სახიფათოდ შეაცურა ბურთი „სიონის" საჯარიმოში, თუმც გოლამდე საქმე არ მისულა. ბოლნისელთაგან კი შენგელიას შეეძლო გატანა, მაგრამ საჯარიმოში დასარტყმელად შემართულს კვარაცხელია წამოეპარა და კუთხურზე გადაუგდო ბურთი. უფრო მაღალი ტემპი იყო ტრიბუნებზე, ბოლნისელები გულიანად, სიმღერ-სიმღერით ქომაგობდნენ თავის გუნდს. რაც დრო გადიოდა, სტუმართა ქომაგს ჟინი და ენერგია ემატებოდა და ამის მიზეზი კონიაკიც გახლდათ — ბოთლები ხელიდან ხელში გადადიოდა და სწრაფადაც იცლებოდა.

32-ე წუთზე ლამის ჩამოინგრა ტრიბუნა — „სიონმა" კუთხურის ხაზთან ახლოს ჯარიმა მოიპოვა. ბურთთან იური გაბისკირია მივიდა, მორაგბესავით დიდხანს უტრიალა ბურთს და ბოლოს სასწაულებრივ ჩაუხვია გრიშიკაშვილს... ო, ლა-ლა — წამოიყვირა ჟირესმა... მართლაც ეფექტური გოლი იყო.

„თბილისი" გაბრაზებული დაიძრა მეტოქის კარისკენ და ტაიმის ბოლომდე ორჯერ ახლოსაც იყო მიზანთან. ჯერ ხოჯავამ შეუქმნა საგოლე მომენტი კვარაცხელიას, მაგრამ ამ უკანასკნელმა მოუზომლად დაარტყა ხუთიოდე მეტრიდან. 42-ე წუთზე კი ავთანდილ ლაბაძემ სასწაულებრივ იხსნა „სიონი": აფციაურის ფლანგური პასისას ჭიჭვეიშვილი შეცდა და ფიფია საპენალტესთან მარტოდმარტო დარჩა ბურთიანად — ლაბაძის თავგანწირული ნახტომი ზუსტი და შედეგიანი იყო.

მეორე ტაიმში ბოლნისელები იშვიათად გადადიოდნენ „თბილისის" ნახევარზე, თუმც რამდენჯერმე მწარედ უჩხვლიტეს მეტოქეს. განსაკუთრებით სახიფათო მომენტი „სიონმა" მე-80 წუთზე შექმნა, როდესაც სწრაფი კონტრიერიშისას ალადაშვილმა მოზომილი პასით მეკარეს შეატოვა სვანიძე და „თბილისი" ძელმა იხსნა გოლისგან. ამ მომენტამდე მასპინძლებს არაერთი საგოლე შანსი ჰქონდათ, მაგრამ სასწაულებს სჩადიოდა ავთანდილ ლაბაძე. ბოლნისელთა სათადარიგო მეკარემ ორჯერ სამ-ოთხი მეტრიდან დარტყმული ბურთი აუღო გეწაძეს და აფციაურს.

საფინალო სასტვენის შემდეგ სტუმარ-მასპინძელი ერთმანეთს წაეკიდა. თუმც თავად ფეხბურთელებმა მალევე განმუხტეს ვითარება, ტრიბუნაზე კი კარგა ხანს არ დაშლილა ბოლნისელთა ქომაგი. მათი სიმღერის ხმა სტადიონის გარეთაც დიდხანს ისმოდა.

## საუკეთესო

### *ავთანდილ ლაბაძე*



*სიონელთაგან რამდენიმე მოთამაშის გამორჩევა შეგვეძლო, საუკეთესოობას კი, ვფიქრობთ, მაინც ბოლნისელთა მეკარე იმსახურებს. ლაბაძეს დიდი ტვირთი დააწვა, რადგილა ლამის მუდმივად სათადარიგოს უმნიშვნელოვანესი თამაში ანდეს. ლაბაძემ საქმე ჩინებულად გააკეთა, კარი მშრალად შეინახა და მეტოქის არაერთი მწვავე შეტევა მოიგერია.*

# ხალხზე მეტი იყო გოლი

**გოჩა ჯანაშია ოზურგეთიდან**

**როგორც** იქნა, ოფიციალურად დასრულდა ოზურგეთელთა საუმაღლესო ტანჯვა-წამება. ეს სეზონი მათთვის მწარე გაკვეთილი იქნება, ასე დაუფიქრებლად და მოუმზადებლად მაღალ მიზნებზე ფიქრი გურულებს, ვინძლო, აზრადაც არ მოუვიდეთ.

კლუბის მესვეურებმა საამატჩოდ ძლივს შეკრიბეს ხალხი. საამისოდ მათ რამდენიმე ახალბედა მოიშველიეს, თუმცა ამას რაღა მნიშვნელობა ჰქონდა.

მცხეთელები რომ გაიმარჯვებდნენ, ეს არავის ეეჭვებოდა, მაგრამ იქნებოდა კი ეს სამი ქულა დარჩენის გარანტია? სიმართლე გითხრათ, მათ ასეთი პერსპექტივის არც სჯეროდათ და რაკი გრძნობდნენ, რომ ბათუმში „კოლხეთი" უცილობად მოიგებდა, პლეი ოფს აქედანვე შეგუებულნი იყვნენ.

ეს გოლებით დახუნძლული შეხვედრა 12 წუთის დაგვიანებით დაიწყო. მატჩის ინსპექტორმა ზურაბ პეტრიაშვილმა ჩვეული პრინციპულობა გამოიჩინა და სანამ ოქმში პოლიციელის ხელმოწერა არ დააფიქსირა, მანამდე არ მისცა უფლება გუნდებს, ეთამაშათ.

ოთხ-ოთხი გოლი დაიტია თითო ტაიმმა, ოღონდ ერთი განსხვავებით — პირველში ორივე გუნდმა თანაბრად გაიტანა, მეორეში მხოლოდ სტუმრები ზეიმობდნენ. ყველაფერი კი მე-18 წუთიდან დაიწყო, როცა პარამონოვმა თავით დალაშქრა გოგუას კარი.

ტაიმის ბოლო რვა წუთი შედეგიანობით გამოირჩა. ჯერ სიამაშვილმა გააყაიმა მოხდენილი გარღვევით, თუმც ერთ წუთში გია თოდუამ სტატუს-კვო აღადგინა. „მერცხალი" ერთ გოლს არ დაჰყაბულდა და თორიამ ეფექტური დარტყმით ბურთი შორეულ ცხრიანში ჩაახვია.

შესვენების შემდეგ მხოლოდ ერთი გუნდი — „მცხეთა" თამაშობდა და გაჰქონდა კიდეც. თამაშის განახლებიდან ათ წუთში ყველაფერი ცხადი შეიქნა. ჯერ ბესარაშვილმა ისევ თავურით დააწინაურა თავისიანები, ხუთ წუთში კი ქებაძემ 2:4 გახადა.

ქებაძე და თოდუა ყველაზე მეტად მონდომებულნი ჩანდნენ, ჰოდა, ამან შედეგი კიდევ ორჯერ გამოიღო. ორივე შემთხვევაში ქებაძემ ასისტენტობა ითავა, თოდუამ კი გატანა და მთლიანობაში ჰეთ თრიქსაც გამოჰკრა ხელი.

„მცხეთამ" სიცილ-სიცილში კი მოიგო, მაგრამ წინ მძიმე საპლეიოფო ჯახი ელის ქვედალიგელ მეოთხეადგილოსანთან. ეს კი უფრო „რუსთავი" იქნება, ის გუნდი, რომელიც თავის დროზე მცხეთელებმა სწორედ გადათამაშებაში დაამარცხეს და მისი ადგილი თავად დაიკავეს.

ოზურგეთი. 22 მაისი. 18 საათი. ცენტრალური. 50 (ტევადობა 8 000)

## მერცხალი 2:6 მცხეთა

0:1 პარამონოვი (18), 1:1 სიამაშვილი (37), 1:2 თოდუა (38), 2:2 თორია (42), 2:3 ბესარაშვილი (50), 2:4 ქებაძე (55), 2:5, 2:6 თოდუა (71, 84)

**მერცხალი:** გია გოგუა, უ. ჩხაიძე (კვერღელიძე 79), მჟავანაძე, კვირკვია, ხამაშურიძე (თავდიშვილი 46), გ. წივწივაძე, მებონია, მოწყობილი, სიამაშვილი, თორია, კვაჭანტირაძე (რამიშვილი 46)
**მწვრთნელი:** აკაკი ათუაშვილი

**მცხეთა:** ცინაძე, რაქვიაშვილი, ჯაფარიძე, ძაგნიძე, გვარუციძე, კახნიაშვილი (კიკალიშვილი 46), ბესარაშვილი, ლ. ქებაძე, ბ. ნოზაძე (ფურთუხია 46), გ. თოდუა, პარამონოვი (მ. ნოზაძე 69)
*სათადარიგონი:* ლურბელაშვილი; მგელაძე
**მწვრთნელი:** ჯანო ფოფხაძე

**გაფრთხილება:** თორია (60)

**მსაჯები:** ლ. სილაგავა (თბილისი); კ. გაბრიაძე, ნ. რუსიშვილი; გ. კიკაჩეიშვილი (სამივე ქუთაისი)

**სფფ-ის ინსპექტორი:** ზ. პეტრიაშვილი

# დინამოს ბოლოსიტყვაობა: ნუ შევქმნით ტრაგედიას

გორი. 22 მაისი. 18 საათი. თენგიზ ბურჯანაძე. 500 (ტევადობა 8 230)

## დილა 1:2 დინამო

0:1 მელქაძე (15), 0:2 დვალი (44), 1:2 ჩიტაია (49)

| | |
|---|---|
| **დილა:** სოლოღაშვილი, ბალაშვილი, ლომიძე, ზ. ლაცაბიძე, საყვარელიძე, ბ. ჩიტაია, ბ. შელია (ძოძუაშვილი 40), მასურაშვილი (სულთანიშვილი 46), შატაკიშვილი, რაზმაძე, ლ. გოჩაშვილი. სათადარიგონი: თ. ილურიძე, ოლეგსაშვილი, სანიაშვილი, მალანია, თამაზაშვილი. **მწვრთნელი:** ზურაბ ხორგუაშვილი | **დინამო:** გვარამაძე, შაშიაშვილი, სილაგაძე, კანდელაკი, აშვია, გ. ნემსაძე (რომერო 66), კარლოსი (გრიგალაშვილი 49), კაკალაძე, კვირკველია, დვალი, მელქაძე (ზმალაძე 72). სათადარიგონი: ზოიძე; გიგაური, ახალაია, ანზაბიძე. **მწვრთნელი:** გია გეგუჩაძე |

**მსაჯები:** ა. შალამბერიძე (ქუთაისი); ა. სამხარაძე (სოხუმი), გ. ცირდავა (გულრიფში); დ. სანაია (სოხუმი)

**სფფ-ის ინსპექტორი:** ბ. ქარქაშაძე

**დავით თავართქილაძე** გორიდან

**გორელ** გულშემატკივრებს სტადიონზე მისვლით და თავისი გუნდის ქომაგობით თავი დიდად არ შეუწუხებია, თითქოს შეგუებული იყო „დილას" წაგებას, თუმცა თამაში მთლად მოსაწყენი და ულაზათო არ გამოდგა — სახიფათო მომენტები ორივე გუნდმა საკმაო შექმნა.

თითქოს „დინამოც" შეგუებული იყო ჩემპიონობის დაკარგვას — დინამოელთა შტაბში ის ფაცი-ფუცი და დაძაბულობა არ სჩვეოდა, ბოლო წუთამდე რომ ელი, რაღაც მოხდებაო. აკი თქვა კიდეც ნამატრევმა გია გეგუჩაძემ, ტრაგედიას ნუ შევქმნით, ჩემპიონატზე ხელმოცარვის გამოსწორებას თასის მოგებით შევეცდებითო. „დილას" თაკაცმა ზურაბ ხორგუაშვილმა კი გვითხრა, საგოლე მომენტები მეტოქეზე მეტი შევქმენით, მაგრამ მაღალი დონის ფორვარდები რომ არ გვყავს, ყველაფერი მაგის ბრალია, მომდევნო სეზონში კი აუცილებლად რომელიმე ევროსაგზურის მოსაპოვებლად ვიბრძოლებთო.

... თამაში „დინამოს" შეტევებით დაიწყო, ბურთს მეტწილად სტუმრები ფლობდნენ, გოლი გორის ნაქები ვაშლივით მწიფდებოდა და „დინამოც" დაწინაურდა — კაკალაძე მოხდენილად დაბზრიალდა მეტოქის საჯარიმოში, კარის გასწვრივ გაგზავნა ბურთი, დასწრებაზე მელქაძე ითამაშა ჩინებულად და უზრდელი სიტუაციიდან ზუსტად დაარტყა.

„დილას" შეტევაში თითქოს არაფერი გამოსდიოდა, მაგრამ ერთ ეპიზოდში „დინამოს" დაცვა ჩაფლავდა, რაზმაძე გვარამაძესთან მარტო დარჩა, მაგრამ 4-5 მეტრიდან „დინამოს" მეკარეს დაუმიზნა ბურთი.

მალე გორელთა მეკარემაც გამოიდო თავი — კაკალაძეს აული, მაგრამ როცა კვირკველიამ კუთხური ჩააწოდა და საჰაერო ბრძოლა სილაგაძემ მოიგო, დვალმა ფაქტობრივად ცარიელ კარში გადაგზავნა ბურთი — 0:2.

შესვენების შემდეგ „დილა" უფრო მეტი მონდომებით ათამაშდა, რაც დაუფასდა კიდეც — შატაკიშვილმა მარცხენა ფლანგიდან ჩააწოდა, სილაგაძე და გვარამაძე შეცდნენ და ჩიტაიამ თავურით შეაგდო.

და მოჰყვა ამას გამოუყენებელი მომენტები: ძოძუაშვილმა თავით ვერ გაასწორა მიზანი, კაკალაძემ ძელს გაარტყა ბურთი, დვალმა თავით ახლოდან ვერ გაიტანა, კაკალაძემ ააცილა, ძოძუაშვილმა პირისპირ ვერ გაიტანა, სიზუსტემ კვირკველიასაც უმტყუნა, სულთანიშვილს გვარამაძემ ფეხით აულო...

გორის თინეიჯერმა ფანობამ კი დინამოელთა კაპიტანს დაუშინა ბილწი სიტყვები, არადა, გიორგი ნემსაძეს მათთვის საამისოდ არანაირი საბაბი არ მიუცია და წყობიდანაც გამოვიდა — იქითაც შეუკურთხა უგუნურთ. ასეთი რამ გორში პირველად როდი ხდება. როგორც ჩანს, იქაური სკაბრეზობა ისეთი ხელშეუხებელია, ვითარცა სტალინის ძეგლი გორში.



ლევან მელქაძემ საკუთარ გოლს ზურგსუკან გახედა

გურამ დოლენჯაშვილის ფოტო

### საუკეთესო

**დავით კვირკველია**



*გორელებს ბევრს უტევდნენ, მაგრამ „დინამოს" მარცხენა ფლანგი ამაში ყველაზე გამორჩეული იყო — დავით კვირკველიამ „დილას" დამცავი ეშელონები აიკლო და მატჩის საუკეთესო ფეხბურთელობა მასზე ალალი უნდა იყოს — „დინამოს" თითქმის ყველა მწვავე იერიში კვირკველიას მიერ იჩარხებოდა.*

# ზღვისპირული ძმისპირული

ბათუმი. 22 მაისი. 18 საათი. დინამო. 500 (ტევადობა 5 000)

## ბათუმი 1:3 კოლხეთი

0:1 შალამბერიძე (10პ), 0:2 გაბედავა (33), 1:2 მახარაძე (56), 1:3 ნემსაძე (63ს.კ.)

| | |
|---|---|
| **ბათუმი:** ი. ბალაძე (ქვაჩახია 45), მახარაძე, ბესო თედორაძე, თ. ნემსაძე, გუშარაშვილი (ქაცარავა 38), კალანდია, იალამიძე, გვიანიძე, დიდია, ფირცხალაიშვილი (რომანაძე 45), ბეჟანიძე. სათადარიგონი: ბეგლარ თედორაძე, დარჩიძე. **მწვრთნელი:** ასლან ბალაძე | **კოლხეთი:** ჩემია, ქუტიძე, აკობია, ჭითანავა, დ. ნარსია, თაყაძე (კრასოვსკი 55), ლალანიძე (კუნჭულია 53), ჯ. შალამბერიძე, კალანდაძე, ზ. ქუთათელაძე, გაბედავა. სათადარიგონი: ბათიაშვილი; ქობულაძე, ლონლაძე, მარგალიტაძე. **მწვრთნელი:** დავით მახარაძე |

**გაფრთხილება:** ქუთათელაძე 36

**მსაჯები:** ა. შილაკაძე; ზ. ჯვარიძე (ორივე თბილისი), ი. აფციაური (დუშეთი); ბ. დოგრაშვილი (ქუთაისი)

**სფფ-ის ინსპექტორი:** ო. გუნთაძე

**გიორგი მურვანიძე** ბათუმიდან

**„ბათუმს"** დასაკარგი არაფერი ჰქონდა. მოიგებდა თუ წააგებდა, უმაღლესში დასარჩენად მაინც გადათამაშება უწევდა, „კოლხეთს" კი, გადათამაშება რომ არ დასჭირვებოდა, აუცილებლად უნდა მოეგო.

„ბათუმმა", როგორც მოსალოდნელი იყო, დიდად არ გამოიდო თავი: ბალაძემ ძირითადის ფეხბურთელები არც ათამაშა.

ანგარიში მე-10 წუთზე გაიხსნა პენალტით. თამაშის ანტიგმირმა ნემსაძემ უწყინარ სიტუაციაში მოცელა თაყაძე, გოლი კი შალამბერიძემ გაიტანა.

ბათუმელები მეტოქის ნახევარზე გადასვლით თავს არც იწუხებდნენ, საკუთარ ნახევარზე აგორებდნენ ბურთს ისე, თითქოს იგებდნენ. მალე გაბედავა მთელმა ბათუმმა გაატარა, ისიც შეიჭრა საჯარიმოში, დაარტყა, მაგრამ ააცილა, მისი დარტყმა კი საგოლე 33-ე წუთზე აღმოჩნდა. ქუთათელაძემ ჩააწოდა, გაბედავამ ნემსაძეს აჯობა, მასზე მაღლა ახტა და ეფექტური თავურით ანგარიში 0:2 გახადა. ამან ბათუმელები არც კი ააღელვა, მშვიდად განაგრძობდნენ ბურთის გორებას საკუთარ ნახევარზე.

მეორე ტაიმში ბათუმელთა კაპიტანმა ივანე მახარაძემ, მთლად ხელცარიელი როგორ დავრჩეთო და, გატანა მოინდომა. 52-ე წუთზე ძელს მოარტყა ბურთი, 56-ეზე კი გვიანიძესთან კედელი გაითამაშა, ორი მცველი ჩამოიშორა და ტექნიკურად შეუგორა მეკარეს ბურთი. ეს იყო და ეს „ბათუმის" ფეხბურთი. 63-ე წუთზე კი ნემსაძემ საკუთარ კარში ჩაჭრა ბურთი. ბათუმელებმა ბოლოსკენ ორჯერ გაიფართხალეს. ჯერ ჩემიამ 20-21 მეტრიდან დარტყმული ჯარიმა აულო გვიანიძეს, 89-ე წუთზე კი გვიანიძემ ბეჟანიძე შეატოვა ჩემიას, მაგრამ ამან ვერ იხეირა. აქვე გაისმა მსაჯის სასტვენის ხმა. „ბათუმს" გადათამაშება უწევს, ხოლო „კოლხეთს" ბათუმელთა უხეირო თამაშის წყალობით მომავალზე ფიქრის საშუალება მიეცა.

# მობრძანდით, ღიაა

ქუთაისი. 22 მაისი. 18 საათი. ტორპედო. 300 (ტევადობა 20 000)

## ტორპედო 3:4 სპარტაკი

1:0 დავითაშვილი (27), 1:1 კვერენჩხილაძე (28), 1:2 ტატანაშვილი (33), 2:2 დავითაშვილი (50), 3:2 დარსაძე (57), 3:3, 3:4 შალამბერიძე (71, 89)

| | |
|---|---|
| **ტორპედო:** გ. გაბელია (რევიშვილი 48), ჯანჯალია, მემარნიშვილი, ადუაშვილი, გ. ჩხეტიანი, ჭინჭარაული, ლალაძე, მუმლაძე, ხუციშვილი, დავითაშვილი (ლომაშვილი 71), გ. დარსაძე. სათადარიგონი: ნერგაძე, ლ. ჭელიძე, გამეზარდაშვილი, მახვილაძე, ბოლქვაძე. **მწვრთნელი:** ოთარ გაბელია | **სპარტაკი:** კანკაძე, დონდოლაძე, ჟვანია, ა. იმნაიშვილი, ჩიკვილაძე, ჯანგიძე, მჭედლიშვილი (ს. შელია 18), კ. შალამბერიძე, ი. სამხარაძე (დანელია 78), კვერენჩხილაძე, ტატანაშვილი (მაღლაფერიძე 86). სათადარიგონი: დევაძე; პაპუაშვილი, ტაბიძე. **მწვრთნელი:** ბესიკ შეროზია |

**გაფრთხილება:** ჟვანია (66)

**მსაჯები:** ლ. ფანიაშვილი, ზ. ხუციშვილი, მ. ურუშაძე, ა. კრიჭაშვილი (ყველა თბილისი)

**სფფ-ის ინსპექტორი:** მ. ჭელიძე

**გია ამირანაშვილი** ქუთაისიდან

**ამ შეხვედრას** არავითარი მნიშვნელობა არ ჰქონდა. ნებისმიერი შედეგი მეტოქეებს ცხრილში იმავე ადგილზე ტოვებდა. გაბელიამ თასის ფინალის წინ ლამის მთელი ძირითადი შემადგენლობა დაასვენა, სასტარტოში მხოლოდ დავითაშვილი დააყენა. ეს იყო თამაში — ღია კარის დღე. თითქმის მთლიანად იყო მოშლილი დაცვა, აქცენტი ორივე მხარემ შეტევაზე გააკეთა და მცირერიცხოვანმა მაყურებელმა აკი შვიდი გოლი და დაახლოებით სამი ამდენი სახიფათო მომენტი იხილა. თანაც მომენტების დიდი ნაწილი მეკარესთან პირისპირ გასვლა იყო. თავიდან „ტორპედო" აქტიურობდა. დავითაშვილს კარგი შანსი ჰქონდა, მაგრამ მახვილი კუთხიდან ვერ გაიტანა. მალე ათწუთიან მონაკვეთში სტუმრებმა ოთხი რეალური მომენტი გაანიავეს. სამჯერ ტატანაშვილს, ერთხელ კი კვერენჩხილაძეს უნდა გაეტანათ. ანგარიში დავითაშვილმა 27-ე წუთზე გახსნა, როცა საჯარიმოში ოთხ მცველს თავბრუ დაახვია და ცარიელ კარში შეაგორა — 1:0. ერთ წუთში სამხარაძემ კვერენჩხილაძეს დაუგორა და მანაც ქუსლით ეფექტური გოლი გაიტანა — 1:1. მალე ტატანაშვილმა საჯარიმოში მიიღო ბურთი და ძლიერი დარტყმით თავისიანები დააწინაურა.

შესვენების შემდეგ გუნდებმა კიდევ ორ-ორი გოლი გაცვალეს. ჯერ დავითაშვილმა გაიტანა ახლოდან და ბომბარდირობაზე სერიოზული განაცხადი გააკეთა, შემდეგ კი დარსაძემ გამოიყენა „აბრეზას" პასი და უკვე „ტორპედო" დაწინაურდა. ამის შემდეგ „ტორპედომ" უარი თქვა შეტევაზე და უკან დაიხია, რითაც კარგად ისარგებლა კობა შალამბერიძემ და ორჯერ ახლოდან დარტყმით თავისიანებს არაფრისმომცემი სამი ქულა მოუტანა.

ცნობილი გახდა, რომ ქალაქის ხელმძღვანელობამ გაითვალისწინა გულშემატკივართა ინტერესი და ოთხშაბათს თასის ფინალზე დასწრების მსურველთათვის სამი ავტობუსი გამოყო.

# ტოტალიზატორი სახლში მიტანით

## გამოიწერეთ სარბიელი უფასოდ

*დღეს ისევე ძნელი დასაჯერებელია, როგორ ვიხდიდით მობილურ ტელეფონზე საუბრის ღირებულებას, სანამ ბარათები გამოვიდოდა. ძნელი დასაჯერებელია, თუ საერთოდ როგორ ვცხოვრობდით მობილურების გარეშე. ადვილად შესაძლებელია, რომ რამოდენიმე ხნის მერე იმ სიახლეზეც ასე ვთქვათ, რომელსაც ტოტალიზატორი „კროკო“ ახლა ნერგავს.*

*ლაპარაკია ფსონის ჩასვლის და მოგების მიღების ახალ ფორმაზე, რომელიც რადაცით ჩამოგავს უკვე კარგად ნაცნობ სატელეფონო ბარათებით სარგებლობის წესს და მსგავსი მომსახურებაც უკვე არსებობს, თუმცა შესაძლებლობები „კროკოს“ „ტელკრედიტ“ ბარათებს ბევრად მეტი აქვთ*






მერაბ [illegible] ფოტო

პრინციპი მარტივია. „კროკოს“ ნებისმიერ ბიუროში ყიდულობთ „ტელკრედიტ“ ბარათს. თუ გნებავთ, მას სახლშიც მოგართმევენ. ბარათები სხვადასხვა ფასისაა — 10, 20, 50, 100 და 500 ლარის ღირებულების. ეს ის თანხაა, რომლითაც თქვენ ფსონის ჩასვლას აპირებთ და შეგიძლიათ სურვილის მიხედვით გაანაწილოთ. მაგალითად, იყიდეთ 20-ლარიანი ბარათი. შეგიძლიათ, 20 ლარი ერთბაშად დადოთ რაიმე ვარიანტზე. შეგიძლიათ, რამდენიმე ვარიანტზე გადაანაწილოთ. შეგიძლიათ, ვთქვათ, 5 ლარი დადოთ, დანარჩენი 15 ლარი კი სხვა დროისთვის შემოინახოთ.

„ტელკრედიტის“ გააქტიურება ჩვეულად ხდება — გადაფხეკთ ბარათზე იმ ადგილს, რომლის ქვეშაც კოდი წერია. რეკავთ მითითებულ უფასო ნომერზე, კომპიუტერი დაიმახსოვრებს თქვენი ბარათის კოდს და მიმდინარე ანგარიშზე იმ თანხას დაგიფიქსირებთ, რამდენლარიანი ბარათიც შეიძინეთ.

ფსონის დადებაც ტელეფონით ხდება — რეკავთ და ოპერატორს თქვენს არჩეულ ვარიანტებს კარნახობთ.

კეთილი, მაგრამ როგორ შეადგენთ ვარიანტებს თუ „კროკოს“ პროგრამა არ გაქვთ? გამოდის, რომ „კროკოს“ ბიუროში მაინც უნდა მიხვიდეთ პროგრამისთვის? მაშინ ფსონსაც იქვე დადებთ და ბარათის აღება აზრს კარგავს.

კროკოელებმა ესეც გაითვალისწინეს — თუ თქვენ აქტიური მოთამაშე ხართ, „კროკო“ ვალდებულებას იღებს, „სარბიელი“ სახლში უფასოდ გამოგიწეროთ. ანუ თქვენ უკვე მოგებული რჩებით — აქამდე რაღაც თანხას „კროკოში“ დებდით და ან მოიგებდით, ან წააგებდით. „ტელკრედიტით“ კი „კროკოში“ ზუსტად იმავე თანხას დებთ, ისევ ან მოიგებთ, ან წააგებთ, მაგრამ გაზეთის საყიდი ფული კი, რომელშიც „კროკოს“ პროგრამაც არის დაბეჭდილი, დაგეზოგებათ — პროგრამასაც მიიღებთ და გაზეთსაც.

„ტელკრედიტი“ ერთგვარად ვალუტის გადამცვლელ პუნქტსაც შეგიცვლით. იმის მიუხედავად, რომ ფსონს ლარებში ჩადიხართ, მოგებული თანხა დოლარში ან ევროში შეგიძლიათ მოითხოვოთ. „კროკო“ ეროვნული ბანკის ოფიციალური კურსის მიხედვით გადაიყვანს თქვენს ფულს სასურველ ვალუტაში და საკომისიოსაც არ მოგთხოვთ.

ხოლო თუ საბანკო ანგარიში გაქვთ, თქვენი სურვილით „კროკო“ „ტელკრედიტიდან“ თანხას პირდაპირ საბანკო ანგარიშზე გადაგირიცხავთ.

სხვა შემთხვევაში, მოგებული თანხის მისაღებად მიდიხართ „კროკოს“ ნებისმიერ ბიუროში, წარადგენთ „ტელკრედიტის“ იმ ბარათს, რომლითაც თავდაპირველად ანგარიში გახსენით და იღებთ მოგებულ თანხას.

ერთი კითხვაც: ვთქვათ, „ტელკრედიტი“ დაკარგეთ, რა ხდება მაშინ?

„კროკო“ ასეთ გამოსავალს გთავაზობთ: თავიდანვე, როცა „ტელკრედიტს“ გააქტიურებთ, „კროკოს“ მონაცემთა ბაზაში თქვენი ვინაობაც ჩააწერინეთ და პრობლემა ამით მოიხსნება. თქვენი დაკარგული ბარათით თქვენს ფულს ვერავინ აიღებს.

„ტელკრედიტით“, როგორც მისი სახელიდანაც ჩანს, კრედიტით თამაშიც შეგიძლიათ. ეს ნიშნავს, რომ თუ თქვენ ანგარიშზე მქონი მთელი თანხა წააგეთ, „კროკო“ „ტელკრედიტის“ ღირებულების 10 პროცენტს კრედიტში გაძლევთ. თუ ამ თანხასაც წააგებთ, მის დაბრუნებას არავინ მოგთხოვთ, ხოლო თუ მოიგეთ, მოგებული თანხიდან მხოლოდ კრედიტის ფულს გამოგიქვითავენ.

„ტელკრედიტით“ სარგებლობის ძირითადი წესები ასეთია, სხვა საინტერესო საკითხებზე კი „კროკოს“ გენერალური დირექტორი *დიმიტრი აბესაძე* მოგვითხრობს.

**— მომსახურების ამ ფორმის შემოღება რატომ გადაწყვიტეთ?**

— ნებისმიერი კომპანია მუდმივად უნდა ვითარდებოდეს და თავის კლიენტებს მეტ სერვისს სთავაზობდეს. ეს ბიზნესის ჩვეულებრივი წესია. გეხსომებათ, წლების წინ, მოთამაშეს ხელით უხდებოდა ქვითრის შევსება. მერე კომპიუტერულ მომსახურებაზე გადავედით, რითაც კლიენტებს ფსონის დადების პროცესი გავუმარტივეთ. ახლა, „ტელკრედიტის“ შემოღებით, დარწმუნებულები ვართ, მოთამაშეებს მეტ კომფორტს შევუქმნით.

**— ეგებ დააკონკრეტოთ...**

— სულ უბრალოდ. ვთქვათ, ადამიანი სამსახურშია და ტოტალიზატორში მისვლას ვერ ახერხებს, ან ავადაა, ან სულაც სახლიდან გასვლა ეზარება. ფსონის დასადებად მას მხოლოდ ყურმილის აღება სჭირდება. თანაც ქალაქის ტელეფონით დარეკვა უფასოა, ისე კი შესაძლოა, ტოტალიზატორამდე მისასვლელად ტრანსპორტით სარგებლობა უხდებოდეს. ასევე შესაძლოა, ვინმეს უბრალოდ არ სურდეს ქვითრით ხელში საჯაროდ გამოჩენა, მათ ანონიმურობის გარანტია ექნებათ. გარდა ამისა, ხშირად კლიენტებს რიგში დგომა უწევთ და რაც უფრო მეტი ადამიანი ითამაშებს „ტელკრედიტით“, რიგში დგომის არასასიამოვნო პროცედურაც გაქრება. „ტელკრედიტი“ თანხის კონტროლის საშუალებასაც იძლევა. მოთამაშე ხან მოიგებს, ხან წააგებს, ამიტომაც ხშირად აინტერესებს თავისი ბალანსი, საბოლოო ჯამში მოგებაშია თუ არა. და კიდევ, ნებისმიერი ინფორმაციის მიღება თუ ფსონის დადება კლიენტს რუსულადაც და ინგლისურადაც შეეძლება.

**— ვინმეს შესაძლოა, კითხვა გაუჩნდეს, რამდენად სანდოა მომსახურების ასეთი ფორმა, ანუ ხომ არ იქნება იმის საშიშროება, რომ მოგებული თანხის მისაღებად მისულ კლიენტს პრობლემა შეექმნას, მას ხომ ქვითარი არ ექნება...**

— გამორიცხულია. დავიწყოთ იმით, რომ „კროკო“ 11 წელია არსებობს და ამ ხნის განმავლობაში მოგებული თანხის მიღებაზე, როგორი დიდი თანხაც არ უნდა ყოფილიყო, პრობლემა არავის შექმნია. ამ წლების განმავლობაში კლიენტების უზარმაზარი ნდობა მოვიპოვეთ და „კროკოს“ წარმატების საიდუმლოც ეს არის. თუმცა, ცხადია, ნდობის გარდა სხვა დამცავი მექანიზმებიც არსებობს. კლიენტის და ოპერატორის ყოველ საუბარს კომპიუტერი ავტომატურად იწერს. შესაბამისად, თუ რაიმე პრეტენზია გაჩნდა, ჩანაწერს მოვუსმენთ და სიმართლეც გაირკვევა.

**— მომსახურებაში „სარბიელის“ უფასოდ გამოწერაც შედის...**

— „კროკო“ და „სარბიელი“ მრავალი წელია ვთანამშრომლობთ. ოღონდ, როცა გაზეთის გამოწერაზე ვლაპარაკობთ, ბუნებრივია, ჩვენი მუდმივი კლიენტი ისეთ ადგილას უნდა ცხოვრობდეს, სადაც შესაბამისი სამსახური გამართულად მუშაობს. ვთქვათ, რომელიმე მაღალმთიან სოფელში გაზეთის გამოწერა, შესაძლოა, არ მოხერხდეს.

**— თქვენს სარეკლამო ფურცელზე წერია, რომ მომსახურება 24-საათიანია. ეს მხოლოდ „ტელკრედიტის“ მფლობელებს ეხებათ თუ „კროკოს“ ბიუროებიც მუდმივად იმუშავებენ?**

— აქ მხოლოდ ბარათით 24-საათიან მომსახურებაზეა ლაპარაკი. ოღონდ ისიც მინდა ვთქვა, რომ თავდაპირველად კლიენტებს ალბათ ღამის 12 საათამდე მოვემსახურებით, 24-საათიან გრაფიკზე კი ცოტა მოგვიანებით, მაგრამ მალე გადავალთ.

**— ბოლოს „კროკოს“ გახმაურებულ პროცესზეც მინდა გკითხოთ, დაახლოებით ერთი წლის წინ ბიუროებში ჩხრეკა რომ მოაწყვეს და დიდი თანხების დამალვაში რომ გედავებოდნენ. ის საქმე ახლა რა ფაზაშია?**

— ჩხრეკა შარშან 14 მაისს მოეწყო და მას მერე რამდენიმე პროცესიც ჩატარდა. ბოლო პროცესი ახლა, 10 მაისს უნდა ყოფილიყო, მაგრამ გადაიდო და მალე გაიმართება. მთავარი კი ის არის, რომ დღეისთვის გამოძიება მხოლოდ 6200 ლარს გვედავება, არადა, თავიდან თითქმის 100-ჯერ მეტი თანხის გადაუხდელობაში გვადანაშაულებდნენ.

*ბოლოს კი, მოდით, ერთი ექსპერიმენტი ჩავატაროთ: ახლავე დარეკეთ ნომერზე* ***42-00-24*** *და მოისმინეთ, რას გიპასუხებენ. დარეკვა, შეგახსენებთ, უფასოა.*

**გიორგი დარჯანია**

## უკრაინა

### პრემიერლიგა. XXVI ტური

დნიპრო — დინამო 1:0; შახტარი — კარპატი 5:0; ბორისფენი — ზირკა 1:0; მეტალურგი (ზ) — ობოლონი 3:2; კრივბასი — ილიჩევეცი 0:3; არსენალი — მეტალურგი (დ) 2:3; ჩერნომორეცი — ვორსკლა 2:0; ვოლინი — ტავრია 1:1

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| დინამო | 26 | 19 | 4 | 3 | 50:17 | 61 |
| შახტარი | 26 | 18 | 4 | 4 | 51:18 | 58 |
| დნიპრო | 26 | 15 | 7 | 4 | 41:20 | 52 |
| მეტალურგი (დ) | 26 | 11 | 9 | 6 | 42:30 | 42 |
| ჩერნომორეცი | 26 | 10 | 12 | 4 | 33:24 | 42 |
| არსენალი | 26 | 9 | 7 | 10 | 32:32 | 34 |
| ობოლონი | 26 | 9 | 7 | 10 | 27:31 | 34 |
| ილიჩევეცი | 26 | 8 | 10 | 8 | 29:32 | 34 |
| ბორისფენი | 26 | 8 | 8 | 10 | 20:26 | 32 |
| კრივბასი | 26 | 8 | 6 | 12 | 24:33 | 30 |
| ვოლინი | 26 | 7 | 7 | 12 | 22:35 | 28 |
| მეტალურგი (ზ) | 26 | 6 | 8 | 12 | 21:33 | 26 |
| ვორსკლა | 26 | 6 | 8 | 12 | 22:38 | 26 |
| ტავრია | 26 | 5 | 10 | 11 | 16:24 | 25 |
| კარპატი | 26 | 5 | 7 | 14 | 18:34 | 22 |
| ზირკა | 26 | 3 | 8 | 15 | 14:35 | 14 |

## ჰოლანდია

### გადასასვლელი პლეი ოფი
### A ჯგუფი. II ტური

**ჰელმონდი 2:2 სპარტა**

1:0 შულპი (4), 1:1 კუვერმანსი (41), 2:1 შულპი (52), 2:2 ბეხმანი (72)

**ვიტესი 5:0 ვენლო**

1:0 იანსენი (42), 2:0 რანკოვიჩი (53), 3:0 ამოა (69), 4:0 ჰოფსი (80), 5:0 შაარსი (87)

### B ჯგუფი. II ტური

**ექსელსიორი 0:1 ჰერაკლესი**

0:1 რულოვსენი (66)

**ვოლენდამი 0:1 გრააფსხაპი**

0:1 ვან ბიუკერინგი (4)

## აშშ

### MLS. VIII ტური

ნიუ ინგლენდი — ნიუ იორკი 1:1; კანზასი — დალასი 2:0; კოლორადო — ვაშინგტონი 2:1; სან ხოსე — ლოს ანჯელესი 4:2. *ჩიკაგო — კოლამბუსი წუხელ გვიან დამთავრდა*

## სლოვაკეთი

### I ლიგა. XXXII ტური

ბანსკა ბისტრიცა — ტრნავა 6:0; დუბნიცა — ინტერი 2:0; პუხოვი — რუჟომბეროკი 1:0; სლოვანი — პეტრჟალკა 1:2; ჟილინა — ტრენჩინი 3:0

## პოლონეთი

### I ლიგა. XXIV ტური

ლეჩნა — ვისლა 0:1; კატოვიცე — ამიკა 0:0; სვიტი — ლეხი 1:0; ოდრა — გურნიკი 1:2; პოლონია — პოლკოვიცე 0:1; გროცლინი — ლეგია 2:2; ვიძევი — პლოცკი 2:1

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ვისლა | 24 | 20 | 1 | 3 | 67:27 | 61 |
| ლეგია | 24 | 16 | 6 | 2 | 46:17 | 54 |
| ამიკა | 24 | 13 | 6 | 5 | 45:23 | 45 |
| გროცლინი | 24 | 11 | 7 | 6 | 53:30 | 40 |
| პლოცკი | 24 | 9 | 7 | 8 | 38:37 | 34 |
| ლეხი | 24 | 9 | 6 | 9 | 39:32 | 33 |
| გურნიკი | 24 | 8 | 9 | 7 | 26:30 | 33 |
| ოდრა | 24 | 8 | 4 | 12 | 25:36 | 28 |
| ლეჩნა | 24 | 8 | 3 | 13 | 20:38 | 27 |
| კატოვიცე | 24 | 6 | 7 | 11 | 17:37 | 25 |
| პოლონია | 24 | 5 | 7 | 12 | 22:36 | 22 |
| პოლკოვიცე | 24 | 6 | 4 | 14 | 17:35 | 22 |
| სვიტი | 24 | 5 | 6 | 13 | 20:39 | 21 |
| ვიძევი | 24 | 4 | 7 | 13 | 25:43 | 19 |

## უნგრეთი

### ბორსოდი ლიგა. XXXI ტური

პეჩი — ბეკეშჩაბა 3:0; ვიდეოტონი — პალადაში 6:1; ზალაეგერსეგი — დიორ ეტო 0:1; დებრეცენი — ბალატონი 3:0; შოპრონი — მტკ 4:1; უიპეშტი — ფერენცვაროში 1:0

## მექსიკა

### კლაუსურა. 1/8 ფინალი
### საპასუხო მატჩი

**პაჩუკა 0:2 კრუზ ასული (1:2)**

## გერმანია

### ბუნდესლიგა. XXXIV ტური

**ბაიერნი 2:0 ფრაიბურგი**

1:0 დაისლერი (18), 2:0 ლიზარაზუ (73პ)
ბაიერნი: კანი, სანიოლი, კუფური, რ. კოვაჩი, ლიზარაზუ (რაუ 88), იერემისი, ბალაკი, დაისლერი (შვაინსტაიგერი 46), ზე რობერტო, მაკაი, კ. პიზარო (სანტა კრუზი 67)
მწვრთნელი: ოტმარ ჰიცფელდი
ფრაიბურგი: რაინარდი, შ. მიულერი (შუმანი 59), ბ. დიარა, კრუპკე, რიტერი, ბერნერი (ა. ცაიერი 34), ცქიტიშვილი, ანტარი, კაირო (გუიე-მიენი 77), კულიბალი, იაშვილი
მწვრთნელი: ფოლკერ ფინკე
გაფრთხილება: იერემისი, კოვაჩი, ლიზარაზუ, მიულერი
მსაჯი: ვაინერი
63 000 მაყურებელი

**ვოლფსბურგი 1:1 შალკე**

1:0 კარჰანი (3), 1:1 ფრანცი (20ს.კ.)
ვოლფსბურგი: იენჩი, რაიტერი, ფრანცი, შნოორი, ვაიზერი, კარჰანი, ტიამი, მენსეგეში (შარპეი 74), მ. პეტროვი (ჰრგოვიჩი 82), კლიმოვიჩი, ფერნანდო ბაიანო (ტოპიჩი 64)
მწვრთნელი: ერიკ გერეტსი
შალკე: ფ. როსტი, კ. პოულსენი, ვალდოხი, კლასენერი, ვან კერკჰოვენი, უდე კამპუისი, ვერმანტი, ასამოა (ზაიცი 72), ჰამიტ ალტინტოპი, ბიომე, სანდი (ჰანკე 72)
მწვრთნელი: იუპ ჰაინკესი
გაფრთხილება: კლიმოვიჩი, ასამოა
მსაჯი: შიპელი
30 000 მაყურებელი

**ჰანზა 3:1 ვერდერი**

1:0 პრიკა (29), 1:1 კრსტაიჩი (38), 2:1 კრსტაიჩი (46ს.კ.), 3:1 ლანცი (74პ)
ჰანზა: შობერი (კლევერი 86), მიორლე, პერსონი, ჰილი, ტიკუზუ, ლანცი, მაული, მეგლე (პლასნეგერი 75), არვიდსონი, მაქსი (დი სალვო 83), პრიკა
მწვრთნელი: იური შლიუნცი
ვერდერი: რაინკე, სტალტერი, ფ. ბაუმანი, კრსტაიჩი, შულცი, ლაგერბლომი (ნ. ვალდესი 61), ბოროვსკი, ფ. ერნსტი, მიკუ, კლასნიჩი (ხარისტიასი 76), აილტონი
მწვრთნელი: თომას შააფი
გაფრთხილება: პრიკა, სტალტერი, აილტონი
მსაჯი: იანსენი
29 000 მაყურებელი

**ლევერკუზენი 2:0 შტუტგარტი**

1:0 ბერბატოვი (63), 2:0 შნაიდერი (85)
*ბუტმა ვერ გაიტანა პენალტი (85, ძელი)*
ლევერკუზენი: ჰ. ბუტი, კ. ფრიცი, კალუჟნი, ნოვოტნი, პლასენტე, რამელო, ბ. შნაიდერი (ბალიტჩი 87), ბაბიჩი, ბაშთურქი (ბიროფკა 78), ფრანცა (ნოივილი 86), ბერბატოვი
მწვრთნელი: კლაუს აუგენტალერი
შტუტგარტი: ჰილდებრანდი, ჰინკელი, ბორდონი, მეირა, ლამი, სოლდო, ა. გლები, მაისნერი (სტრელერი 74), ჰელდტი (ტიფერტი 46), კურანი, საბიჩი (კაკაუ 52)
მწვრთნელი: ფელიქს მაგათი
გაფრთხილება: რამელო, ნოვოტნი, შნაიდერი, მაისნერი, სოლდო, მეირა, ჰინკელი
მსაჯი: მაიერი
22 500 მაყურებელი

**კაიზერსლაუტერნი 1:1 დორტმუნდი**

1:0 ლოკვენცი (6), 1:1 კოლერი (71)
კაიზერსლაუტერნი: თ. ერნსტი, დრეშერი, კნავსი, ვენცელი, ჩატო, ბიელიცა (მეტომო 90), რიდლი, მ. ხრისტოვი, ჰალილ ალტინტოპი (მალცი 82), კლოზე (ნურმელა 89), ლოკვენცი
მწვრთნელი: კურტ იარა
დორტმუნდი: ვარმუზი, ევანილსონი (როსიცკი 80), ვიორნსი, ბერგდოლმო, ნ. იენსენი, კელი, დედე, ფრინგსი (ოდონკორი 89), გამბინო (რიკენი 59), კოლერი, ევერტონი
მწვრთნელი: მათიას ზამერი
გაფრთხილება: ბიელიცა, რიდლი, ხრისტოვი, ლოკვენცი, ევერტონი, კელი
მსაჯი: ფროილიხი
47 315 მაყურებელი

**ბოხუმი 3:1 ჰანოვერი**

1:0 მადსენი (26), 1:1 კრისტიანსენი (41), 2:1 ფრაიერი (76), 3:1 ფარენჰორსტი (88)
ბოხუმი: ვან დუინჰოვენი, კოლდინგი, კალა, ფარენჰორსტი, პ. ბიონიგი, ფ. ტაპალოვიჩი (ბაკლი 69), ცდებელი, ვოში, ფრაიერი (სტევიჩი 79), ჰაშემიანი (ვრიეზდე 86), პ. მადსენი
მწვრთნელი: პეტერ ნოირურერი
ჰანოვერი: ციგლერი (ჰაასი 46), შავიერი (შტენდელი 79), მერტესაკერი, ზურავი, კლებერი, დე გუცმანი, ლალა (მონტაბელი 79), ხაიმე, შრიოტერი, იდრისუ, კრისტიანსენი
მწვრთნელი: ევალდ ლინენი
მსაჯი: ვაკი
32 645 მაყურებელი

**ჰამბურგი 2:1 აინტრახტი**

0:1 ამანატიდისი (26), 1:1 მაჰდავიკია (28), 2:1 ბარბარესი (57)
ჰამბურგი: ვიახტერი, ვიკი, ჰოოგმა, უიფალუში, ჰოლერბახი, შლიკე (რაინჰარდტი 61), მაჰდავიკია, კარდოზო (ტაკაჰარა 54), ბაინლიხი, ბარბარესი, რომეო (ვ. გლები 86)
მწვრთნელი: კლაუს ტოპმიოლერი
აინტრახტი: პრიოლი, ბინდევალდი, პულიზი, კრისი, ბიურგერი, შური, პრონისი, ლექსა (ჩა 61), შკელა (ბაიერლე 76), ფრომერი (დრაგუშა 61), ამანატიდისი
მწვრთნელი: ვილი რაიმანი
გაფრთხილება: ჰოლერბახი, ბარბარესი, შლიკე
მსაჯი: კირხერი
52 854 მაყურებელი

**ჰერტა 3:1 კიოლნი**

1:0 მარსელინიო (51პ), 1:1 პოდოლსკი (54), 2:1 ბობიჩი (63), 3:1 რაფაელი (78)
ჰერტა: ფიდლერი (კირალი 77), ა. ფრიდრიხი, მადლუნგი, შიმუნიჩი, კაგარა, შმიდტი, ნოინდორფი (რემერი 73), მარსელინიო, პინტუ, ვიშნიარეკი (რაფაელი 64), ბობიჩი
მწვრთნელი: ჰანს მაიერი
კიოლნი: ბადე, ო. შრიოდერი, გრუიჩი, სიხონე, სინკალა, ფიულნერი (ლოტნერი 71), კრინგე (შინდციელორცი 88), შპრინგერი, სტრაიტი, შერცი (ებერსი 82), პოდოლსკი
მწვრთნელი: მარსელ კოლერი
გაფრთხილება: შპრინგერი
მსაჯი: შტაინბორნი
56 038 მაყურებელი

**მიონხენგლადბახი 3:1 მიუნხენ 1860**

0:1 ჰოფმანი (21პ), 1:1 სვერკოში (22), 2:1 დემო (35), 3:1 ვან ლენტი (75)
მიონხენგლადბახი: შტილი (კამპსი 81), კორზინეცი (კორელი 67), პლეტჩი, ასანინი, ობრადოვიჩი, გაედე, ულიხი, კოლკა (ვან ჰუტი 76), დემო, ვან ლენტი, სვერკოში
მწვრთნელი: ჰოლგერ ფახი
მიუნხენ 1860: ლენცი, გიორლიცი, შტრანცლი, როდრიგო კოშტა, ტ. ჰოფმანი, მათიას ლემანი, ჩერნი, დევიდსი (კიოიო 72), რ. მაიერი (ფერნანდო 66; შაო 86), ტისი, შროტი
მწვრთნელი: გერალდ ვანენბურგი
გაფრთხილება: ასანინი, გაედე, კორზინეცი, დევიდსი, ტისი, გაედე
გაძევება: გაედე (83)
მსაჯი: ფანდელი
34 500 მაყურებელი






# ავადმყოფი იმედი ჯანზეა

ბუნდესლიგის მე-40 საიუბილეო ჩემპიონატი ბრემენის „ვერდერის" გამარჯვებით დასრულდა. შაბათსვე დამთავრდა ოტმარ ჰიცფელდის ბაიერნული კარიერა. წლეულს უჯილდოოდ დარჩენილი გუნდის მწვრთნელს „ოლიმპიაშტადიონი" ფეხზე დაუდგა და ტაშით გააცილა.

ექვსთვიანი შესვენების შემდეგ „ბაიერნის" ძირითად შემადგენლობაში გერმანული ფეხბურთის ნაავადარი იმედი, სებასტიან დაისლერი გამოჩნდა. კლაუდიო პიზარომ თხუთმეტ წუთში სამი საგოლე მომენტი გააფუჭა, ამიტომაცაა, რომ სეზონში 11-ზე მეტი ვერ გაიტანა.

ანგარიში დაისლერმა გახსნა. მარჯვნიდან მოედნის გულში შეიწია და ბურთი ცაციით რეინჰარდის კარში გამოამწყვდია.

მეორე გოლი ბიქსენტ ლიზარაზუმ პენალტით შეაგდო. ბასკმა, რომელიც „ბაიერნიდან" მიდის, მაისურა გაიხადა და ბალლივით გაიხარა, მსაჯმა კი სახსოვრად ყვითელი ბარათით დასაჯა.

ლიზარაზუ მატჩის მიწურულს შეცვალეს და მან ტაშის კუთვნილი ულუფა მიიღო. ჩემპიონთა ლიგაში პირდაპირ მოხვედრა „ბაიერნის" ქომაგებმა ხომ იზეიმეს და სტადიონზე „მიუნხენ 1860"-ის ბუნდესლიგიდან გავარდნის ამბავიც რომ გამოაცხადეს, „ოლიმპიაშტადიონმა" ყიჟინა დასცა.

ლევერკუზენის „ბაიერმა" ბოლო შვიდ ტურში 23 გოლი გაიტანა. ასეთი შედეგიანი გუნდისთვის ბრინჯაო და ჩემპიონთა ლიგის საკვალიფიკაციო ეტაპის საგზური ალალია. „ფარმაცევტებმა" მესამე ადგილი „შტუტგარტს" წაჰგლიჯეს. ფელიქს მაგათის გუნდი პირველ ტაიმში მასპინძლებს გაუძლიანდა. მეორე ნახევრის დასაწყისში კი დიმიტარ ბერბატოვმა ვარდნაში კოხტა გოლით ანგარიში გახსნა. შეხვედრის დასრულებამდე ხუთი წუთით ადრე „ბაიერმა" პენალტი მოინაგრა. მეკარე ბუტის დარტყმული ბურთი ძელმა უკუაგდო, მაგრამ შნაიდერმა დამატებაზე იყოჩალა და გაიტანა.

„შტუტგარტს" უეფას თასზე თამაში მოუწევს, გერმანული მედიის ცნობით კი, ფელიქს მაგათი „ბაიერნს" პირველ ივლისს ჩაიბარებს.

დორტმუნდის „ბორუსია" ინტერტოტოს ამარა დარჩა. „შავ-ყვითლებს" კაიზერსლაუტერნში უნდა მოეგოთ, რომ მეხუთე ადგილი შეენარჩუნებინათ, ხოლო მასპინძლებს ბუნდესლიგაში დასარჩენად ქულა სჭირდებოდათ. მათ [illegible] იბრძოლეს და სასურველს მიაღწიეს.

„კაიზერი" ვრატისლავ ლოკვენცის წყალობით დაწინაურდა, მეორე ტაიმში კი კოლერმა გაათანაბრა. დამხვდურთა მეკარემ ბოლოს კოლერს და რიკენს არ გაატანინა, ხოლო ნამატჩევს „კაიზერსლაუტერნის" ფანებმა ლიგაში დარჩენით გაიხარეს.

მეორე ბუნდესლიგაში „მიუნხენ 1860", ფრანკფურტის „აინტრახტი" და „კიოლნი" ჩაბარგდნენ. მიუნხენელებს აპრილში მწვრთნელის შეცვლით არ ეშველათ, გერალდ ვანენბურგმა „ლომები" ფალკო გიოტცისგან ჩაიბრა და მათთან ერთად დაქვეითდა.

**ვაჟა ხუციშვილი**

| საბოლოო ცხრილი | სულ | | | | | | | შინ | | | | | | | სტუმრად | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| № | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ |
| 1 ვერდერი | 34 | 22 | 8 | 4 | 79:38 | 41 | 74 | 17 | 11 | 4 | 2 | 42:21 | 21 | 37 | 17 | 11 | 4 | 2 | 37:17 | 20 | 37 |
| 2 ბაიერნი | 34 | 20 | 8 | 6 | 70:39 | 31 | 68 | 17 | 13 | 3 | 1 | 43:19 | 24 | 42 | 17 | 7 | 5 | 5 | 27:20 | 7 | 26 |
| 3 ლევერკუზენი | 34 | 19 | 8 | 7 | 73:39 | 34 | 65 | 17 | 12 | 1 | 4 | 43:18 | 25 | 37 | 17 | 7 | 7 | 3 | 30:21 | 9 | 28 |
| 4 შტუტგარტი | 34 | 18 | 10 | 6 | 52:24 | 28 | 64 | 17 | 9 | 7 | 1 | 29:13 | 16 | 34 | 17 | 9 | 3 | 5 | 23:11 | 12 | 30 |
| 5 ბოხუმი | 34 | 15 | 11 | 8 | 57:39 | 18 | 56 | 17 | 11 | 5 | 1 | 30:6 | 24 | 38 | 17 | 4 | 6 | 7 | 27:33 | -6 | 18 |
| 6 დორტმუნდი | 34 | 16 | 7 | 11 | 58:48 | 10 | 55 | 17 | 12 | 3 | 2 | 38:16 | 22 | 39 | 17 | 4 | 4 | 9 | 20:32 | -12 | 16 |
| 7 შალკე | 34 | 13 | 11 | 10 | 49:42 | 7 | 50 | 17 | 7 | 7 | 3 | 28:16 | 12 | 28 | 17 | 6 | 4 | 7 | 21:26 | -5 | 22 |
| 8 ჰამბურგი | 34 | 14 | 7 | 13 | 47:60 | -13 | 49 | 17 | 11 | 3 | 3 | 33:22 | 11 | 36 | 17 | 3 | 4 | 10 | 14:38 | -24 | 13 |
| 9 ჰანზა | 34 | 12 | 8 | 14 | 55:53 | 2 | 44 | 17 | 10 | 1 | 6 | 34:18 | 16 | 31 | 17 | 2 | 7 | 8 | 21:35 | -14 | 13 |
| 10 ვოლფსბურგი | 34 | 13 | 3 | 18 | 56:61 | -5 | 42 | 17 | 11 | 1 | 5 | 38:25 | 13 | 34 | 17 | 2 | 2 | 13 | 18:36 | -18 | 8 |
| 11 გლადბახი | 34 | 10 | 9 | 15 | 40:49 | -9 | 39 | 17 | 7 | 6 | 4 | 21:16 | 5 | 27 | 17 | 3 | 3 | 11 | 19:33 | -14 | 12 |
| 12 ჰერტა | 34 | 9 | 12 | 13 | 42:59 | -17 | 39 | 17 | 6 | 6 | 5 | 26:24 | 2 | 24 | 17 | 3 | 6 | 8 | 16:35 | -19 | 15 |
| 13 ფრაიბურგი | 34 | 10 | 8 | 16 | 42:67 | -25 | 38 | 17 | 10 | 3 | 4 | 32:25 | 7 | 33 | 17 | 0 | 5 | 12 | 10:42 | -32 | 5 |
| 14 ჰანოვერი | 34 | 9 | 10 | 15 | 49:63 | -14 | 37 | 17 | 5 | 7 | 5 | 27:26 | 1 | 22 | 17 | 4 | 3 | 10 | 22:37 | -15 | 15 |
| 15 ლაუტერნი | 34 | 11 | 6 | 17 | 39:62 | -23 | 36 | 17 | 8 | 5 | 4 | 25:19 | 6 | 29 | 17 | 3 | 1 | 13 | 14:43 | -29 | 10 |
| 16 აინტრახტი | 34 | 9 | 5 | 20 | 36:53 | -17 | 32 | 17 | 6 | 4 | 7 | 25:24 | 1 | 22 | 17 | 3 | 1 | 13 | 11:29 | -18 | 10 |
| 17 მიუნხენი | 34 | 8 | 8 | 18 | 32:55 | -23 | 32 | 17 | 5 | 4 | 8 | 16:25 | -9 | 19 | 17 | 3 | 4 | 10 | 16:30 | -14 | 13 |
| 18 კიოლნი | 34 | 6 | 5 | 23 | 32:57 | -25 | 23 | 17 | 6 | 2 | 9 | 22:23 | -1 | 20 | 17 | 0 | 3 | 14 | 10:34 | -24 | 3 |

*„კაიზერსლაუტერნს" დაკლებული აქვს 3 ქულა*

| ბომბარდირები | |
|---|---|
| აილტონი (ვერდერი) | 28 |
| მაკაი (ბაიერნი) | 23 |
| მაქსი (ჰანზა) | 20 |
| ბერბატოვი (ლევერკუზენი) | 16 |
| ჰაშემიანი (ბოხუმი) | 16 |
| კოლერი (დორტმუნდი) | 16 |
| ევერტონი (დორტმუნდი) | 16 |
| კლიმოვიჩი (ვოლფსბურგი) | 15 |

## მეორე ბუნდესლიგა

### XXXIV ტური

**ბურგჰაუზენი 3:1 უნიონი**

1:0 რაიზინგერი (7), 2:0 იუნგა-მუანი (32), 2:1 კეიტა (47), 3:1 რაიზინგერი (53)
უნიონი: გლინკერი, სანდმანი, კოჟაკი (პოპოვი 46), პეიგი, ერნემანი, სირაძე, პიაცი, ოკეკე, მოლატა, კეიტა, სობოტჩიკი
გაფრთხილება: სანდმანი, სირაძე
5 400 მაყურებელი

**აუე 3:3 უნტერჰახინგი**

0:1, 0:2 შუკალო (2, 19), 1:2 იუსკოვიაკი (19), 2:2 კურტი (27), 2:3 გრასოვი (39), 3:3 იუსკოვიაკი (58)

**ალენი 2:0 ნიურნბერგი**

1:0 სოპიჩი (6), 2:0 ბენჩიკი (13)

**არმინია 1:3 დუისბურგი**

0:1 აჰანფუფი (5პ), 0:2 კურტი (50), 1:2 ბოაკიე (60), 1:3 კურტი (87)

**კოტბუსი 3:0 რეგენსბურგი**

1:0 რეგეკამპფი (37), 2:0, 3:0 იორდახე (85, 89)

**ფიურტი 2:0 ლიუბეკი**

1:0 როსლერი (43), 2:0 ფაინბერი (75)

**კარლსრუე 1:0 ალემანია**

1:0 კეისი (42)

**მაინცი 3:0 ტრირი**

1:0 ტიურკი (23), 2:0 მ. ფრიდრიხი (66), 3:0 ტიურკი (67)

**ობერჰაუზენი 3:2 ოსნაბრიუკი**

1:0 რიტპიჩი (22), 1:1, 1:2 შუტე (34, 38), 2:2 ალიაი (49), 3:2 სიმიონი (77)

**საბოლოო ცხრილი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ნიურნბერგი | 34 | 18 | 7 | 9 | 68:45 | 61 |
| არმინია | 34 | 16 | 8 | 10 | 50:37 | 56 |
| მაინცი | 34 | 13 | 15 | 6 | 49:34 | 54 |
| კოტბუსი | 34 | 15 | 9 | 10 | 52:44 | 54 |
| ობერჰაუზენი | 34 | 15 | 8 | 11 | 52:48 | 53 |
| ალემანია | 34 | 15 | 8 | 11 | 51:51 | 53 |
| დუისბურგი | 34 | 13 | 9 | 12 | 52:46 | 48 |
| აუე | 34 | 12 | 12 | 10 | 47:45 | 48 |
| ფიურტი | 34 | 11 | 12 | 11 | 58:51 | 45 |
| ბურგჰაუზენი | 34 | 12 | 9 | 13 | 40:39 | 45 |
| ტრირი | 34 | 12 | 9 | 13 | 46:51 | 45 |
| ალენი | 34 | 12 | 8 | 14 | 36:45 | 44 |
| უნტერჰახინგი | 34 | 11 | 10 | 13 | 41:46 | 43 |
| კარლსრუე | 34 | 11 | 10 | 13 | 38:44 | 43 |
| ლიუბეკი | 34 | 9 | 12 | 13 | 47:57 | 39 |
| რეგენსბურგი | 34 | 9 | 12 | 13 | 37:51 | 39 |
| უნიონი | 34 | 8 | 9 | 17 | 43:53 | 33 |
| ოსნაბრიუკი | 34 | 7 | 7 | 20 | 35:55 | 28 |

## ჩრდილოეთ რეგიონალლიგა

### XXXII ტური

ვერდერი (მ) — დინამო 0:4; კიოლნი (მ) — ვუპერტალი 4:0; დორტმუნდი (მ) — კილი 2:0; ბრაუნშვაიგი — მიუნსტერი 1:3; ნოიმიუნსტერი — ზანკტ პაული 0:1; პადერბორნი — ქემნიცი 4:0; ლაიპციგი — ჰამბურგი (მ) 0:1; შალკე (მ) — ესენი 0:7; იურდინგენი — ვატენშაიდი 0:3

## სამხრეთ რეგიონალლიგა

### XXXII ტური

ოფენბახი — ელვერსბერგი 2:3; ზიგენი — პფულენდორფი 0:0; ეშბორნი — ფოიხტი 1:5; ზაარბრიუკენი — ვეჰენი 3:1; შვაინფურტი — ერფურტი 1:1; კიკერსი — ჰოფენჰაიმი 3:0; აალენი — მაინცი (მ) 3:2; ბაიერნი (მ) — შტუტგარტი (მ) 1:0; კაიზერსლაუტერნი (მ) — აუგსბურგი 0:3

# რატომ დადუმდით?
## სიცოცხლე დიდი საჩუქარია



### ინგლისი
**ასოციაციის თასის ფინალი**

**მანჩესტერ იუნ. 3:0 მილუოლი**
1:0 რონალდო (44), 2:0, 3:0 ვან ნისტელროი (65პ, 81)
**მანჩესტერ იუნ:** ჰოვარდი (კეროლი 84), გ. ნევილი, ვ. ბრაუნი, მ. სილვესტრი, ოში, კ. რონალდო (სოლსკიაერი 84), ფლეტჩერი (ბათი 84), როი კინი, გიგზი, სქოულზი, ვან ნისტელროი
მწვრთნელი: ალექს ფერგიუსონი
**მილუოლი:** მარშალი, რაიანი (კოგანი 74), უორდი, ლოურენსი, ელიოტი, სვინი, ლაივრმორი, უაიზი (უესტონი 89), აიფილი, ჩეჰილი, ჰარისი (მაკკამონი 75)
მწვრთნელი: დენის უაიზი
გაფრთხილება: უაიზი
მსაჯი: უინტერი
71 350 მაყურებელი

„მანჩესტერ იუნაიტედმა“ მაინც არ დაამთავრა სეზონი ტიტულის გარეშე და კარდიფის „მილენიუმზე“ 3:0 მოუგო პირველი დივიზიონის „მილუოლს“ ასოციაციის თასის ფინალში.

რუუდ ვან ნისტელროიმ ორი გოლი გაიტანა, თუმცა, თამაშის გარდამტეხი კრისტიანო რონალდოს გოლი შეიქნა, პირველი ტაიმის მიწურულს რომ გავიდა.

„ლომებად“ წოდებულმა „მილუოლის“ ფეხბურთელებმა ბევრჯერ გადაარჩინეს თავიანთი კარი, ხოლო მეკარე ენდი მარშალმა ფანტასტიკური ბურთი აუღო როი კინს. პატარების მოთამაშე მენეჯერმა დენის უაიზმა ერთხელ კარის ხაზიდანაც კი გამოიტანა ბურთი.

კინიცა და უაიზიც, გუნდების კაპიტნები, ტრავმებით თამაშობდნენ, ფინალის საუკეთესო ფეხბურთელად კი ყველამ ერთად რონალდო აღიარა, რომელსაც ამ სეზონში ბევრს აკრიტიკებდნენ ბურთის ზედმეტი თრევისთვის. 19 წლის პორტუგალიელმა პირწმინდად აიკლო მარჯვენა ფრთა და თავისი მეურვე რობი რაიანი საშინელ დღეში ჩააგდო. არადა, თავიდან ბურთი „მილუოლმა“ მოიგდო და „მანჩესტერს“ გვარიანი ჯაფა დასჭირდა, რომ ალიყური მოედო „ლომებისთვის“ და თავისებურად შეეტია.

აქვე უნდა ითქვას, რომ რონალდოს ოქროსფერი ბუცები ეცვა და ეს ბუცები ყველგან ჩანდა — მომენტები სულ მისგან მოდიოდა, კარს კი ხან ვან ნისტელროი აცილებდა, ხანაც პოლ სქოულზი, თუმცა, რონალდოს შრომა მაინც დაფასდა. მან თავადვე გაიტანა, შორეულ ძელთან თავით შეეგება გარი ნევილის კროსს.

ეს გოლი ერთგვარი უილბლობა იყო „მილუოლისთვის“, რადგან თამაშის იმ მონაკვეთში გავიდა, როცა უაიზის გუნდმა თავი დააღწია ხიფათს, „მილუოლი“ გვარიანად უტევდა და ტაიმის მშვიდობიანად დასრულებას გეგმავდა. სახიფათო იყო „ლომების“ კუთხური, რომელსაც ჩეჰილის და პოლ აიფილის ზედიზედი დარტყმები მოჰყვა.

მეორე ტაიმში „მანჩესტერმა“ მთლად აილო ხელში სადავეები, რასაც პენალტი მოჰყვა: დევიდ ლაივრმორმა რაიან გიგზი წესების დაცვით ვერ გააჩერა და მსაჯმაც პენალტი დანიშნა — ვან ნისტელროიმ როგორც იქნა, გაიტანა 11 მეტრიდან. ჰოლანდიელმა უკანასკნელ ათწუთეულში კიდევ ერთი შეაგდო. იმ დროისთვის ეჭვს აღარ იწვევდა, რომ „მანჩესტერი“ მე-11-ედ იგებს მსოფლიოს უძველეს თასს.

სერ ალექს ფერგიუსონმა სამი შემცვლელიც შეიყვანა, აქაოდა, თასი ყველას ერგებაო. „მანჩესტერმა“ კი ეს ტიტული შარშანდელ აგვისტოს ავარიაში დაღუპულ თავის ყრმა მოთამაშეს, ჯიმი დევისს მიუძღვნა. მის საპატივცემულოდ გუნდი საგანგებოდ მოეწყო, კინმა კი თქვა: „ის საოცარი ბიჭი იყო. უნდა გვახსოვდეს, რომ სიცოცხლე დიდი საჩუქარია“.

დენის უაიზს კი სხვა საფიქრალიც ჰქონდა: „პირველმა გოლმა გაგვაფუჭა. როცა ასეთ გუნდთან თამაშობ, ერთი შეცდომაც კი გკლავს. ჩვენს შორის ბევრი ყმაწვილი იყო. მე მათ ვუთხარი, რომ უნდა იამაყონ ამ დღით. პირველი გოლი ჩვენი შეცდომა იყო, მეორე ეგებ არც იყო პენალტი, მესამე კი თამაშგარე[illegible] გაჰქონდა. [illegible] ყველაფერი არ იქნებოდა, პირველი რომ არ გაგვეშვა[illegible]“.

საერთოდ კი, „მილუოლმა“ ერთი რეკორდის დამყარება მოახერხა: 17 წლისა და 119 დღის კურტის უესტონი ასოციაციის თასის ფინალის ყველაზე ახალგაზრდა მოთამაშე შეიქნა თასის 123-წლიან ისტორიაში. საერთოდ კი, „მილუოლისთვის“ ეს მართლაც ისტორიული დღე იყო და მისი თავმჯდომარე თეო პაფიტისი ამბობდა, რაც უნდა მოხდეს, გმირები ვართო. კლუბის გულშემატკივრები, რომლებსაც ინგლისში გვარიანად აგრესიულ ხალხად იცნობენ, ყველანაირად შეეცადნენ, რომ „მილენიუმზე“ თავი კარგი მხრივ ეჩვენებინათ და „მანჩესტერის“ ფანები სატრიბუნო ომში დაეჯაბნათ. ისინი მთელი მატჩის განმავლობაში მღეროდნენ, ოღონდაც, როცა „მილუოლმა“ მეორე გოლი გაუშვა, მანჩესტერელებმა თავადვე უმღერეს: „რატომ დადუმდით, რატომ დადუმდით“.

საერთოდ კი, ეს ისეთი იშვიათი ფინალი გამოვიდა, როცა ორივე გუნდი მოგებულად გრძნობს თავს. „მილუოლის“ მიმართ სიმპათიები ინგლისში იშვიათია კლუბის წამოსულისა და აგრესიულობის გამო, თუმცა იანვრიდან მის შესახებ ყველა აღტაცებით ლაპარაკობდა. იმ კვირიდან გუნდს ალბათ ძველი განწყობით შეხედავენ, თუმცა, პაფიტისი ამბობს, რომ გაისად ისეთ წარმატებებს მიაღწევს, რომ ხალხს ქუჩებში აზეიმებს. „მილუოლი“ ისტორიაში პირველად ევროპაში მიემგზავრება.

„მანჩესტერი“ კი, რომელსაც წლეულს ერთ-ერთი ცუდი სეზონი ჰქონდა, ალბათ უფრო თასის იმ ნახევარფინალს იხსენებს, „არსენალი“ რომ დაამარცხა.

**ირაკლი გამყრელიძე**

# ლარსონმა დაიბარა

### შოტლანდია
**ასოციაციის თასის ფინალი**

**დანფერმლაინი 1:3 სელტიკი**
1:0 შკერლა (40), 1:1, 1:2 ლარსონი (58, 71), 1:3 პეტროვი (84)
**დანფერმლაინი:** სტილი, დარენ იანგი, შკერლა, ბირნი (ტოდი 88), მეისონი (გრონდინი 82), ნიკოლსონი, დემპსი (ბულენი 60), დერეკ იანგი, ლაბონტი, ბრიუვსტერი, კროუფორდი
**სელტიკი:** მარშალი, ვარგა, ბალდე, მაკნამარა, აგატი, ლენონი, ს. პეტროვი, პირსონი (უოლესი 58), ა. ტომპსონი, ლარსონი, სატონი
მწვრთნელი: მარტინ ონილი
გაფრთხილება: ბრიუვსტერი, დარენ იანგი, ლენონი
მსაჯი: დუგალი
50 846 მაყურებელი



ჰენრიკ ლარსონი „სელტიკიდან“ დუბლით წავიდა

ჰენრიკ ლარსონმა „სელტიკის“ მაისურით ბოლო მატჩი ითამაშა და მისი ორი გოლის წყალობით „თეთრ-მწვანეებმა“ შოტლანდიის ჩემპიონობას თასიც მიამატეს.

„დანფერმლაინმა“ პირველ ნახევარში ძლიერ მეტოქეს აჯობა და საგოლე მომენტებიც მეტი ჰქონდა, მაგრამ სელტიკელებმა შესვენებამდე ერთი გაიტანეს, თუმც მსაჯმა დარტყმამდე წესების დარღვევა შეამჩნია.

ლიტველმა ლეგიონერმა შკერლამ ანგარიში ტაიმის მიწურულს გახსნა. მან დევიდ მარშალის და მცველთა შეცდომით ისარგებლა. შემდეგ იყო სადავო ეპიზოდი, როცა ბობო ბალდეს ბურთი აშკარად ხელზე მოხვდა, მაგრამ მსაჯმა „სელტიკის“ კარში პენალტი არ დანიშნა.

მეორე ტაიმის დაწყებიდან ათიოდ წუთში ჰენრიკ ლარსონმა გაათანაბრა, მოგვიანებით კი შვედმა მეორე გაიტანა. მატჩის მიწურულს სტილიან პეტროვმა მესამე მიაყოლა და „თეთრ-მწვანეებს“ გამარჯვება გაუნაღდა.

ლარსონი ფანებს დაემშვიდობა და იგი, ცხადია, ტაშის გრიალით გააცილეს. დავაზუსტოდ, რომ შვედმა 315 სელტიკურ მატჩში 242 გოლი მიითვალა.

„დარწმუნებული ვარ, რომ გუნდი უჩემოდაც წარმატებით ითამაშებს — თქვა ფორვარდმა —, ალბათ მონახავენ ჩემს შემცვლელს, მარტინ ონილის ეს არ გაუჭირდება. აქ ტკბილადმოსაგონარი შვიდი წელი გავატარე, და, ცხადია, განშორება მიჭირს, მაგრამ ასე აჯობებს. ჯერ არ ვიცი, რომელ გუნდში გავაგრძელებ კარიერას. ევრო 2004-ზე ჩემს ნაკრებს დავეხმარები და შემდეგ მოვიფიქრებ. რაც იქნება, იქნება, ეგებ თამაშს თავიც დავანებო“.

**ვაჟა ხუციშვილი**

### დანია
**სუპერლიგა. XXXII ტური**

აკადემისკი — ორჰუსი 3:1; კოპენჰაგენი — ოლბორგი 1:1; მიდტიულანდი — ესბიერგი 2:1; ფრემი — ბრონდბიუ 1:3; ჰერფიოლგე — ნორდსიელანდი 1:1; ვიბორგი — ოდენსე 2:2

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| კოპენჰაგენი | 32 | 19 | 8 | 5 | 52:25 | 65 |
| ბრონდბიუ | 32 | 19 | 7 | 6 | 53:28 | 64 |
| ესბიერგი | 32 | 17 | 8 | 7 | 65:41 | 59 |
| ოდენსე | 32 | 15 | 9 | 8 | 62:46 | 54 |
| ოლბორგი | 32 | 15 | 9 | 8 | 52:40 | 54 |
| მიდტიულანდი | 32 | 14 | 6 | 12 | 64:48 | 48 |
| ვიბორგი | 32 | 10 | 9 | 13 | 45:44 | 39 |
| ორჰუსი | 32 | 11 | 3 | 18 | 45:65 | 36 |
| ნორდსიელანდი | 32 | 7 | 11 | 14 | 33:55 | 32 |
| ჰერფიოლგე | 32 | 8 | 7 | 17 | 34:53 | 31 |
| ფრემი | 32 | 8 | 3 | 21 | 37:59 | 27 |
| აკადემისკი | 32 | 8 | 2 | 22 | 30:68 | 26 |

### საბერძნეთი
**ეროვნული ლიგა. XXX ტური**

არისი — პაოკ 1:1; ხალკიდონა — აკრატიტოსი 3:1; კალითეა — აეკ 1:3; ოფი — იონიკოსი 1:2; ოლიმპიაკოსი — ეგალეო 3:1; პანილიაკოსი — პანათინაიკოსი 0:1; პანიონიოსი — პროდეფტიკი 3:1; ქსანთი — ირაკლისი 0:1

**საბოლოო ცხრილი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| პანათინაიკოსი | 30 | 24 | 5 | 1 | 62:18 | 77 |
| ოლიმპიაკოსი | 30 | 24 | 3 | 3 | 70:19 | 75 |
| პაოკ | 30 | 18 | 6 | 6 | 47:27 | 60 |
| აეკ | 30 | 16 | 7 | 7 | 57:32 | 55 |
| ეგალეო | 30 | 15 | 7 | 8 | 37:26 | 52 |
| პანიონიოსი | 30 | 12 | 11 | 7 | 40:29 | 47 |
| ხალკიდონა | 30 | 13 | 6 | 11 | 40:39 | 45 |
| ირაკლისი | 30 | 12 | 6 | 12 | 40:39 | 42 |
| იონიკოსი | 30 | 9 | 6 | 15 | 33:43 | 33 |
| ქსანთი | 30 | 8 | 6 | 16 | 28:42 | 30 |
| ოფი | 30 | 7 | 8 | 15 | 27:44 | 29 |
| კალითეა | 30 | 5 | 12 | 13 | 37:42 | 27 |
| არისი | 30 | 7 | 6 | 17 | 24:46 | 27 |
| აკრატიტოსი | 30 | 5 | 8 | 17 | 31:69 | 23 |
| პანილიაკოსი | 30 | 4 | 9 | 17 | 28:56 | 21 |
| პროდეფტიკი | 30 | 4 | 8 | 18 | 26:56 | 20 |

### იაპონია
**ჯეი ლიგა. XI ტური**

იოკოჰამა — ნაგოია 2:1; ნიირატა — ივატა 1:2; კაშიმა — ტოკიო 0:0; იჩიჰარა — სერეზო 1:1; შიმიცუ — ოიტა 1:2; გამბა — კობე 6:3; ჰიროშიმა — კაშივა 3:0; ვერდი — ურავა 1:3

### ისლანდია
**პრემიერდივიზიონი. II ტური**

აკრანესი — გრინდავიკი 0:0; ვესტმანაეიარი — ფრამი 1:1; კეფლავიკი — რეიკიავიკი 3:1; ვიკინგური — აკურეირი 0:1; ფილკირი — ჰაფნარფიორდური 1:0

Copa Toyota Libertadores '2004

### ლიბერტადორესის თასი 2004
**მეოთხედფინალი. პირველი მატჩები**

**რივერ პლეიტი** (არგენტინა) 1:0 **დეპორტივო კალი** (კოლუმბია)
1:0 სამბუეზა (19)
**სან კაეტანო** (ბრაზილია) 0:0 **ბოკა ხუნიორსი** (არგენტინა)

## იტალია

### სერია B. XLIII ტური

**ალბინოლეფე 2:1 კომო**
1:0 ბონაცი (35პ), 1:1 კარპარელი (40პ), 2:1 რაიმონდი (57)

**აველინო 3:2 პესკარა**
1:0 კუტუზოვი (27), 1:1 კალაიო (34), 2:1 კუტუზოვი (73), 3:1 ტისკი (75), 3:2 სბრიცო (80)

**ბარი 1:2 კატანია**
0:1 დელ ვეკიო (25), 0:2 მასკარა (35), 1:2 კორდოვა (68პ)

**ფიორენტინა 2:1 ნაპოლი**
0:1 დიონიჯი (26), 1:1 ფონტანა (49), 2:1 დელი კარი (87)

**ჯენოა 4:2 კალიარი**
1:0 მილიტო (40), 1:1 სუაცო (46), 1:2 ესპოზიტო (47), 2:2 ბიელანოვიჩი (70), 3:2, 4:2 მილიტო (85პ, 90)

**ლივორნო 3:1 ტორინო**
1:0 ლუკარელი (11), 2:0 კანარზა (13), 2:1 პინგა (39პ), 3:1 ლუკარელი (85)

**მესინა 1:1 პალერმო**
0:1 ბიავა (74), 1:1 სოზა (80)

**სალერნიტანა 2:0 ვენეცია**
1:0 ლონგო (63პ), 2:0 ნომვეტე (80)

**ტერნანა 2:1 ატალანტა**
1:0 კორენტი (21), 1:1 ბუდანი (39), 2:1 ძამპანა (47)

**ტრევიზო 1:1 ვიჩენცა**
1:0 განჩი (26პ), 1:1 მარჯოტა (51)

**ტრიესტინა 1:1 ასკოლი**
1:0 მარიანინი (54), 1:1 კოლაჩონე (90)

**ვერონა 3:0 პიაჩენცა**
1:0 ტურატი (9), 2:0 ადაილტონი (60), 3:0 პაპავიაგო (90)

# აბა, თქვით: AAA!


პალერმოელებს ფეხი თუ არ დაუცდათ, სერია A-ში ამოჰყოფენ თავს

იტალიურ სერია B-ში 43 ტური მიილია. წინ კიდევ სამი ტურია და სერია A-ში გადასვლა გარანტირებული ჯერ არავის აქვს. თუ დავუშვებთ, რომ პირველადგილსონი „პალერმო" სამივე დარჩენილ თამაშს წააგებს, ხოლო მეშვიდეზე მყოფი „პიაჩენცა" ოთხივეს მოიგებს, „პიაჩენცა" „პალერმოზე" ზევით აღმოჩნდება.

ბოლო ტურში „პალერმომ" მესინაში ითამაშა. „მესინა" მეოთხეზეა და, ბუნებრივია, ეს გახლდათ კიდეც დღის ცენტრალური თამაში. პლუს ეს იყო სიცილიური დერბი. პალერმოელებს აკლდათ ლუკა ტონი, ხოლო მის გარეშე წარმატებით თამაში ძნელი გამოდგა, არადა, რომ გაემარჯვათ, უკვე სერია A-ში იქნებოდნენ, გოლები მეორე ტაიმის მიწურულს, 74-ე და 78-ე წუთებზე გავიდა. ჯერ სტუმრებმა გაიტანეს, კერძოდ, ბიავამ თავურით გახსნა ანგარიში, ხოლო ხუთ წუთში სოსამ აგრეთვე თავურით გაქვითა.

მეორეზეა „ლივორნო", რომელმაც ოდესღაც საქვეყნოდ ცნობილ „ტორინოს" 3:1 აჯობა. მოდით, ახლა ნუ მოვყვებით იმის ჩივილს, რომ „ტორო" სერია B-ს მეთერთმეტე გუნდობამდეა ჩაქვეითებული, უბრალოდ მივყვეთ, რომ ლივორნოელთაგან პირველი და ბოლო გოლები არისტიანო ლუკარელიმ გაიტანა და საერთოდაც, „ლივორნომ" ეს სეზონი როგორც ჩინებულადაც დაიწყო, ისევე განაგრძნობს. საინტერესოა, რომ ხსენებული ლუკარელი ადრე სწორედ „ტორინოში" გთამაშობდა.

„კალიარი" მესამეზეა, ოღონდ „ჯენოასთან" სტუმრად 2:4 რომ არ წაეგო, გაცილებით უკედ ექნებოდა საქმე. კერძოდ, მოგების შემთხვევაში ის ლიდერი იქნებოდა, ხოლო იმავდროულად „ფიორენტინას" „ნაპოლი" რომ ვერ დაემარცხებინა, უკვე სერია A-ში დაიდებდა ბინას.

მეხუთეზეა „ატალანტა", რომელმაც ტერნანაში ითამაშა. აღსანიშნავია, რომ „ტერნანას" მისი თამაშიდან გამომდინარე — სერია A-ში ასვლაზე უკვე ხელი აქვს ჩაქნეული, უბრალოდ ვაჟკაცურად მოიქცა და არ წააგო, მეტიც, გაიმარჯვა.

ხოლო მეექვსეზეა „ფიორენტინა", რომელმაც როგორ ზემოთ ვახსენეთ, „ნაპოლის" 2:1 აჯობა. თუ გეხსენებათ, სერია B-ში მეექვსე ადგილი „პერუჯასთან" გადათამაშებაში მოხვედრას ნიშნავს, საინტერესოა, რომ თავიდან „ნაპოლი" იგებდა, მეგრამ მეორე ტაიმში „იებმა" ჯერ გაათანაბრეს (ანჯელო და ლივიოს პასით გოლი გაეტანო ფონტანამ შეაგდო), ხოლო ბოლოს, როდესაც რიჯანოს თავური ძელმა აისხლიტა, მცველის, დელ კარის დამატებულით მოიგეს კიდეც.

**ბაკუნა ძედია**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| პალერმო | 43 | 20 | 16 | 7 | 68:37 | 76 |
| ლივორნო | 43 | 19 | 17 | 7 | 69:41 | 74 |
| კალიარი | 43 | 20 | 14 | 9 | 71:47 | 74 |
| მესინა | 43 | 19 | 16 | 8 | 64:42 | 73 |
| ატალანტა | 43 | 17 | 19 | 7 | 54:36 | 70 |
| ფიორენტინა | 43 | 18 | 15 | 10 | 50:44 | 69 |
| პიაჩენცა | 43 | 17 | 16 | 10 | 44:38 | 67 |
| ტრიესტინა | 43 | 15 | 18 | 10 | 49:46 | 63 |
| ტერნანა | 43 | 16 | 14 | 13 | 55:47 | 62 |
| კატანია | 43 | 17 | 11 | 15 | 50:52 | 62 |
| ტორინო | 43 | 13 | 17 | 13 | 54:49 | 56 |
| ასკოლი | 43 | 13 | 16 | 14 | 47:48 | 55 |
| ტრევიზო | 43 | 12 | 18 | 13 | 45:44 | 54 |
| ვიჩენცა | 43 | 12 | 18 | 13 | 45:47 | 54 |
| ნაპოლი | 43 | 10 | 23 | 10 | 33:41 | 53 |
| სალერნიტანა | 43 | 14 | 11 | 18 | 35:50 | 53 |
| ალბინოლეფე | 43 | 13 | 13 | 17 | 41:52 | 52 |
| ჯენოა | 43 | 12 | 14 | 17 | 48:55 | 50 |
| ვენეცია | 43 | 11 | 15 | 17 | 37:50 | 48 |
| ბარი | 43 | 12 | 10 | 21 | 48:59 | 46 |
| ვერონა | 43 | 10 | 14 | 19 | 46:62 | 44 |
| პესკარა | 43 | 10 | 12 | 21 | 37:60 | 42 |
| აველინო | 43 | 8 | 13 | 22 | 49:62 | 37 |
| კომო | 43 | 7 | 12 | 24 | 33:63 | 33 |

# ამბობენ...

## ლიპი მიდის




## ჯილარდინო მოდის?

**იტალიური** გაზეთები ამბობენ, რომ „რომას" რეკონსტრუქცია „პარმიდან" ალბერტო ჯილარდინოს ყიდვით დაიწყება. ცნობა იმის შესახებ, რომ რომში ჯილარდინო მოსწონთ, ერთი კვირის წინათ გავრცელდა, მაგრამ მაშინ ფეხბურთელის აგენტმა თქვა, რომ მათ არავინ შეხმიანებია. ახლა უკვე სხვას ამბობენ, „რომამ" თავისი ნაბიჯი გადადგა — ფეხბურთელმა კი ეს წინადადება დიდი სიხარულით მიიღო. ერთი სიტყვით, „რომასა" და „პარმას" წარმომადგენლებს უკვე შეუძლიათ მოლაპარაკებების მაგიდას მიუსხდნენ. ერთი სიტყვით, „რომას" და „პარმას" უკვე შეუძლიათ მოლაპარაკების მაგიდას მიუსხდნენ. რამდენადაც ცნობილია, ჯილარდინოს დღევანდელი ფასი 25 მილიონ ევრომდეა.

ფეხბურთელის აგენტი ფრანჩესკო რომანო: „ჯილარდინო ის ფეხბურთელია, რომელიც იტალიის და მთელი ევროპის ძალიან ბევრ კლუბს სურს თავისთან იხილოს. ვფიქრობ, მისი შეძენის მსურველებმა დაახლოებით 18-28 მილიონი ევროს ფარგლებში უნდა ივაჭრონ".

რაც შეეხება „იუვენტუსს", ის თურმე ნუ იტყვით და, დიეგო ტრისტანის ყიდვის ეშხით ესპანეთის ქალაქ ლა კორუნიას სწვევია. ტრისტანით, სხვათა შორის, „მანჩესტერ იუნაიტედი" და „რეალიც" იყვნენ დაინტერესებულნი. 28 წლის თავდამსხმელი 6-7 მილიონ ევროდაა შეფასებული.

იმავდროულად, „იუვენტუსი" ზემოხსენებულ „რომას" კარსაც აკაკუნებს, ემერსონი უნდა. საინტერესოა, რომ ბრაზილიელი ნახევარმცველი „იუვეს" პრეს-ატაშის, რომი გაიას კამპანიაში იხილეს. „ბებერ ქალბატონსავე" სურს 22 წლის ოსერელი ფრანგის, ფილიპ მექსეშის და „პარმას" მატეო ფერარის ყიდვაც, თუმცა თუ ორივეს ვერ გაწვდება, მაშინ უფრო იაფ, 6-7 მილიონიან მექსეშს იყიდის.

და ეს ყველაფერი უკვე „იუვენტუსის" 90-იანი წლების სახედ მიჩნეული მწვრთნელის, მარჩელო ლიპის გარეშე მოხდება. ლიპიმ „შავ-თეთრებს" ბოლო ვარჯიში უკვე ჩაუტარა — შაბათს, 22 მაისს, მაესტრო ბოლოჯერ დადგა „იუვეს" საწვრთნელი მინდვრის შუაში და ბოლო იუვენტუსური სიტყვა თქვა. ამ ამბავს ესწრებოდნენ კლუბის დირექტორი რობერტო ბეტეგა და სამედიცინო პერსონალის ხელმძღვანელი რიკარდო აგრიკოლაც. რაც შეეხება პრესკონფერენციას, ლიპიმ მას თავი აარიდა, პრესის ოთახში უბრალოდ შევიდა და ჟურნალისტებს დაემშვიდობა.

და ვინ იქნება „იუვენტუსის" ახალი მწვრთნელი"? კონკრეტული პასუხი ჯერ ცნობილი არ არის, მაგრამ ვერსია ისევ ორია — „პარმას" თავკაცი ჩეზარე პრანდელი ან „იუვეს" ყოფილი ფეხბურთელი დიდიე დეშანი „მონაკოდან".

ხოლო ფაბიო კაპელო „რომადან" არ მიდის და როგორც ჩვენი წერილის პირველივე წინადადებაში აღვნიშნეთ, კლუბის მეპატრონეებთან ერთად რეკონსტრუქციისთვის ემზადება. თუმცა, „რომას" თავკაცი, როგორც ირკვევა, მცველის, ვალტერ სამუელის „რეალში" გაყიდვას შეუშფოთებია.

„სამუელი ჩვენი გუნდის ერთ-ერთი მთავარი წევრი იყო — განაცხადა კაპელომ — ჩვენ მას სამომავლო გეგმებში განვიხილავდით. საერთოდ, გუნდი შეიძლება შეიცვალოს, მაგრამ მისი ჩონჩხი აუცილებლად უნდა დარჩეს ძლიერი და მყარი".

შეგახსენებთ, რომ „რომას" წაუვიდა ჯონათან ძებინაც, იგი „იუვენტუსმა" აიყვანა.

კაპელო: „ახლა ბევრი რამ თავიდან არის მისახედი. ბაზარზე ხომ ძლიერი მცველების დეფიციტია".

საინტერესოა, რომ „იუვენტუსისა" არ იყოს, „პარმას" მცველი მატეო ფერარი „რომასაც" ჩავარდნია გულში.

**ბაკუნა ძედია**

# ბუცი სოფლის მეურნეობას ბაჯო ამერიკამ იყიდა

**ბუცები**, რომელიც რობერტო ბაჯოს 28 აპრილს ეცვა, აუქციონზე 10 ათას დოლარად გაიყიდა. ახლა გავიხსენოთ, რა მოხდა 28 აპრილს. ამ დღეს გენუაში, „სტადიო ლუიჯი ფერარიზე" იტალიის ნაკრებმა ესპანეთისას უმასპინძლა და ეს გახლდათ იტალიისა და მთელი მსოფლიოს საყვარელი ვარსკვლავის ბოლო მატჩი „სკუადრა ამურაში".

ბუცების აუქციონზე გატანა თავად „ცხენისკუდას" იდეა გახლდათ. შემოსული თანხა მან FAO-ს გადაურიცხა. ეს FAO & FOOD AND AGRICULTURE ORGANIZATION' ქართულად ჯობს ასე მოვიხსენიოთ: საკვებისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაცია. ამ ორგანიზაციას ბაჯო 2002 წლიდან ელჩად ჰყავს არჩეული.

ბუცები კი ინტერნეტით შეიძინა მავანმა ამერიკელმა ქომაგმა. მან აუქციონის დახურვამდე წამებით ადრე შეიტანა თავისი წინადადება.

ახლა საინტერესოა, გადაიტანს თუ არა ბაჯო აუქციონზე სერია A-ს ბოლო შეხვედრაში ნაცვამ ბუცებს. შეგახსენებთ, ეს თამაში „სან სიროზე" გაიმართა და ბაჯოს „ბრეშამ" „მილანთან" 2:4 წააგო.

**ბაკუნა ძედია**



# რუსეთი ცამეტზე გაჩერდა

## რუსეთი

### პრემიერლიგა. XIII ტური

**კრილია 1:0 ლოკომოტივი**

1:0 კარიაკა (23)

ლოკომოტივი: ოვჩინიკოვი, ნიჟეგოროდოვი, ასათიანი, ლეკხეტო, გურენკო, იზმაილოვი, ხოხლოვი (ჩესნაუსკისი 82), ბილიალეტდინოვი, ლოსკოვი (პარკსი 86), სიჩოვი, ობიორა (აშვეთია 46)

მწვრთნელი: იური სიომინი

**ამკარი 0:0 ცსკა**

**ზენიტი 1:0 ყუბანი**

1:0 კერჟაკოვი (39)

**დინამო 0:1 როსტოვი**

0:1 დანცევი (60)

დინამო: კარჩემარსკასი, ხიზანეიშვილი, ბატაკი, ტანასიევიჩი (მურიგინი 70), გაშეკი, იაშინი, პოლოვინჩუკი, ვლჩეკი, დიატელი (გიანი 59), ბულიკინი (კორჩაგინი 78), ზბონჩაკი

მწვრთნელი: იაროსლავ გჟებიკი

როსტოვი: კოლინკო, დაცენკო, როგოჩი, ბუტი, შირშოვი, აკოპიანცი (კრუშჩიჩი 63), კალაშნიკოვი, დანცევი, კანიენდა (პერესი 46), ადამოვი (ალექსიძე 60), მნგუნი

მწვრთნელი: სერგეი ბალახნინი

**სპარტაკი 0:1 ალანია**

0:1 კორიტკო (29)

სპარტაკი: ლომაია, პარფიონოვი (ახმედოვი 26), იენჩი (კალინიჩენკო 65), ტამაში, კოვტუნი, სამედოვი (ლეშონოკი 77), სოავა, ტრობოკი, პავლენკო, პოგრებნიაკი, პავლიუჩენკო

მწვრთნელი: ნევიო სკალა

**შინიკი 1:0 სატურნი**

1:0 დუბინსკი (85)

**ტორპედო 1:0 როტორი**

1:0 ოპერი (70)

**რუბინი 3:0 ტ. მეტალურგი**

1:0 დოშტალეკი (51), 2:0, 3:0 ბაირამოვი (81, 83)



ალექსანდრ კერჟაკოვმა „ზენიტის" გამარჯვებისა გაიტანა

პეტერბურგში „ზენიტმა" მაჩანჩალა „ყუბანს" უმასპინძლა და კინკილა გოლით დაამარცხა. უსახური პირველი ტაიმის ბოლოს კერჟაკოვმა გაიტანა. თამაში მეორე ნახევარში გამოცოცხლდა. კრასნოდარელები მალე დაიღალნენ, რადგან სეზონისთვის ცუდად მოემზადნენ და ამას ტრავმიანობაც დაერთო.

მასპინძელმა ვლადიმირ ბოსტროვმა სამი ნაღდი საგოლე მომენტი წაახდინა. თავად უნდოდა გატანა და ძუნწობდა, მაგრამ „ყუბანის" მეკარე პეროვმა აჯობა.

მოსკოვის „ლოკომოტივი" ზედიზედ მეორედ დამარცხდა.

სამარაში იური სიომინის გუნდს ყოველთვის უჭირდა. ბოლო ოთხი წლის განმავლობაში „ლოკოს" „კრილია სოვეტოვისთვის" სტუმრად არ მოუგია და ამჯერადაც წააგო. შეხვედრის დასაწყისში მასპინძლებმა მეტოქე იერიშებით დაარეტიანეს და ოვჩინიკოვს ოფლი ადინეს, მაგრამ რეალური მომენტები ვერ გამოიყენეს. სამარელთა შეტევების ტალღამ რომ იკლო, სწორედ მაშინ გავიდა გოლი მოსკოველთა კარში. ტიხონოვმა ჯარიმა სწრაფად გაათამაშა და ჩემპიონატის საუკეთესო ბომბარდირმა, კარიაკამ ანგარიში გახსნა.

ამის შემდეგ მატჩის ბოლომდე „ლოკომოტივი" ბატონობდა, მაგრამ სტუმართა ლიდერი ლოსკოვი აჭრილი იყო და პასებს ჩვეულად ველარ არიგებდა. თამაშის დასრულებამდე ხუთი წუთით კი ადრე ლოსკოვი დაშავდა და შეცვალეს.

ცსკა-მ ვერ მოიგი პერმში, თუმც მესამე ადგილი შეინარჩუნა. მატჩის პირველი ტაიმის ბოლოს მასპინძელი ბულიგა არმიელ მეკარესთან პირისპირ გავიდა, აკინფეევს გასცდა, მაგრამ ცარიელი კარიდან ბურთი ვასილი ბერეზუცკიმ გამოიტანა.

სტუმრებს შეხვედრის მიწურულს შეეძლოთ გატანა, თუმც გუსევმა ხელსაყრელი პოზიციიდან უხეიროდ დაარტყა.

„სპარტაკმა" მიჯრით მეექვსე თამაში წააგო და ეს ნიშნავს, რომ ნევიო სკალა ალბათ, რუსეთის დედაქალაქს გაეცლება: „ალანიამ" კორიტკოს გოლით სძლია „სახალხო გუნდს" და მეექვსე ადგილზე გადაინაცვლა.

„დინამოს" საშინაო მარცხი „როსტოვთან" მოულოდნელი იყო. მოსკოველთა ჩეხი მწვრთნელს, იაროსლავ გჟებიკს, სავარაუდოდ, სკალას გზას გაუყენებენ, რადგან გუნდმა ბოლო შვიდ ტურში მხოლოდ ორჯერ მოიგო.

იაროსლავლში ხუთმატჩიანი წაგებული სერია შეწყვიტა „შინიკმა". მასპინძლებმა ბოლოსლა გატეხეს „სატურნი" და სეზონში მესამე გამარჯვება მიითვალეს. თამაშის დასრულებამდე ორი წუთით ადრე გოლი დუბინსკიმ გაიტანა.

„როტორი" მეთექვსმეტე საფეხურზე დარჩა, რადგან ლიდერ „ტორპედოსთან" სტუმრად დამარცხდა. ტორპედოელებმა მდევარ „ზენიტთან" სამქულიანი სხვაობა შეინარჩუნეს. რუსული პრემიერლიგა კი ივლისამდე არდადეგებზე წავიდა.

**ვაჟა ხუციშვილი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ტორპედო | 13 | 9 | 3 | 1 | 26:9 | 30 |
| ზენიტი | 13 | 8 | 3 | 2 | 25:16 | 27 |
| ცსკა | 13 | 6 | 6 | 1 | 20:10 | 24 |
| ლოკომოტივი | 13 | 6 | 4 | 3 | 16:9 | 22 |
| კრილია | 13 | 6 | 4 | 3 | 21:21 | 22 |
| ალანია | 13 | 5 | 4 | 4 | 12:12 | 19 |
| სატურნი | 13 | 3 | 7 | 3 | 14:12 | 16 |
| დინამო | 13 | 3 | 6 | 4 | 14:13 | 15 |
| ამკარი | 13 | 3 | 6 | 4 | 10:16 | 15 |
| ტ. მეტალურგი | 13 | 3 | 5 | 5 | 15:17 | 14 |
| სპარტაკი | 13 | 4 | 2 | 7 | 21:25 | 14 |
| შინიკი | 13 | 3 | 5 | 5 | 7:12 | 14 |
| რუბინი | 13 | 2 | 7 | 4 | 14:14 | 13 |
| როსტოვი | 13 | 3 | 4 | 6 | 14:20 | 13 |
| ყუბანი | 13 | 2 | 5 | 6 | 12:19 | 11 |
| როტორი | 13 | 1 | 3 | 9 | 14:30 | 6 |

## საფრანგეთი

### II დივიზიონი. XXXVIII ტური

ამიენი — ლავალი 3:4; ბეზანსონი — გრენობლი 3:1; კაენი — ტრუა 3:0; კრეტეი — ნიორი 2:2; ლორიანი — გენიონი 0:5; ნანსი — ლე ავრი 4:1; რუანი — კლერმონი 0:0; სენტ ეტიენი — შატორუ 2:1; სედანი — ისტრი 3:1; ვალანსი — ანჟერი 0:1

**საბოლოო ცხრილი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სენტ ეტიენი | 38 | 22 | 7 | 9 | 44:29 | 73 |
| კაენი | 38 | 20 | 11 | 7 | 56:31 | 71 |
| ისტრი | 38 | 19 | 9 | 10 | 44:26 | 66 |
| ლორიანი | 38 | 17 | 10 | 11 | 57:45 | 61 |
| სედანი | 38 | 15 | 15 | 8 | 42:31 | 60 |
| ნანსი | 38 | 14 | 13 | 11 | 45:36 | 55 |
| ლე ავრი | 38 | 15 | 10 | 13 | 44:46 | 55 |
| ნიორი | 38 | 13 | 14 | 11 | 47:44 | 53 |
| ამიენი | 38 | 15 | 8 | 15 | 43:45 | 53 |
| შატორუ | 38 | 14 | 10 | 14 | 46:47 | 52 |
| ტრუა | 38 | 13 | 13 | 12 | 43:48 | 52 |
| ანჟე | 38 | 11 | 12 | 15 | 36:43 | 45 |
| კლერმონი | 38 | 9 | 17 | 12 | 36:48 | 44 |
| გრენობლი | 38 | 9 | 16 | 13 | 38:43 | 43 |
| გენიონი | 38 | 9 | 15 | 14 | 40:43 | 42 |
| ლავალი | 38 | 10 | 12 | 16 | 51:55 | 42 |
| კრეტეი | 38 | 9 | 15 | 14 | 39:49 | 42 |
| ვალანსი | 38 | 9 | 13 | 16 | 45:56 | 40 |
| ბეზანსონი | 38 | 8 | 14 | 16 | 37:45 | 38 |
| რუანი | 38 | 5 | 14 | 19 | 27:50 | 29 |

## ნორვეგია

### სუპერეტა. VIII ტური

ფრედრიკსტადი — სტაბეკი 0:2; ლილესტრიომი — სოგნდალი 1:0; ლინი — ტრომსიო 2:4; რუსენბორგი — ოდ გრენლანდი 2:0; ვიკინგი — ჰამ კამი 0:1; ბრანი — ბოდიო გლიმტი 3:1. მოლდე — ვოლერენგა დღეს გაიმართება

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ტრომსიო | 8 | 5 | 1 | 2 | 16:8 | 16 |
| ოდ გრენლანდი | 8 | 4 | 3 | 1 | 15:9 | 15 |
| ჰამ კამი | 8 | 4 | 3 | 1 | 9:6 | 15 |
| ვოლერენგა | 7 | 3 | 4 | 0 | 8:5 | 13 |
| ლინი | 8 | 3 | 3 | 2 | 7:5 | 12 |
| რუსენბორგი | 8 | 3 | 3 | 2 | 10:10 | 12 |
| ბრანი | 8 | 3 | 1 | 4 | 11:9 | 10 |
| ბოდიო გლიმტი | 8 | 3 | 1 | 4 | 10:12 | 10 |
| სტაბეკი | 8 | 3 | 1 | 4 | 10:13 | 10 |
| ლილესტრიომი | 8 | 2 | 3 | 3 | 10:10 | 9 |
| მოლდე | 7 | 2 | 2 | 3 | 8:9 | 8 |
| ვიკინგი | 8 | 1 | 5 | 2 | 6:9 | 8 |
| სოგნდალი | 8 | 1 | 2 | 5 | 9:15 | 5 |
| ფრედრიკსტადი | 8 | 1 | 2 | 5 | 10:19 | 5 |

## ავსტრია

### მემფისის თასის ფინალი

**გრაცერი 3:3დ.დ.(პენ.5:4, 2:2) აუსტრია**

0:1 გილევიჩი (28), 1:1 ბაზინა (45), 1:2 დანდი (64), 2:2 კოლმანი (88), 2:3 გილევიჩი (99), 3:3 აუფჰაუზერი (105)

## ჰოლანდია

### ამსტელის თასის ფინალი

**ტვენტე 0:1 უტრეხტი**

0:1 ვან დენ ბერგი (66)

## ამხანაგური მატჩები

**ტრინიდადი 2:0 ერაყი**

**კონგოს დრ 1:3 ანგოლა**

## ბელგია

### თასის ფინალი

**ბევერენი 2:4 ბრიუგე**

0:1 ვერპეინი (23), 1:1 ვერლინდენი (37ს.კ.), 1:2 ნ. ჩეპი (42), 2:2 ბ. მარტენსი (61ს.კ.), 2:3 მენდოსა (74), 2:4 ვან დერ ჰიდენი (79)

## შვეიცარია

### სუპერლიგა. XXXVI ტური

**სენტ-გალენი 2:0 სერვეტი**

1:0 პავლოვიჩი (29), 2:0 ტაჩე მენსა (57)

**ბაზელი 2:1 იანგ ბოისი**

1:0 ხ. როსი (5), 2:0 კ. ხიმენესი (36), 2:1 შაპუიზა (47)

**ქსამაქსი 2:1 გრასჰოპერი**

1:0 რეი (22), 1:1 კენგელი (45), 2:1 ოიონგი (66)

**თუნი 2:0 ვილი**

1:0 რამა (31), 2:0 რაიმონდი (52)

**ციურიხი 4:1 აარაუ**

1:0 იასარი (10), 1:1 ჟაველაშვილი (23), 2:1 დი ჯორიო (59), 3:1 პეტროსიანი (67), 4:1 მატიჩი (71)

**საბოლოო ცხრილი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბაზელი | 36 | 26 | 7 | 3 | 86:32 | 85 |
| იანგ ბოისი | 36 | 22 | 6 | 8 | 75:48 | 72 |
| სერვეტი | 36 | 15 | 7 | 14 | 61:62 | 52 |
| ციურიხი | 36 | 14 | 8 | 14 | 58:52 | 50 |
| სენტ გალენი | 36 | 14 | 8 | 14 | 54:57 | 50 |
| თუნი | 36 | 13 | 10 | 13 | 51:57 | 49 |
| გრასჰოპერი | 36 | 12 | 5 | 19 | 62:74 | 41 |
| აარაუ | 36 | 9 | 11 | 16 | 57:69 | 38 |
| ქსამაქსი | 36 | 10 | 6 | 20 | 46:63 | 36 |
| ვილი | 36 | 7 | 8 | 21 | 37:73 | 29 |

### ჩელენჯლიგა. XXX ტური

ბელინცონა — ბულე 3:3; კიასო — შაფჰაუზენი 6:0; დელემონი — კონკორდია 1:3; კრინსი — მეირინი 3:1; შო დე ფონი — ლუცერნი 1:4; ანიო — ვინტერთური 2:1; ვადუცი — ბადენი 5:2; ივერდონი — სიონი 1:1

## შვედეთი

### ალსვენსკა. X ტური

კალმარი — ტრელებორგი 2:0; ლანდსკრონა — აიკ 0:1; სუნდსვალი — ჰალმსტადი 1:0. იურგორდენი — იორგრიტე, ელფსბორგი — იორებრო, ჰელსინგბორგი — მალმიო და გიოტებორგი — ჰამარბი დღეს გაიმართება

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ჰალმსტადი | 9 | 7 | 1 | 1 | 22:9 | 22 |
| კალმარი | 9 | 5 | 2 | 2 | 13:8 | 17 |
| ჰამარბი | 9 | 5 | 2 | 2 | 9:6 | 17 |
| გიოტებორგი | 8 | 4 | 2 | 2 | 9:5 | 14 |
| მალმიო | 8 | 3 | 4 | 1 | 13:5 | 13 |
| სუნდსვალი | 10 | 3 | 4 | 3 | 10:10 | 13 |
| იორგრიტე | 8 | 2 | 4 | 2 | 8:10 | 10 |
| იორებრო | 8 | 3 | 1 | 4 | 12:18 | 10 |
| იურგორდენი | 8 | 2 | 3 | 3 | 10:12 | 9 |
| ტრელებორგი | 9 | 2 | 3 | 4 | 7:10 | 9 |
| აიკ | 9 | 2 | 3 | 4 | 5:9 | 9 |
| ლანდსკრონა | 9 | 2 | 2 | 5 | 10:14 | 8 |
| ჰელსინგბორგი | 8 | 1 | 4 | 3 | 13:13 | 7 |
| ელფსბორგი | 8 | 0 | 3 | 5 | 3:15 | 3 |

## ფინეთი

### ვეიკაუსლიგა. V ტური

ალიანსი — იარო 4:0; ჰაამენლინა — კტპ 0:1; ინტერი — ჰაკა 0:0; მიუპა — ჯაზი 2:1; როვანიემი — ტურკუ 0:2; ტამპერე — ლაჰტი 0:0. ჰიკ — ტპ-47 დღეს გაიმართება

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ტურკუ | 5 | 3 | 1 | 1 | 9:4 | 10 |
| ალიანსი | 5 | 3 | 0 | 2 | 7:4 | 9 |
| ჰაკა | 5 | 2 | 2 | 1 | 5:2 | 8 |
| კტპ | 5 | 2 | 2 | 1 | 7:6 | 8 |
| მიუპა | 5 | 2 | 2 | 1 | 7:6 | 8 |
| ჯაზი | 5 | 2 | 1 | 2 | 12:10 | 7 |
| ინტერი | 5 | 2 | 1 | 2 | 5:5 | 7 |
| ტამპერე | 4 | 2 | 1 | 1 | 3:3 | 7 |
| ჰიკ | 4 | 1 | 3 | 0 | 8:5 | 6 |
| ტპ-47 | 4 | 1 | 2 | 1 | 4:4 | 5 |
| ლაჰტი | 5 | 0 | 4 | 1 | 5:7 | 4 |
| იარო | 5 | 1 | 1 | 3 | 5:10 | 4 |
| ჰაამენლინა | 5 | 1 | 1 | 3 | 6:12 | 4 |
| როვანიემი | 4 | 0 | 1 | 3 | 3:8 | 1 |



„ბრიუგემ" თასი ჩაიხუტა

## საბერძნეთი ევრო-2004-ზე

*მეკარეები:* ანტონის ნიკოპოლიდისი, თეოფანის კატერიანაკისი (პანათინაიკოსი), კონსტანტინოს ხალკიასი (პანათინაიკოსი);

*მცველები:* ტრაიანოს დელასი (რომა, იტალია), იანის გუმასი, იურკას სეიტარიდისი (პანათინაიკოსი), ტაკის ფისასი (ბენფიკა, პორტუგალია), ნიკოს დაბიზასი (ლესტერი, ინგლისი), სტილიანოს ვენეტიდისი (ოლიმპიაკოსი), მიხალის კაპსისი (აეკ);

*ნახევარმცველები:* კონსტანტინოს კაცურანისი, ვასილის ცარტასი, თეოდორის ზაგორაკისი (აეკ), ანგელოს ბასინასი (პანათინაიკოსი), პანტელის კაფესი, გეორგიოს გეორგიადისი (ოლიმპიაკოსი), სტელიოს იანაკოპულოსი (ბოლტონი, ინგლისი), გეორგიოს კარაგუნისი (ინტერი, იტალია);

*თავდამსხმელები:* დიმიტრიოს პაპადოპულოსი (პანათინაიკოსი), ზისის ვრიზასი (ფიორენტინა, იტალია), ანგელოს ხარისტიასი (ვერდერი, გერმანია), დემის ნიკოლაიდისი (ატლეტიკო, ესპანეთი)

## ვაჟების ბადე

1/32 — 1/16 — 1/8 — 1/4 — 1/2

- ფედერერი (1) — ვლიგენი
- ასიონი — კიფერი
- რამირეს იდალგო — ელსინერი
- ალმაგრო — კუერტენი (28)
- ლოპესი (23) — ლაპენტი
- კარლოვიჩი — კუჩერა
- პასიანსი — ვოლანდრი
- სოდერლინგი — შალკენი (15)
- გროჟანი (10) — კიმი
- სტარაჩე — ტურსუნოვი
- მანტია — სალზენშტეინი
- კალერი — საფინი (20)
- ლუბიჩიჩი (25) — არაზი
- კუბეკი — სანჩესი
- პლესი — ფელა
- გასკე — ნალბანდიანი (8)
- ფერერო (4) — ჰაასი
- ვაჩეკი — ანდრეევი
- ო. როხუსი — ფერერი
- ბენეტო — მირნი (29)
- ბიორკმანი (24) — დენტი
- კარლსენი — ენკვისტი
- კანასი — გაუდიო
- დიუპუა — ნოვაკი (14)
- ჰიუიტი (12) — დი პასკალი
- მელცერი — ფერეირა
- ჰანესკუ — ლისნარი
- ბუტე — ფერკერკი (19)
- კოსტა (26) — სარეტა
- კ. როხუსი — ლოპესი
- ელსნერი — პეია
- მალისი — შუტლერი (7)
- მოია (5) — ფან ლოტუმი
- ვისენტე — ჟიკელი
- სლუიტერი — მელო
- ულირახი — ჰრბატი (31)
- რობრედო (17) — ა. მარტინი
- გარსია ლოპესი — რიდი
- სტეპანეკი — ვოლჩკოვი
- ტიპსარევიჩი — მასუ
- გონსალესი (16) — მაიერი
- არტურსი — ესკუდე
- იუჟნი — ფან სხეპინგენი
- ერნანდესი — პაველი (21)
- საბალეტა (30) — რობერი
- სარგსიანი — ანჩიჩი
- მონაკო — ბოგომოლოვი
- დავიდენკო — კორია (3)
- აგასი (6) — ანელი
- ლოდრა — პოპი
- ჟანპიერი — ბეკი
- სერა — სპედია (27)
- ფილიპუსისი (18 )— ჰორნა
- ბლანკო — პორტასი
- ბურგსმიულერი — მაჰუ
- სოლნიე — ჰენმანი (9)
- შრიჩაფანი (13) — ბერდიჩი
- კორეჩა — გემბილი
- რუზეცკი — ვერდასკო
- ლევი — ჩელა (22)
- კლემანი (32) — სანტორო
- ლაბაძე — იოჰანსონი
- ჯინეპრი — მუტი
- ტ. მარტინი — როდიკი (2)

## როლან გაროსი 2004

# ფედერერი და უფერულები სულ მტვერში ამოგანგლავს


როჯერ ფედერერი

უკანასკნელი ხანებში ტურნირები... უკანახაზიდან ოფლიანად მოგლაჯუნე მეთიხნარეთა გუნდში მრავალფეროვანი, მრავალდარტყმა ყაიდის მქონე მეჩოგნე ყოველთვის სახარბიელოდ გამოირჩევა ხოლმე.

ხოლო როცა ასეთ მეჩოგნეს პირველი იანვრიდან ოცდაოთხ მაისამდე უკვე 4 ტიტული მოუნაგრავს და 32 მოგების წილ მეტოქეებს მხოლოდ სამჯერ დანებებია, ის ტურნირის უცილობელ ფავორიტადაც უნდა მიიჩნეს.

და იმის მიუხედავად, რომ წლევანდელ როლანგაროსობას რიგიან ფორმაში ხვდებიან ჯიშად მეთიხნარე ესპანუროვანი მუჩაჩოები, უმთავრეს ფავორიტად ყველა სწორედ მაინც ამქრის ზეგარდმო და უნიჭიერეს პირველოსან როჯერ ფედერერს მოიაზრებს.

ეს 22 წლის ბაზელელი შარშან (უიმბლდონზე) პირველი მისქვეყნელი გახდა, ვინაც რაგინდარა სლემტიტულის მოხვეჭა შეძლო. სულ კი იმ სეზონში მან შვიდი ტიტული იშოვა და თანაც — სამივე საფარზე!

წლევანდელი სეზონი კი ფედერერმა ავსტრალიის ღია პირველობის მოგებით დაიწყო და ეს ისე ნატიფად და დამთრგუნველად გააკეთა, რომ მილეთი მის მიერ დიდი სლემის ანუ ოთხივე საამსეზონო სლემტიტულის მოგების შესაძლებლობაზეც ააყაყანა.

ეს ყაყანი, ცხადია, კიდევ უფრო გაცხოველდა მას შემდეგ, რაც მან მელბურნულ ზორბა ჯილდოს დუბაური, ინდიანუელსური და — სულ ახლახანს — ჰამბურგული ტიტულებიც მიაყოლა.

არადა, ჰამბურგამდე მცოდნეთა უმეტეს ნაწილს წლევანდელი როლანგაროსობის თავადად უფრო არგენტინელი გილერმო კორია წარმოედგინა, ვისაც შარშანდელი ზაფხულიდან მოყოლებული ზედიზედ უკვე 26 სათიხნარო შეხლა მოეგო და ამ საფარზე საერთოდაც მოუწყვლელი ჩანდა.

ოცდაექვს თიხნარმოგებას კიდევ ხუთი კორიამ საკუთრივ ჰამბურგშივე მიათვალა, მაგრამ ფინალში მან ვერარაფერი გააწყო მისთვის ჩვეული ჰეროვნებითა და ალმატებულებით მობურთალ ფედერერს.

თუმცა სწორედ ამ მატჩის შემდეგ დასმულ კითხვაზე, ახლა კი ალბათ თქვენს ფავორიტობაში ეჭვს ვერარავინ შეიტანსო, ფედერერმა ასე მიუგო:

„სხვისას ვერაფერს გეტყვით, მე კი სულაც არ ვაპირებ, ჩემი თავი უეჭველ ფავორიტად წარმოვიდგინო. არ მინდა, დრო და ფიქრები შესაძლო მეოთხედფინალსა თუ ნახევარფინალზე ჩუკნებაში გამეფლანგოს. წინა წლებში სწორედ ამან დამალალატა, ჰოდა, ამიტომ ახლა უფრო საპირველწრეო მატჩზე ვიფიქრებ."

მაგრამ აქ არც იმის უთქმელობა იქნება, რომ ახლანდელი — თავდაჯერებული, ლამის ყოვლისშემძლე ფედერერი შესამჩნევად სხვაობს იმწლებინდელი, საკუთარ შესაძლებლობებში ჯერაც დაურწმუნებელი ყმაწვილისგან. მას ახლა უკვე ჭეშმარიტად იცის, რომ ყველა საფარზე და ნებისმიერ დონეზე წარმატება ჩოგანეწიფება.

ამას მისი მეტოქეებიც კარგად აცნობიერებენ. გილერმო კორიამ, ვინაც ორი საამსეზონო ტიტული სწორედ თიხნარზე — ბუენოს აირესსა და მონტე კარლოში მოირეწა, ფედერერის ჩოგნის სიმწარე, აკი ზემოთაც მოგახსენეთ, საკუთარ ტყავზეც გამოსცადა.

სწორედ მასვე მიიჩნევს შარშანდელ როლანგაროსობაზე ნაშოვნი ტიტულის უმთავრეს მოცილედ ხუან კარლოს ფერეროც. თუმცა კოლობიჭს, პარიზულ სეფეთიხნარზე ერთხელაც რომ არ ძლეულა ნახევარფინალამდე, ფედერერზე მეტად ახლა ტრავმებისა და უთამაშებლობისა ედარდება.

სეზონის დასაწყისი მას ჩუტყვავილის გამო გაუცდა, მერე კი ხან მაჯა იტკინა, ხან ნეკნები და ისე გამოვიდა, რომ სათულფე საფარზე ლამის ჩოგანი არ გაუქნევია.

„შარშანდლის შემდეგ თიხნარზე მხოლოდ ოთხი გეიმი დამიგროვდა — ამბობს ფერერო — მაგრამ როლან გაროსი უკანასკნელი ტურნირია, რაც წლეულს სათიხნაროდ დამრჩა და ამიტომ აქ შეუძლებლის შეძლებას ვეცდები."

მისგან განსხვავებით რიგიან ფორმაშია და 8 მარცხის წილ 36 საამსეზონო მოგებასა და სამ (ჩენაურ, აკაპულკოურ, რომაულ) ტიტულს დაიკვეხს ფეროროს უფროსი თანამემამულე კარლოს მოია.

ჰამბურგულ მეოთხედფინალში ფედერერისგან შემუსვრის შემდეგ მან იხტიბარი არ გაიტეხა და თქვა, ახლა იმაზე უკეთესი მეჩოგნე ვარ, ვიდრე ჩემს საზეო, 1997-98 წლებში ვიყავიო. შეგახსენებთ, რომ 1998-ში მოიამ როლანგაროსობაც მოიგო და მერე რეიტინგსიის უმაღლეს საფეხურსაც უწია.

თქვენ ფიქრობთ, რომ იმავის გამეორებას ის ამ სეზონშიც მოახერხებს?! შეიძლება, მართალიც ბრძანდებოდეთ, მაგრამ — დალახვროს აგასიმ — მე მაინც უფრო სხვანაირად მგონია.

და ნუ დავივიწყებთ ენდი როდიკსაც, რომელსაც პარიზში აქამდე მუდამ მტვერში ამოგანგვლა კი უხდებოდა, მაგრამ უკვე აღარც სხვაზე ნაკლები ბოი ეთქმის და, სხვა თუ არაფერი, რეიტინგსიაშიც ფედერერსა და კორიას შორის, მეორე ადგილზე მკვიდრობს.

## როლან გაროსის ჩემპიონები 1961 — 2003


მანუელ სანტანა

| | |
|---|---|
| 1961 | მანუელ სანტანა |
| 1962 | როდ ლეივერი |
| 1963 | როი ემერსონი |
| 1964 | მანუელ სანტანა |
| 1965 | ფრედ სტოლი |
| 1966 | ტონი როჩი |
| 1967 | როი ემერსონი |
| 1968 | კენ როზუოლი |
| 1969 | როდ ლეივერი |
| 1970 | იან კოდეში |
| 1971 | იან კოდეში |
| 1972 | ანდრეს ხიმენო |
| 1973 | ილია ნასტასე |
| 1974 | ბიორნ ბორგი |
| 1975 | ბიორნ ბორგი |
| 1976 | ადრიანო პანატა |
| 1977 | გილერმო ვილასი |
| 1978 | ბიორნ ბორგი |
| 1979 | ბიორნ ბორგი |
| 1980 | ბიორნ ბორგი |
| 1981 | ბიორნ ბორგი |
| 1982 | მათს ვილანდერი |
| 1983 | იანიკ ნოა |
| 1984 | ივან ლენდლი |
| 1985 | მათს ვილანდერი |
| 1986 | ივან ლენდლი |
| 1987 | ივან ლენდლი |
| 1988 | მათს ვილანდერი |
| 1989 | მაიკლ ჩანგი |
| 1990 | ანდრეს გომესი |
| 1991 | ჯიმ კურიე |
| 1992 | ჯიმ კურიე |
| 1993 | სერხი ბრუგერა |
| 1994 | სერხი ბრუგერა |
| 1995 | ტომას მუსტერი |
| 1996 | ევგენი კაფელნიკოვი |
| 1997 | გუსტავო კუერტენი |
| 1998 | კარლოს მოია |
| 1999 | ანდრე აგასი |
| 2000 | გუსტავო კუერტენი |
| 2001 | გუსტავო კუერტენი |
| 2002 | ალბერტ კოსტა |
| 2003 | ხუან კარლოს ფერერო |


ბიორნ ბორგი

ეროვნული ბიბლიოთეკა

## როლან გაროსი 2004

# ქალები და მექალთანე

## როცა ყველას რაღაცა სტკივა, კაცივით ქალი პირველი კაცია



ამელი მორესმო

მოწინავე ქალმეჩოგნეთა ტრავმიანობამა და ავადმყოფობამ საფრანგეთის ქალთა ღია პირველობას ეგებ დავლათი და სანახაობრიობა მართლაც მოაკლოს, მაგრამ მასპინძელთაგან ალბათ არავის დაწყდება გული, თუკი ფავორიტთა ჩაფლავების კვალობაზე საჩემპიონო განსხვავებულს ორი კვირის შემდეგ ისევ მათიანი ქალმეჩოგნე შემართავს.

ეს ქალმეჩოგნე სინამდვილეში ქალთმავალმეჩოგნე — ამელი მორესმო გახლავთ, 24 წლის მძლავრი და ნიჭიერი მობურთალი, ვისაც აქამდე მისი სიმძლავრისა და უნარიანობის შესაფერისი არაფერი მოუგია და ახლა მართლაც საუცხოო შანსი ეძლევა, ჩოგანი კარიერის პირველ სლემტიტულს გამოჰკრას.

ბოლო წლების უმთავრეს სლემმონადირეთაგან სასურველ ფორმაში არც ერთი არ არის.

შარშანდელ ჩემპიონსა და ამქრის ამჟამინდელ პირველოსან ჟუსტინ ენენ-არდენს უკვე რახანია, ვირუსული ინფექციის გამო აღარსად უჩოგნავია. შედეგად — მას წლეულს მხოლოდ ოთხი თიხნარმატჩი დაუგროვდა. მისი მეორეადგილოსანი თვისტომი, მის მიერ შარშანდელ ფინალში გვემული კიმ კლაისტერსი კი მარცხენა, ხელუკულმა დარტყმისას გამოსადეგ მაჯას უჩივის და ამის გამო ტურნირს საერთოდაც აკლდება.

ენენის მსგავსად ვერ ბობოქრობენ ვინუს და სერენა უილიამსებიც, რომელნიც შარშან ზაფხულში გადატანილი ოპერაციების შემდეგ დიდ კორტს ახლადა მოუბრუნდნენ და, მართალია, აქაიქ იწარმატეს კიდეც, უეჭველ ფავორიტებად მისაჩნევნი მაინც ვერ არიან.

სწორედ ყოველივე ამისა და კიდევ იმის გამოც, რომ უამათობაში მორესმომ უკვე შეძლო, ბერლინურ და რომაულ თიხნარტურნირებზე სწორუპოვრად გაელაშა, მილეთს ის წლევანდელი როლანგაროსობის უპირველეს მომგებად ევარაუდება.

აქ ნახსენებ ორსავე ტურნირზე — ბერლინშიც და რომშიც — მორესმომ გადამწყვეტ მატჩებში ჯენიფერ კაპრიატის აჯობა. (გერმანელთა სატახტოში ეს ნახევარფინალური შეხლა გამოდგა, რაკიღა ფინალში გასულმა ვინუს უილიამსმა ტრავმის გამო სატიტულოდ ბრძოლა ველარ შეძლო).

ჯიქური წინასაროლანგაროსო განწყობითაც მორესმო სწორედ 28 წლის ჯენისთან რომაულ ფინალში გამარჯვებამ შეამარაგა — ძალიან მძიმე შეხვედრა იყო, მატჩბურთიდან ამოვქაჩე და პარიზული სეფეთიხნარობის წინ ამაზე მაგარ მოგებას ვერც ვინატრებდიო — ამბობდა ის.

და ეს მართლაც არ იყო ლიტონი სიტყვები, რაკიღა მიუხედავად „ხანდაზმულობისა", ჯენიფერარი ახლა მართლაც საუცხოო ფორმაშია და წლით უმცროსი თვისტომის ლინდსი დევენპორტის დარად (ანდა მასზე ოდნავ მეტადაც) ისევ ანგარიშგასაწევი ძალა იქნება.

კვლავაც სიურპრიზებს მოელიან რუსგოგონათა დივიზიისგან, რასაც რეიტინგსიის მეხუთეადგილოსანი ანასტასია მისკინა და შარშანდელი ნახევარფინალისტი ნადია პეტროვა უყოჩებენ.

და კიდევ — ისევ მარაქაშია 47 წლისა და 18-გზის სლემტიტულოსანი მარტინა ნავრატილოვაც. ჩეხური წარმომავლობის ეს ყველაფრის მომგები ამერიკელ დეიდა რაგინდარა სლემტიტულზე კენტად უკვე ათი წელია, აღარ გარჯილა. წლეულს ის რაღაც გედისსიმღერისებულად ატროკებულა და საგანგებო საშვს, აბა, ვინ დაამადლიდა?! მით უფრო, რომ 18 სლემტიტულიდან ორი მას სწორედ პარიზულ სეფეთიხნარზე მოუხვეჭია.

**ლევან ბელაურაძე**

## როლან გაროსის ჩემპიონები 1961 — 2003



კრის ევერტი

| | |
|---|---|
| 1961 | ენ ჰეიდონი |
| 1962 | მარგარეტ სმიტი |
| 1963 | ლესლი ტერნერი |
| 1964 | მარგარეტ სმიტი |
| 1965 | ლესლი ტერნერი |
| 1966 | ენ ჰეიდონ-ჯონსი |
| 1967 | ფრანსუაზ დური |
| 1968 | ნენსი რიჩი |
| 1969 | მარგარეტ სმიტ-კორტი |
| 1970 | მარგარეტ სმიტ-კორტი |
| 1971 | ივონ გულაგონგი |
| 1972 | ბილი-ჯინ კინგი |
| 1973 | მარგარეტ სმიტ-კორტი |
| 1974 | კრის ევერტი |
| 1975 | კრის ევერტი |
| 1976 | სიუ ბარკერი |
| 1977 | მიმა იუსოვეცი |
| 1978 | ვირჯინია რუჟიჩი |
| 1979 | კრის ევერტ-ლოიდი |
| 1980 | კრის ევერტ-ლოიდი |
| 1981 | ჰანა მანდლიკოვა |
| 1982 | მარტინა ნავრატილოვა |
| 1983 | კრის ევერტ-ლოიდი |
| 1984 | მარტინა ნავრატილოვა |
| 1985 | კრის ევერტ-ლოიდი |
| 1986 | კრის ევერტ-ლოიდი |
| 1987 | შტეფი გრაფი |
| 1988 | შტეფი გრაფი |
| 1989 | არანჩა სანჩესი |
| 1990 | მონიკა სელეში |
| 1991 | მონიკა სელეში |
| 1992 | მონიკა სელეში |
| 1993 | შტეფი გრაფი |
| 1994 | არანჩა სანჩესი |
| 1995 | შტეფი გრაფი |
| 1996 | შტეფი გრაფი |
| 1997 | ივა მაიოლი |
| 1998 | არანჩა სანჩეს-ვიკარიო |
| 1999 | შტეფი გრაფი |
| 2000 | მარი პირსი |
| 2001 | ჯენიფერ კაპრიატი |
| 2002 | სერენა უილიამსი |
| 2003 | ჟუსტინ ენენ-არდენი |



შტეფი გრაფი

## ქალების ბადე

1/32 — 1/16 — 1/8 — 1/4 — 1/2

- ენენ-არდენი (1) — [illegible]
- გაბრინი — მარტინეს გრანადოსი
- რანდრიანტეფი — ჩენგი
- კლიენოვა — ლუა (31)
- დოკიჩი (24) — პერებინისი
- ჰარკლროუდი — დიას-ოლივა
- ობატა — დუჩევინა
- სეკუერა — სუარესი (14)
- ზვონარიოვა (10) — კუჩოვა
- სერნა — მორიგამი
- გრანდე — ნაგიოვა
- შვარცი — შარაპოვა (18)
- დანილიდუ (27) — ვეინგარტნერი
- ფრეზერი — კამერინი
- ფედაკი — სანტანჯელო
- კასტანო — პეტროვა (8)
- მორესმო (3) — ჩერვანოვა
- კრეიბასი — მედინა გარიგესი
- ვაკულენკო — სანტონია
- კურჰაჟოვა — რეიმონდი (28)
- მალეევა (21) — ბარნა
- ვეელერი — მარერო
- რივზი — შონეზი
- იანკოვიჩი — ფარინა ელია (15)
- დემენტიევა (9) — ჯუგიჩ-სალკიჩი
- პრატი — პისნიკი
- კუკალოვა — გოლოვინი
- პაენტა — სმაშნოვა-პისტოლეზი (19)
- საფინა (32) — შრაფი
- შნიდერი — ირვინი
- სანჩეს ლორენცო — მამიჩი
- პიშე — დევენპორტი (5)
- მისკინა (6) — მოლიკი
- სტრიჩოვა — კალენსი
- ხლადკოვა — ბელტრამი
- მაკკეინი — მანდულა (29)
- სპრემი (22) — კაზანოვა
- ვენტო-კაბჩი — ლი-ვოტერსი
- შეტი — რიტნერი
- ბაჩევა — კუზნეცოვა (11)
- რუბინი (13) — პერი
- სრებოტნიკი — ბლეკი
- ლიხოვცევა — ჟიდკოვა
- სუხა — სულუაგა (23)
- პირსი (30) — შოლი
- გრანვილი — გარსია
- კოსტანიჩი — პინი
- ტანასუგარნი — ვ. უილიამსი (4)
- კაპრიატი (7) — ბეიგელზიმერი
- ბირნეროვა — პესკე
- გრონფილდი — სტოსური
- ვინჩი — ბოვინა (25)
- სკიავონე (17) — კოენ-ალორო
- ბრანდი — რაზანო
- რუანო პასკუალე — შინკი
- ბარტოლი — სუგიამა (12)
- შნიდერი (16) — კაპროსი
- ასოგოე — ჰანტუხოვა
- დულკო — ნავრატილოვა
- ეშლი — მანტინესი (20)
- დეში (26) — ფორეცი
- ტალაია — გალიარდი
- მიქაელიანი — კირილენკო
- ბენეშოვა — ს. უილიამსი (2)

ეროვნული ბიბლიოთეკა

# საქართველოს ჩემპიონატი

## პლეი ოფი. ფინალი სამ მოგებამდე მეხუთე მატჩი

# მთავარია, თავი გედგას




**ბასკო 3:2 დინამო**

22 მაისი. ვერის ბალი

**ბასკო 79:69 დინამო**

22:13 20:21 19:19 18:16

ბასკო: ი. ბერიშვილი (21), ბოისა (7), კეშელავა (10), ტუჯანი (3), ბერძენიშვილი (13); დ. ბერიშვილი (15), როდუმტა (7), იმნაძე (3), მაისურაძე

დინამო: გამყრელიძე, ხოშტარია (21), ბეჟანიშვილი (12), კეიდია (7), აბულაძე (3); ლოსაბერიძე (10), ჟლენტი (9), ჩუბინიძე (4), გოგობერიშვილი (2), მინაშვილი (1), მუშკუდიანი

მსაჯები: ზაზა მაჩალაძე, დავით ბერეკაშვილი

კომისარი: მურმან ქურიძე

ირაკლი პერტაია

„ბასკო" ჩემპიონია, მისი მწვრთნელი კი ამ გამარჯვების მედროშე და ქართული კალათბურთის რევოლუციონერი!

ნუგზარ კანდელაკმა დაშლილ-გალარიბებული გუნდით დაამარცხა შეძლებული კლუბი და, რაც მთავარია, ქართველ გულშემატკივარს აჩვენა ის, რაც მას 13 წელი თითქმის არ ენახა — აჩვენა მწვრთნელი.

„ბასკოს" აქამდე 3-ჯერ უჩემპიონია, მაგრამ ბათუმელთა ამ გამარჯვებას წინებს ვერ შეადრი. ისევე როგორც სხვაგან, კალათბურთშიც მეფობს კანონი — „იგებს ძლიერი და მაძლარი". ამ ბუნებრივი კანონზომიერების საფუძველზე ხდებოდნენ აქამდე ჩვენში ჩემპიონები და „ბასკოს" სარდლის რევოლუციონერობაც ის გახლავთ, რომ ის ნამდვილი მწვრთნელივით მოიქცა, შეძლებულ მოწინაალმდეგეს არ შეეპუა, საკუთარ ჭკუა-გონებას მიენდო და...

საქმეში ჩახედული ალბათ იკითხავს, „ვითა არ იყო, 1999 წელს უხელფასოდ რომ გააჩემპიონა დღეს „დინამოს" ერთ-ერთმა მწვრთნელმა ზურაბ ტომარაძემო. კი, ბატონო, მაგრამ იმ „ვითაში" არაერთგზის ჩემპიონი და გამოცდილი კალათბურთელი თამაშობდა. უმწვრთნელოდ ვერც ჩვენთან ხდებიან ჩემპიონები, მაგრამ მაშინ თამაშებს ავტორიტეტიანი კალათბურთელები მწვრთნელების დახმარებით იგებდნენ, ახლა კი პირიქით მოხდა — მწვრთნელმა კალათბურთელების დახმარებით მოიგო. ის, რაც ნუგზარ კანდელაკმა შაბათს გააკეთა, ჩვენს უკუღმართ ჩემპიონატში მზის სხივივით შემოიჭრა — თავმდაბალი კაცია და არ უთქვამს, მაგრამ ყველას დაანახა, რომ კალათბურთი პირველ რიგში გონიერი და თანმიმდევრული სვლების კეთებაა და არა შემადგენლობა, სახელი, პირობები და ასე შემდეგ. თუ სწორად მიუდგები საქმეს და გულით მოიწადინებ, მაშინ ყველაფერს მიაღწევ. კანდელაკისთვის „დინამოს" ფინალში დამარცხება სწორედაც რომ ყველაფერია, ჩემპიონის რანგში მისი პირველი სიტყვები იყო: „მე ახლა ყველაზე ბედნიერი ვარ!"

რაც შაბათს ვერის ბალში მოხდა, იქ არასდროს გვინახავს. მოედანზე ის ხალხი აშხაპუნებდა ერთ ბოთლა შამპანურს, რომელიც საშამპანურე ფულსაც არ ელოდა ამ დიდი გამარჯვების სანაცვლოდ. ან საიდან უნდა მოეთხოვათ? მათი კლუბი ხომ უკვე სამიოდ თვეა, აღარ არსებობს, ისევე, როგორც მისი დამფინანსებელი მრავალდარგობრივი ფირმა „ბასკო" და მასთან ერთად აჭარის ასლანისეული ხელისუფლება. ფედერაციას რომ არ დაეჟინებინა, ახლა არაერთი ბასკოელი ალბათ „დინამოს" მაისურით იზეიმებდა ჩემპიონობას, მაგრამ ქართული კალათბურთის გამგებლებმა დაშლილ ბათუმელებს მაშინ სხვა გუნდებში გადანაწილების უფლება არ მისცეს, რითაც ცეცხლზე ნავთი დაასხეს და ამ ცეცხლმა შაბათს დრაჟენ ბრაიკოვიჩის „ევროპელი მწვრთნელის" იარლიყი დაფერფლა.

„დინამოს" ხორვატმა თავკაცმა ვერაფრით წარმოაჩინა თავი ევროპული დონის სპეციალისტად. ის არის ევროპელი, მაგრამ არა ევროპული დონის მწვრთნელი.

მოკლედ, ნაკრების ხორვატმა მწვრთნელმა საკლუბო დონეზე გვარიანი სირცხვილი ჭამა. ვთქვათ, „სტუ-ჯეოსელთან", ანაც თსუ-სთან რომ წაეგო, ბრაიკოვიჩი შედარებით მშრალად ამოვიდოდა წყლიდან, რადგან ამ გუნდებს პირველ რიგში მძლავრი შემადგენლობა ჰყავთ და ამის შემდეგ მწვრთნელები. „ბასკოსთან" მარცხი იმიტომაა ბრაიკოვიჩისთვის საბედისწერო, რომ მან წააგო არა იმდენად გუნდთან, რამდენადაც ამ გუნდის სამწვრთნელო შტაბთან და უპირატესად ნუგზარ კანდელაკთან.

მწვრთნელები მწვრთნელებად და ამ საჩემპიონო მატჩს თავისი გმირები, ცხადია, მოედანზეც ჰყავდა. რა საკამათოა — თითოეული ბასკოელი გმირია, თუმცა ბათუმელებსაც ჰყავდათ ისეთი ხალხი, რომლებსაც განსაკუთრებული წვლილი მიუძღვით ტრიუმფალურ გამარჯვებაში.

ირაკლი ბერიშვილი არც აქამდე ითვლებოდა „ბასკოს" მეორეხარისხოვან მოთამაშედ, მაგრამ ბოლო ორ გადამწყვეტ მატჩში ტყუპისცალმა არნახული ვაჟკაცობა, შეუპოვრობა, გამძლეობა და რაც მთავარია, სიზუსტე გამოიჩინა. ფინალური სერიის მეოთხე მატჩში, რომელშიც „ბასკომ" ანგარიში 2:2 გაათანაბარა, ირაკლი ბერიშვილი დინამოელებს ჯალათად მოევლინა. მხოლოდ ერთი თუ ორი სამქულიანი გაუცუდდა, ისე კი, იცოცხლეთ, ბევრი ესროლა. ტყუპისცალმა შაბათსაც ლიდერის როლი იტვირთა და მისი ჯადო სამქულიანები რომ არა, „ბასკო" ალბათ ვერც გახდებოდა ჩემპიონი.

უნდა ითქვას ირაკლის ტყუპისცალ დავითზეც, რომელსაც ლვიძლ ძმასავით არ დაუბომბავს დინამოელთა კალათი, მაგრამ საფინალო სირენამდე ჩაგდებული უმნიშვნელოვანესი სამქულიანით დინამოელებს წარმატების ყოველგვარი იმედი გადაუწურა.

შავმა აჩრდილმაც, დინამოელთა მაღლებს რომ გული გაუწყალა და სანაცვლოდ არაერთი მუჯლუგუნიც დაიმსახურა, მნიშვნელოვანი წილი დაიდო ბათუმელთა წარმატებაში. შორეული კამერუნიდან ჩამოსულმა პლასიდე როდუმტამ დინამოელთა სამწამიანში ხევსურივით იბრძოლა და მეორე ტაიმში, როცა „დინამო" გამოცოცხლდა, შესაშური გამბედაობით ბზრიალებდა მოახლოებული წაგებით გაშმაგებულ დინამოელთა შორის.

საკუთრივ მატჩი კი წინა შეხვედრის ასლი იყო. ეს უპირველესად ანგარიშის მიმდინარეობაზე ითქმის, თორემ მწვრთნელები, უფრო კი დრაჟენ ბრაიკოვიჩი ხშინად ცვლიდნენ იარაღს. ნუგზარ კანდელაკს საათივით ჰქონდა აწყობილი სათამაშო მექანიზმი და ბრაიკოვიჩიც მთელი თამაში ეძებდა მეტოქის გასაჩერებელ ქმედით საშუალებებს. კანდელაკი ბევრ კალათბურთელს არ იყენებდა, მაგრამ ვისაც მოედანზე შეუშვებდა, მეტ-ნაკლებად ყველა უმართლებდა ჩანაფიქრს.

დასაწყისში ბრაიკოვიჩმა ნაწილობრივ მიმართა კანდელაკის მიერ წინა შეხვედრაში წარმატებით აპრობირებულ ტაქტიკას — თამაში ღრმა სათადარიგო ცენტრით ვანო აბულაძით დაიწყო. ამით ხორვატმა საკუთარ თავს გამოუცხადა ბრძოლა — იგი გამუდმებით პერიმეტრიდან შეტევაზე აკეთებს აქცენტს, ახლა კი იერიში მეტოქის სამწამიანზე მიიტანა. „დინამოს" სასტარტოში, რა თქმა უნდა, სნაიპერებიც ჰყავდა, მაგრამ საწყის წუთებში გამოჩნდა, რომ ბრაიკოვიჩელები „ბასკოს" ფარქვეშ დაჯაბვნას ეშურებოდნენ.

აბულაძე თავიდან ყოჩაღად ართმევდა თავს ამოცანას და დავით ბერძენიშვილს ტოლს არ უდებდა. მას უხვად კვებავდნენ პასებით, შემდეგ კი, როცა ოპონენტებმა აბულაძე გააჩერეს, „დინამოს" უკანახაზელებმა, განსაკუთრებით კი ირაკლი ხოშტარიამ სწრაფი გარღვევები წამოიწყო.

ხოშტარას შურდულ-რეიდებით „დინამო" 8:3 დაწინაურდა და ეს გამოდგა ის მაქსიმუმი, რასაც „დინამომ" ამ შეხვედრაში მიაღწია. „ბასკომ" ფარზე მალე გაიმაგრა პოზიცია, ჟოლივეტ ტუჯანი ბერძენიშვილს თავისი დაკუნთული ბეჭებით შეეხიდა, მაგრამ ბათუმელთა ქულების საბადომ მალე უკანა ხაზში ამოხეთქა.

ირაკლი ბერიშვილის ორქულიანმა ანგარიში გაათანაბრა (8:8) და მერე იყო ვაკო ბეჟანიშვილის სამქულიანი, რამაც „დინამოს" ქომაგთ იმედები ჩაუსახა, მგონი ჩვენს სნაიპერს სროლა წაუვიდაო. მაგრამ მომდევნო შეტევაში ბეჟანიშვილის ოპონენტმა ლაშა კეშელავამაც სამიანი ჩააგდო და, როგორც გამოჩნდა, ბათუმელებს წაუვიდათ შორი სროლები. მოედანზე მალე ვიხილეთ ანატოლი ბოისა, რომელიც ირაკლი ხოშტარიას ლამის ჩაეხუტა — გასაქანს არ აძლევდა და თან შეტევაშიც ყოჩაღობდა. მის სამქულიანს ტყუპმა ბერიშვილებმაც მიაბეს შორი სროლები და „ბასკომ" პირველივე მეოთხედში დაიბევა სოლიდური უპირატესობა — 22:13.

მეორე ათწუთეულში „დინამოში" ტაქტიკური გადაადგილებები მოხდა. ბრაიკოვიჩმა რა აღარ სცადა, მაღლებს დაბლებს უნაცვლებდა, დამცველებს — სნაიპერებს, მაგრამ ჩამორჩენა 6 ქულაზე ქვევით ვერაფრით ჩამოიყვანა. კანდელაკმა კი მეორე მეოთხედი ტყუპ ცენტრით როდუმტა-იმნაძით დაიწყო, უკან კი ძმები ბერიშვილები ათამაშებდნენ ბურთს.

ხოშტარია-გოგობერიშვილის ტანდემს მართლაც ძალუძდა ტყუპ ბერიშვილების შედარებით ტანდაბალი დუეტის დაჯაბვნა, მაგრამ არ გამოვიდა. ძმები ერთ მუშტად შეიკრნენ და მეტოქეს ტოლი არაფერში დაუდეს. გოგობერიშვილმა მიჯრით 3 სამქულიანი გააცუდა და თამაშიდან გავიდა, ხოშტარიამ კი, არავინ და არაფერი არ მაინტერესებსო, „ბასკოს" საჯარიმო ააფალახა. პირველი ნახევარი 42:34 დასრულდა.

მთელი თამაშის მანძილზე გულშემატკივარი ელოდა, როდის აზვირთდებოდა „დინამო" და ყველა წეს-კანონით წასაგებად განწირულ „ბასკოს" ერთიანად წალეკავდა. მოლოდინი არ გამართლდა, თუმც „დინამოს" ქომაგებს გადამწყვეტ მეოთხედში იმედი მიეცათ, როცა არჩილ ჟლენტმა ქულათა ხურჯინს მოხსნა თავი.

ჟლენტის შეუპოვარი ბრძოლის შედეგად „დინამომ" საჩემპიონო სირენამდე 3 წუთით ადრე 6 ქულამდე შეამცირა სხვაობა — 63:69. ამ დროს ირაკლი ბერიშვილი შეტევაში ვაკო ბეჟანიშვილზე დაჯარიმდა და გავარდა. ეს იყო „დინამოს" უკანასკნელი შანსი, მაგრამ ბეჟანიშვილს ორივე საჯარიმო სროლა გაუცუდდა და ბრაიკოვიჩმა მოედანზე ხუთივე მსროლელს უხმო. „ბასკომ" უდიდესი ძალისხმევით მოახერხა პერიმეტრის გადაკეტვა და მეტოქის იქით ჩაუგდო „ოქროს" სამქულიანი. დავით ბერიშვილმა არც აცია, არც აცხელა და დაუფიქრებლად ისროლა შორიდან, რითაც „დინამო" საბოლოოდ გატეხა...

მერე იყო ზღვისპირიდინ გადმოხვეწილთა ზღვა სიხარული, შამპანურის ჩქერი, კალათიდან ჩამოჭრილი ბადე და ამ გმირობის სულის ჩამდგმელის, წინასაჩემპიონო „ვარჯიშის" საკუთარ ბინაზე ჩამტარებელ ნუგზარ კანდელაკის ჰაერში აბურთავება....



ნუგზარ კანდელაკი: მე ახლა ყველაზე ბედნიერი ვარ!

# 2004 NBA Playoffs

## კონფერენციის ფინალი



კევინ გარნეტის „მინესოტას“ „ლეიკერსმა“ საპლეიოფო გაკვეთილი ჩაუტარა

— 21 მაისი —

### დასავლეთი

**მინესოტა 0:1 ლეიკერსი**

**მინესოტა 88:97 ლეიკერსი**

**მინესოტა:** კასელი (16), ჰასელი (6), სპრიუელი (23), გარნეტი (16 ქულა, 10 მოხსნა), ჯონსონი (2); ოლოვოკანდი (10 ქულა, 11 მოხსნა), შჩერბიაკი (9), ჰოიბერგი (6), მადსენი, ტრენტი, მილერი

**ლეიკერსი:** პეიტონი (7), ბრაიანტი (23), ჯორჯი (2), მელოუნი (17 ქულა, 11 მოხსნა), ონილი (27 ქულა, 18 მოხსნა, 5 პასი, 4 დაფარება); ფიშერი (14), რაში (5), მედვედენკო (2), ფოქსი, კუკი

— 22 მაისი —

### აღმოსავლეთი

**ინდიანა 1:0 დეტროიტი**

**ინდიანა 78:74 დეტროიტი**

**ინდიანა:** ტინსლი (13), მილერი (6), არტესტი (17), ონილი (21 ქულა, 14 მოხსნა), ფოსტერი (2); ჰარინგტონი (14), ბენდერი (5), ჯონსონი, კროშერი, ჯონსი

**დეტროიტი:** ბილაფსი (18), ჰამილტონი (23), პრინსი (9), რ. ვოლესი (4), ბ. ვოლესი (11 ქულა, 22 მოხსნა, 5 პასი, 5 დაფარება); უილიამსონი (5), ოქური (2), კემპბელი (2), ჯეიმსი, ჰემი, ჰანტერი




აღმოსავლეთის ფინალის პირველ მატჩში ბებერმა სნაიპერმა რეჯი მილერმა პირველი 6 სროლა გააფუჭა, მაგრამ საჭირო დროს გაისროლა სამიანი



# პატარა ბორჯღალოსნება ფინალში რუმინეთი გაატარეს

20 წლამდე ბორჯღალოსნებმა ევროპის ჩემპიონატი მეორე ადგილით დაასრულეს. სერბეთისა და ესპანეთის მძლეველმა ჩავლეიშვილ-ძაგნიძის გუნდმა ფინალში რუმინეთს ველარაფერი მოუხერხა და მსოფლიოს ჩემპიონატის საგზურიც მასპინძლებს დაუტოვა.

პატარა „მუხის ფოთლებმა“ უპირატესობა მეორე ტაიმში მოიპოვეს. მანამდე კი თამაშიც და ანგარიშიც თანაბარი იყო. პირველი ნახევარი პატარა ბორჯღალოსნებმა ფინალში რუმინეთი გაატარეს. ქართველებმა 6:5 მოიგეს, სოხაძისა და ბარკალაიას საჯარიმოებით.

შესვენების შემდეგ ქულები მხოლოდ რუმინეთმა აგროვა და ზედ საფინალო სასტვენის წინ ვალენტინ კალიფეტიანუს საჯარიმომ საბოლოო ანგარიში 21:6 დააფიქსირა.

საქართველოს ნაკრებმა ასეთი შემადგენლობით ითამაშა: სოხაძე, შალიკაშვილი, გიგაური, კაჭარავა, ელიზბარაშვილი, ბარკალაია, მჟავანაძე, ახვლედიანი, მალალურაძე, ნატროშვილი, გორგოძე, ალიქაძე, მელიქიძე, ჭყონია, სანიკიძე



## ევროპის ჩემპიონატი

**თურქეთი. ანთალია. 14-31 მაისი**

**V ტური**

ბააღურ ჯობავა (საქართველო) — ულფ ანდერსონი (შვედეთი) 0,5:0,5
ზვიად იზორია (საქართველო) — ივან ჩეპარინოვი (ბულგარეთი) 1:0

**VI ტური**

ბააღურ ჯობავა — ჰანნეს სტეფანსონი (ისლანდია) 0,5:0,5
თეიმურაზ რაჯაბოვი (აზერბაიჯანი) — ზვიად იზორია 0,5:0,5

**VII ტური**

ზვიად იზორია (საქართველო) — ბააღურ ჯობავა (საქართველო) 0,5:0,5

# იზორიას ბედაურმა ექვსი ნახტომი გააკეთა

მეოთხე ტურის შემდეგ ჩემპიონატზე ორგანიზატორებმა ერთი დღე უქმად გამოაცხადეს და მოჭადრაკეთა შორის პლაჟის ფრენბურთში შეჯიბრება გამართეს, რომელშიც პირველი ადგილი სარაევოს გუნდმა მოიპოვა. ამ ამბავთან დაკავშირებით ვებ-გვერდებზე გამოქვეყნებულ მასალებში ვერც ერთი ქართველის გვარი ვერ აღმოვაჩინეთ და ჩვენთვის უცნობია, მიიღეს თუ არა მათ გათამაშებაში მონაწილეობა.

მეხუთე ტურში ყველაზე საინტერესო ჩემპიონატის რეიტინგის პირველ ნომერ უკრაინელ ვასილ ივანჩუკისა და ცხრილის ლიდერ ჩეხ დავიდ ნავარას შეხლა იყო. თამაში საკმაოდ დაძაბული გამოვიდა და 59-ე სვლაზე ყაიმით დასრულდა. მოპოვებული ნახევარი ქულით ახალგაზრდა ჩეხმა ერთპიროვნული ლიდერობა შეინარჩუნა.

ზედიზედ სამი ყაიმის შემდეგ იმარჯვა ზვიად იზორიამ და ცხრილში ექვსი საფეხურით წინ წაინაცვლა. ქართველმა ჩეპარინოვთან დებიუტი დედოფლის გამბიტით არჩია და მხედრით წინ წავიდა. ბულგარელმა ჩვენებურის შეტევა მოიგერია და ფიგურების განვითარებას შეუდგა. მალე უპირატესობა შავებმა იგდეს ხელთ. დაფაზე უმეტეს ნაწილში გაბატონდნენ, ძალეთრების შევიწროება იწყეს. იზორიამ ფიგურები ... დახია, თუმცა ჩანდა, რომ ეს გაქცევა არ იყო და ქართველი ძალებს დიდი შეტევისთვის იზოგავდა. შედეგმაც არ დააყოვნა, 23-ე სვლაზე ზვიადის ჯარი მტრის გამაგრებულ ზღუდეს ეტაკა, აწყობილი სტრატეგია საერთოდ მოუშალა და 15 სვლაში მეორე გამარჯვება იზეიმა.

ცუდად არ უთამაშია მეორე ქართველ ჯობავასაც, თუმც მოგება ვერ შეძლო და მეტოქეს 30-ე სვლაზე დაუზავდა.

მომდევნო ტურში ჩვენებმა ყაიმებით გაასრულეს თავიანთი პარტიები, VII-ში კი სულაც ერთმანეთს გაუყვეს ქულები და ახლა პირველ ადგილს მთელი ქულა აშორებთ.

**ლაშა გეგეჭკორი**

## ქალთა მსოფლიოს ჩემპიონატი

**ელისტა. რუსეთი. 21 მაისი — 8 ივნისი**

**I წრე. პირველი შეხვედრები**

ფარიდა აროუჩე (ალჟირი) — მაია ჩიბურდანიძე (საქართველო) 0:1
სოფიკო ტყეშელაშვილი (საქართველო) — ქსუ იუჰუა (ჩინეთი) 0,5:05
ჯენიფერ შაჰაიდე (აშშ) — ნანა ძაგნიძე (საქართველო) 0:1
ანა მათნაძე (საქართველო) — ოლგა ალექსანდროვა (უკრაინა) 0,5:0,5
ლელა ჯავახიშვილი (საქართველო) — ნადეჟდა კოსინცევა (რუსეთი) 1:0
პოლოვნიკოვა ეკატერინა (რუსეთი) — ნინო ხურციძე (საქართველო) 1:0
ირინა სლავინა (რუსეთი) — მაია ლომინეიშვილი (საქართველო) 0,5:0,5
ქეთევან კახიანი-გერშინსკა (გერმანია) — ზი ზან ან ნგუიენი (ვიეტნამი)
რუსუდან გოლეთიანი (აშშ) — კორინა-იზაბელა პეპტან (რუმინეთი) 0:1

*მხოლოდ ქართველთა შედეგები*



## პლეი ოფი. კონფერენციის ფინალი

# ტამპამ ფინალში გაიელვა

— 22 მაისი —

### აღმოსავლეთი

**ტამპა 4:3 ფილადელფია**

**ტამპა 2:1 ფილადელფია**

**1:0 1:1 0:0**

**1:0 ფედოტენკო (17), 2:0 მოდინი (25), 2:1 იუნსონი (31)**

და მაინც „ტამპა“!

„ფილადელფიასთან“ ულამაზეს ჭიდილში ბოლო სიტყვა „ელვებმა“ თქვეს — სერიის მეშვიდე მატჩში მინიმალური უპირატესობით გაიმარჯვეს და თავიანთ 12-წლიან ისტორიაში პირველად გავიდნენ თასის ფინალში.

გუნდებს ტრადიცია არ დაურღვევიათ, რიგრიგობით იგებდნენ, ოღონდ ამჯერად „ფილადელფიას“ გათანაბრების შანსი აღარ აქვს. რაც შეეხება ბოლო მატჩს, თავიდანვე აშკარა იყო, რომ პირველი გოლი ბევრს გადაწყვეტდა. ამიტომაც გუნდები ძალიან ფხიზლობდნენ და ბევრი მომენტები არ იქმნებოდა. წესით, სტუმრებს უნდა გაეხსნათ ანგარიში, რადგან ზედიზედ ორჯერ რიცხვმრავლობაში მოხვდნენ, მაგრამ „მფრინავებმა“, ისევე როგორც მთელ სერიაში, ეს უპირატესობა ვერ გამოიყენეს. სამაგიეროდ, მათი პირველივე ჯარიმა საბედისწერო გამოდგა. ბრედ რიჩარდსის დარტყმის შემდეგ ექსფილადელფიელმა რუსლან ფედოტენკომ ბაიშას ოსტატურად შეცვალა მიმართულება და კიდევ ერთხელ დაამტკიცა ძირძველი აქსიომა, რომ პლეი ოფში წარმატების ერთ-ერთი მთავარი პირობა სპეცბრიგადების კარგი თამაშია.

წინა მატჩებში „ელვები“ უპირატესობას რომ მოიპოვებდნენ, უფრო ფხიზელ, დადარაჯებულ თამაშს იწყებდნენ, რაც ერთიორჯერ ძვირად დაუჯდათ. ახლა მასპინძლებმა არც გოლის შემდეგ დააგდეს ტემპი. ან კი როგორ გააკეთებდნენ ამას, როცა პირთამდე გადავსებული ტრიბუნები (თამაშს 22 ათასზე მეტი მაყურებელი დაესწრო) მხოლოდ შეტევას და გოლებს ითხოვდნენ თავისი საყვარელი გუდისგან. 25-ე წუთზე მეორე შაიბა გავიდა — 12 თამაშის გამოტოვების შემდეგ დაბრუნებულმა მცველმა ჯეისონ კალიმორმა შაიბა კარისკენ გაგზავნა, იქ კი ფრედრიკ მოდინი აღმოჩნდა საჭირო დროს საჭირო ადგილზე. „ძალიან ვნერვიულობდი. 6 კვირა უქმად ვიყავი და პირდაპირ მეშვიდე მატჩის ციებ-ცხელებაში აღმოჩნდი“ — აღიარა მოგვიანებით კალიმორმა.

მოვლენების ამგვარმა განვითარებამ სტუმრებს არ დააყრევინა ფარ-ხმალი. კიმ იუნსონის შორეული დარტყმის შემდეგ ანგარიში მინიმუმამდე შემცირდა, ხოლო პერიოდის მიწურულს „მფრინავთა“ ლიდერ კეიტ პრიმოს საუცხოო შანსი მიეცა, მაგრამ ნიკოლაი ხაბიბულინთან დუელი ფორვარდმა წააგო. როგორც მერე გაირკვა, ეს სტუმართა ბოლო შანსი იყო. „ტამპამ“, როგორც ჩანს, სწორი დასკვნები გამოიტანა წინა მატჩიდან და მეტოქე შებოჭა. მხოლოდ 7 დარტყმა და არც ერთი რეალური საგოლე მომენტი — აი, მხოლოდ ეს შეძლო „ფილადელფიამ“.

„მეორე და მესამე პერიოდს შორის ბიჭებმა თქვეს, დაცვაზე ფიქრი სიკვდილის ტოლფასია, ყელში უნდა ვწვდეთ მეტოქეს, წინა შეხვედრები რომ არ განმეორდესო. ყველაფერი გამოგვივიდა, თუმც ბოლო 5 წუთში ძალიან ვინერვიულეთ“ — თქვა თამაშის შემდეგ ტამპელთა ლიდერმა ვენსან ლეკავალიემ.

„გულწრფელად გეუბნებით, ნამდვილად არ მეგონა, თუ ესოდენ დიდ წარმატებას ასე სწრაფად მივაღწევდით — ასეთი იყო გუნდის თავკაც ჯონ ტორტორელას კომენტარი. ის ხომ მხოლოდ მეოთხე სეზონია, რაც „ტამპაში“ მოღვაწეობს და „ელვებმა“ უკვე უდიდეს წარმატებას მიაღწიეს.

ასე დასრულდა სერია, რომელიც „დეტროიტ“ — „კოლორადოს“ აწ უკვე ლეგენდარული დაპირისპირების შემდეგ ყველაზე საინტერესო გამოდგა. ასეთ შემთხვევაში განსაკუთრებით გეცოდება დამარცხებული. „მფრინავებმა“ ხომ ყველაფერი გააკეთეს მიზნის მისაღწევად. თუმც მთელი სერიის განმავლობაში ისეთი შთაბეჭდილება რჩებოდა, თითქოს „ფილადელფიას“ უჭირდა გოლების გატანა მაშინაც კი, როდესაც უდიდეს უპირატესობას ფლობდა. თუნდაც მეექვსე მატჩი გავიხსენოთ. „ტამპას“ კი ყველაფერი გაცილებით იოლად გამოსდიოდა. უფრო მის მხარეს იყო იღბალიც, რომელიც მოგეხსენებათ, ძლიერს სწყალობს.

**სამველ ლარიბიანი**

ფორმულა 1. 55-ე მსოფლიოს ჩემპიონატი მეექვსე ეტაპი

# რაპარია?! შუმის ავარია

## ტრულაილა მონტე კარლოში



იარნო ტრული

**მონაკოს** დიდი პრიზის გათამაშება რომ ყველაზე პრესტიჟული რბოლაა, ამაზე ვინ გაბედავს შემოდავებას? თუ ვინმემ მაინც გაბედა, ძველი გულშემატკივრები წამში გააცამტვერებენ — ტრადიციებიო, ეგზოტიკაო, დიდი ჩემპიონებიო, მაგრამ იმ ერთ კრკიტას გადავების საბაბი მაინც დარჩება — იყოს პრესტიჟული, მაგრამ ყველაზე მოსაწყენი და უინტერესოაო. აქ კი ცამდე თუ არა ღრუბლებამდე მართალი იქნება.

ვიწრო და დაკლაკნილი ქუჩები — სამუდამოდ რომ ჩააყოლეს შუა საუკუნეების არქიტექტორებმა ამ ბედნიერ ქალაქს — ნამდვილი კოშმარია მათთვის, ვინც წინა დღეს, კვალიფიკაციაზე 0,002 წამი წააგო კოლეგებთან და რბოლისას მათი გამონაბოლქვის ყლაპვა მოუწევს. ამ „ორღობეებში" გასწრება თითქმის შეუძლებელია და გუშინდელ რბოლაშიც ერთადერთი გასწრება მოხდა.

მაგრამ მონაკოს დიდი პრიზის გათამაშება გუშინ იმაზე ბევრად საინტერესო გამოდგა, რისი გამოწურვაც ამ ჩახერგილი ქუჩებიდან შეიძლება. ბედის ირონიით ამ „მოსაწყენმა" რბოლამ გაახალისა მთლიანად ინტერესდაკარგული ჩემპიონატი. გუშინ ბევრი რამ მოხდა: პირველ რიგში ის, რომ წააგო მიხაელ შუმახერმა. წელს ეს უნიკალური შემთხვევაა, მანამდე შუმის ხუთივე რბოლა მოეგო.

შუმახერი მონტე კარლოს ქუჩებს ალბათ ყველა კოლეგაზე უკეთ იცნობს და მოქმედთაგან ყველაზე მეტიც მოუგია. ეს არაა გასაკვირი — კვალიფიკაცია მისი სპეციალიზაციაა, თუ რბოლის წინა დღეს ყველას აჯობებს და სტარტზე პირველი დადგება, ვინ რას დააკლებს ამ ვიწროებში? მაგრამ შუმიმ კვალიფიკაციაც ჩააფლავა, მხოლოდ მეოთხე დრო აჩვენა და წინ გაუშვა ორი რენოელი ტრული (პირველი პოზიცია), ალონსო (მე-3) და ბარელი ბატონი (მე-2), ჩემპიონთა ჩემპიონმა ვერც სტარტზე გამოიჩინა ფეხა და ადგილის მოგების ნაცვლად ორი დაკარგა, რაშიც ბატონის იაპონელი თანაგუნდელი ტაკუმა სატოა დამნაშავე.

რბოლის დასაწყისის გმირი, უფრო კი ანტიგმირი ნამდვილი სამურაის იერის ტაკუმა სატო ბრძანდება, ვინაც თავიდანვე აურია ყველაფერი. სატო მე-7 პოზიციიდან იწყებდა და სტარტის ნიშანზე ისე დაიძრა, იფიქრებდი, რომ წააგოს, ხარაკირს გაიკეთებსო. გვერდზე და ოდნავ წინ მდგომი რუბენს ბარიკელო (მე-6) არად ჩააგდო და თავხედურად შევარდა მიხაელ შუმახერსა (მე-4) და კიმი რაიკონენს (მე-5) შორის, შუმი შეავიწროვა კიდეც, რითაც რაიკონენმა ისარგებლა და ჩემპიონს წინ ჩაუდგა.

ამგვარად სატომ სტარტზე სამი ადგილი მოიგო და მეოთხე ადგილი დაიჭირა თანაგუნდელი ბატონის უკან, მაგრამ თავხედობა არ შერჩა. მესამე წრეზე მისმა ბოლიდმა ისეთი კვამლი აუშვა, ამ ლაჟვარდოვან მონტე კარლოში ლამის სმოგი დააყენა და ბოლოს ბოლიდიც გაუჩერდა. მის უკან მომავალმა რაიკონენმა მოახერხა გახიდული იაპონელისთვის გვერდის ავლა, მაგრამ სხვებს ნაკლებად გაუმართლათ. ამ კვამლში შემუხრუჭებულ დევიდ კულჰარდს (ამ საწყალს კიდევ ეს უნდოდა?) ფიზიკელას „ზაუბერი" შეასკდა, ჰაერში აფრინდა და ამოყირავებული დაენარცხა ასფალტს.

ყველანი გადარჩნენ გადარეული რბოლა კი ოდნავ დამშვიდდა — ოინბაზი სატო ხომ ტრასაზე აღარ იყო.

დღის ჭეშმარიტი გმირი რენოელი იარნო ტრული კი მიჰქროდა ამ ყველაფრისგან წინ მდგომი და თანაგუნდელ ფერნანდო ალონსოსაც მიაქანებდა. ორი „რენო" ძალიან იშვიათი სანახავია ქარავნის თავში და ხალხმაც ცოტა ხნით მიივიწყა მიხაელ შუმახერი.



მიხაელ შუმახერმა ტრიუმფალური სვლა ასე დაასრულა

REUTERS

შუმი კი თავისას მაინც ცდილობდა და რაღაცა გამოუდიოდა. მან სხვებზე გვიან ისარგებლა ბოქსებში შესვლის უფლებით, რამდენიმე წრე დიდებულად გაიარა (ტრასის რეკორდიც დაამყარა) და იმდენი მოახერხა ბოქსებიდან გამოსული რაიკონენზე და ბატონზე წინ მე-3 პოზიციაზე აღმოჩნდა „რენოების" უკან. შუმის იმედი მიეცა წინ მთელი რბოლა იყო — ვინ იცის, ვის რა მოსვლოდა.

მოსახდენი რბოლის დამთავრებამდე 35 წრით ადრე მოხდა. ახალგაზრდა და ფიცხ ფერნანდო ალონსოს ოდნავ ზედმეტი მოუვიდა — ცნობილ გვირაბში მან ძალიან დიდი სიჩქარით სცადა წრეზე ჩამორჩენილი რალფ შუმახერის გასწრება, მაგრამ გარე რადიუსით მსროლმაა საჭე ვერ დაიმორჩილა და რბოლა კედელზე მილეწვით დაასრულა. ესეც თქვენ მოსაწყენი და უინტერესო რბოლა.

შუმიმ მეორე ადგილზე აინაცვლა და ტრულიზე შეტევის გეგმა ჯერ ხეირიანად არ ჰქონდა დამუშავებული, რომ მასაც დაუსხლტა ფეხი, უფრო ზუსტად მანამდე ერთგულად მომუშავე „ფერარიმ" დაალალატა. ალონსოს ავარიიდან ორი წრის შემდეგ ზედ პეისკარის უკან — პეისკარი კი ალონსის ავარიის შემდეგ გამოჩნდა — მომავალ შუმის მარცხენა წინა ბორბლის ღერძი ჩაუტყდა, უკან მომავალი ხუან პაბლო მონტოიაც „წაეხმარა" და ჩემპიონმა წლეულს პირველად დაამთავრა რბოლა რბოლის დამთავრებამდე.

ალონსო გავარდა, შუმახერიც მიჰყვა და 25 წრით ადრე რაიკონენსაც იგივე დღე ეწია. ტრულის არავინ აბიჯგებდა ქუსლებზე და ისიც მშვიდად მიაგორებდა თავის „რენოს". ერთი ბატონს მისცა წამოწევის უფლება — ძრავს უფრხილდებოდა — მაგრამ სადავეები თავად დაიტოვა და ცხოვრებაში პირველად გადაკვეთა ფინიში პირველმა.

ამ მარცხმა შუმახერს ბევრი არაფერი დააკლო, მაგრამ სამაგიეროდ ბევრი შესძინა ჩემპიონატს. თავისთავად ბევრი იშოვა ტრულიმაც. იგი ახლა საერთო ჩათვლაში მყარი მეოთხეა და ყველაფერი ისე საუცხოოდ მისდის, ვინ იცის სეზონის ბოლოს პოდიუმზეც ჩააფიქროს ეს უპრეტენზიო იტალიელი.

**ირაკლი ფირაშვილი**

### რბოლის შედეგები

**მონაკოს დიდი პრიზი**
23 მაისი. მონტე კარლო
დისტანცია 77 წრე — 257,180კმ

| | | | |
|---|---|---|---|
| 1 | (1) | ტრული (რენო) | 1:45.46,601 (145,9კმ/სთ) |
| 2 | (2) | ბატონი (B.A.R) | ჩამორჩა 0,457 |
| 3 | (6) | ბარიკელო (ფერარი) | 32,294 |
| 4 | (9) | მონტოია (უილიამსი) | 32,952 |
| 5 | (16) | მასა (ზაუბერი) | 42,332 |
| 6 | (15) | და მატა (ტოიოტა) | 1.13,804 |
| 7 | (17) | ჰაიდფელდი (ჯორდანი) | 1.17,108 |
| 8 | (13) | პანი (ტოიოტა) | 1 წრით |

რბოლას გამოეთიშნენ

| | | |
|---|---|---|
| (19) | ბაუმგარტნერი (მინარდი) გაიარა | 71 წრე |
| (12) | რ.შუმახერი (უილიამსი) | 69 |
| (4) | მშუმახერი (ფერარი) | 45 |
| (3) | ალონსო (რენო) | 41 |
| (5) | რაიკონენი (მაკლარენი) | 27 |
| (20) | ბრუნი (მინარდი) | 15 |
| (18) | პანტანო (ჯორდანი) | 12 |
| (11) | ვებერი (იაგუარი) | 11 |
| (7) | სატო (B.A.R) | 2 |
| (8) | კულჰარდი (მაკლარენი) | 2 |
| (10) | ფიზიკელა (ზაუბერი) | 2 |
| (14) | კლიენი (იაგუარი) | 1 |

ფრჩხილებში — საკვალიფიკაციო ადგილი

კვალიფიკაცია
იარნო ტრული

რბოლაში საუკეთესო წრე
მიხაელ შუმახერი — 23-ე წრე 1.14,439

| FORMULA 1 WORLD CHAMPIONSHIP | ავსტრალია 7 მარტი | მალაიზია 21 მარტი | ბაჰრეინი 4 აპრილი | სან მარინო 25 აპრილი | ესპანეთი 9 მაისი | მონაკო 23 მაისი | ევროპა 30 მაისი | კანადა 13 ივნისი | აშშ 20 ივნისი | საფრანგეთი 4 ივლისი | დ.ბრიტანეთი 11 ივლისი | გერმანია 25 ივლისი | უნგრეთი 15 აგვისტო | ბელგია 29 აგვისტო | იტალია 12 სექტემბერი | ჩინეთი 26 სექტემბერი | იაპონია 10 ოქტომბერი | ბრაზილია 24 ოქტომბერი | ჯამი |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 მ.შუმახერი ფერარი, გერმანია | 10 | 10 | 10 | 10 | 10 | – | | | | | | | | | | | | | 50 |
| 2 ბარიკელო ფერარი, ბრაზილია | 8 | 5 | 8 | 3 | 8 | 6 | | | | | | | | | | | | | 38 |
| 3 ბატონი B.A.R., დ. ბრიტანეთი | 3 | 6 | 6 | 8 | 1 | 8 | | | | | | | | | | | | | 32 |
| 4 ტრული რენო, იტალია | 2 | 4 | 5 | 4 | 6 | 10 | | | | | | | | | | | | | 31 |
| 5 მონტოია უილიამსი, კოლუმბია | 4 | 8 | – | 6 | – | 5 | | | | | | | | | | | | | 23 |
| 6 ალონსო რენო, ესპანეთი | 6 | 2 | 3 | 5 | 5 | – | | | | | | | | | | | | | 21 |
| 7 რ.შუმახერი უილიამსი, გერმანია | 5 | – | 2 | 2 | 3 | – | | | | | | | | | | | | | 12 |
| 8 სატო B.A.R, იაპონია | – | – | 4 | – | 4 | – | | | | | | | | | | | | | 8 |
| 9 მასა ზაუბერი, ბრაზილია | – | 1 | – | – | – | 4 | | | | | | | | | | | | | 5 |
| 10 კულჰარდი მაკლარენი, დ. ბრიტანეთი | 1 | 3 | – | – | – | – | | | | | | | | | | | | | 4 |

და მატა (ტოიოტა) — 3 ქულა; ფიზიკელა (ზაუბერი), ჰაიდფელდი (ჯორდანი) — 2; ვებერი (იაგუარი), რაიკონენი (მაკლარენი), პანი (ტოიოტა) — 1

| | ავსტრალია | მალაიზია | ბაჰრეინი | სან მარინო | ესპანეთი | მონაკო | ევროპა | კანადა | აშშ | საფრანგეთი | დ.ბრიტანეთი | გერმანია | უნგრეთი | ბელგია | იტალია | ჩინეთი | იაპონია | ბრაზილია | ჯამი |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 ფერარი | 18 | 15 | 18 | 13 | 18 | 6 | | | | | | | | | | | | | 88 |
| 2 რენო | 8 | 6 | 8 | 9 | 11 | 10 | | | | | | | | | | | | | 52 |
| 3 B.A.R. | 3 | 6 | 10 | 8 | 5 | 8 | | | | | | | | | | | | | 40 |
| 4 უილიამსი | 9 | 8 | 2 | 8 | 3 | 5 | | | | | | | | | | | | | 35 |
| 5 ზაუბერი | – | 1 | – | – | 2 | 4 | | | | | | | | | | | | | 7 |

მაკლარენი — 5, ტოიოტა — 4, ჯორდანი — 2, იაგუარი — 1 ქულა

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის ორშაბათს, სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

გამომცემელი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
რედაქტორის მოადგილე სოსო კოტორეიშვილი
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუბელაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: დავით ერაძე, დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, პაატა კვანტალიანი, კახა შალამბერიძე
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გიო ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, ლადო ხომერიკი, ვაჟა ხუციშვილი

ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი: ირაკლი ფირაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: გია ახალაძე, ავთანდილ გურასაშვილი, ლევან კელაურაძე, ოთარ მაღლაკელიძე, ირაკლი პერტაია
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლია ბესელია, ხათუნა ბუხუნიშვილი, ელენე გელუტაშვილი, რუსუდან ერისთავი, ფატი დვალიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, დავით კვაჭანტირაძე, თენგიზ ფოფხაძე, თამარ ქინქლაძე, ზურაბ წერეთელი, მირიან ხანიშვილი

რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი:
თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა
sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია
http://www.sarbieli.com.ge